

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**  
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**



**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი

**ნათია დიასამიძე**

**საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის საინვესტიციო გარემოს  
სრულყოფის ძირითადი მიმართულებები**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,  
პროფესორი, ასიე ცინცაძე

“როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

*ნათია დიასამიძე*

*ხელმოწერა:*

*თარიღი: 20.06.2022*

## შინაარსი

შესავალი

4

თავი I. საინვესტიციო პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

1.1. ტურისტული სექტორის განვითარების მიმართულებები და

პოტენციალი ----- 10

1.2. ეკონომიკის ზრდაზე ტურიზმის სექტორის მახასიათებლები ----- 27

თავი II. ტურისტული სექტორის განვითარებაში სახელმწიფო საინვესტიციო

პოლიტიკის ანალიზი

2.1. საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები

საქართველოს ტურისტულ სექტორში ----- 60

2.2. საინვესტიციო გარემოს მართვის პრინციპების ზოგადი დებულებები

სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში ----- 74

თავი III. ტურისტულ სექტორში საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის

ძირითადი მიმართულებები

3.1. ტურიზმის სექტორში ინვესტირების შეფასების ეკონომიკურ-

ფინანსური მეთოდები ----- 107

3.2. ტურისტულ სექტორში ეფექტური საინვესტიციო გარემოს შექმნის

პრიორიტეტული მიმართულებები ----- 124

3.3. ეკონომიკის ზრდაზე ტურიზმის სექტორის მახასიათებელი ფაქტორების

ანალიზი ----- 135

დასკვნები და წინადადებები ----- 141

გამოყენებული ლიტერატურა ----- 151

დანართები ----- 161

## შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. თანამედროვე ეტაპზე რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური რეცესიების პირობებში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში შექმნილი საფინანსო - ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ტურისტული სექტორის განვითარება, რომელიც თავისი შინაარსით, განსაზღვრავს როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე ცალკეული მუნიციპალური წარმონაქმნის მომავალს. ტურიზმის განვითარების პროცესის უწყვეტობა ითხოვს არა მარტო შრომითი და მატერიალური, არამედ ფინანსური რესურსების აუცილებელ არსებობას, რასაც საინვესტიციო გარემოს სრულყოფილებას ძალზე მნიშვნელოვანს ხდის.

სახელმწიფოს როლი ტურისტულ სექტორში ინვესტიორთა დაინტერესებაში და მათ მიმზიდველობაში უმთავრესი წინაპირობაა ტურიზმის გეგმაზომიერი და დინამიური განვითარებისათვის, მისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისათვის, ტერიტორიების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და საბოლოო ჯამში, რეგიონის უსაფრთხოებისათვის, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის, ცალკეული მუნიციპალიტეტების სახელმწიფო მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს.

ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზაციის მიზნით, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, ტურისტული საქმიანობის განხორციელების ინვესტიციური ასპექტია. ინვესტიციების აქტიურად მოზიდვამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონებში ტურიზმის ინდუსტრიის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. არსებული ეკონომიკური რეალობა, რომელიც რეგიონში ტურისტული საქმიანობის განხორციელებისათვის ინვესტიციის ფაქტორის მკვეთრ ზრდაში გამოიხატება და განსაზღვრავს ტერიტორიული ერთეულების დონეზე მისი განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვან და სავალდებულო პირობას - საჭიროებს მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით საინვესტიციო რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის. გარდა ამისა, ტურიზმის

სექტორში ინვესტიციების მართვის ეფექტიანობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს სახელმწიფო საინვესტიციო ინსტრუმენტების, ბიზნეს სუბიექტებისთვის შეღავათიანი სესხების, ფინანსური და საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან ტურისტული პროგრამების მხარდასაჭერი პროგრამების განხორციელებამ, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტურიზმის განვითარება.

ტურიზმის ინდუსტრიაში საინვესტიციო პროცესების მართვის ეფექტიანად ფუნქციონირების სისტემის შექმნის მნიშვნელოვანი პირობაა საინვესტიციო სფეროში გადაწყვეტილებების მიღების, მართვის სისტემის ძირითადი ელემენტების როგორიცაა პრინციპები, მეთოდები, მათი ურთიერთქმედების მეცნიერული დასაბუთება. ინვესტიციების ზრდის ფონზე იზრდება მათი ეფექტიანი განაწილებისა და გამოყენების საკითხების გადაჭრის აუცილებლობა, საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრა. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ საკითხების ყველაზე პერსპექტიული გადაწყვეტა ემყარება მიზნობრივი მართვის სისტემის გამოყენებას.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი მიმართულება ტურისტული ინფრასტრუქტურის მზარდი საჭიროებებისა და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის არსებული წინააღმდეგობების, მათი გადაჭრისათვის საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბების ზრდის აუცილებლობამ განსაზღვრა. გარდა ამისა, ტურიზმის სფეროში საინვესტიციო საქმიანობის მექანიზმი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი, მისი შესწავლისა და ფორმირებისთვის არ არსებობს ყოვლისმომცველი მიდგომა.

კვლევის საგანს წარმოადგენს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა ტურისტული სექტორის განვითარებაში.

კვლევის ობიექტია საქართველოს ტურისტული სექტორის საინვესტიციო გარემო და მისი სრულყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის განსაზღვრა.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ტურისტული სექტორის საინვესტიციო გარემოს სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავება

- სრულყოფა. ტურისტულ და რეკრეაციულ კომპლექსში საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონალური მახასიათებლების გამოვლენა.

დასახული მიზნის მისაღწევად შემუშავებულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- ✓ თეორიულ - მეთოდოლოგიური და სამეცნიერო მასალების შესწავლა, მეცნიერული შეხედულებების გაცნობა ინვესტიციების როლზე ტურიზმის განვითარებაში;
- ✓ ტურისტული - რეკრეაციული კომპლექსის მნიშვნელობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებისათვის;
- ✓ საქართველოს ტურისტულ და რეკრეაციულ კომპლექსში საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონალური სპეციფიკის გამოვლენა;
- ✓ ტურიზმში ინვესტირების ხარისხის შეფასების ეკონომიკურ-ფინანსური მეთოდების შემუშავება;
- ✓ ტურისტულ სექტორში ეფექტიანი ინვესტირების მოდელის შექმნა;
- ✓ ინვესტიციების შემდგომი გამოყენების პრობლემების გამოვლენა და საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში აღმოფხვრის გზების შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები - კვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეროვნული და უცხოური მეცნიერების ნაშრომები მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ტურისტულ სექტორის განვითარებაზე, საგადასახადო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფაზე. სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის, ტურიზმის დეპარტამენტის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ვებ-გვერდებზე მოპოვებული ინფორმაცია. საკანონმდებლო, ნორმატიული აქტები ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა - ტურიზმის დარგის განვითარების, მისი სხვადასხვა მიმართულებების გაძლიერების პრობლემებზე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ბევრი სამეცნიერო ნაშრომია გამოცემული, მათ შორის: R.Raymond Bar, G. Tarafder, R. Craigwell და სხვები. აგრეთვე, ქართველი მეცნიერების მიერ ცალკე

აღებულ ტურიზმის დარგის განვითარებაზე, მის სხვადასხვა მიმართულებებზე და ცალკე საინვესტიციო გარემოზე შესრულებული ნამუშევრებია, მათ შორის: ე.ბახტაძე, პ.ჩაგანავა, რ.ცინარიძე, ვ.მიქაშავიძე და სხვები. თუმცა კომპლექსური ნაშრომი, ტურიზმის დარგის განვითარებაში ინვესტიციების როლზე კვლევა არ ჩატარებულა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, ზოგიერთ შემთხვევაში ამწვავებს საინვესტიციო რისკებს და ინვესტორებს, რეტროსპექტივაში ტურიზმის დარგში კაპიტალის დაბანდებაზე გადაწყვეტილებას აცვლევინებს. სადისერტაციო ნაშრომში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით დადგინდება ინვესტირების ეფექტიანობა და გამოვლინდება ის მიმართულებები, რომლებიც უნდა განვითარდეს პირდაპირი კერძო ინვესტიციების განხორციელებით და მიმართულებები, რომლებშიც კერძო პირების მიერ კაპიტალის დაბანდება არამომგებიანია და აქ უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს როლი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი. სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ვიზიტორთა რაოდენობა, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში დაბანდებული ინვესტიციები.

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები. მონაცემების მოპოვება მოხდა სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსებიდან, საქართველოსა და უცხოური „აპარტ-ოტელების“ სტატისტიკური მონაცემებიდან, საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ვებ გვერდიდან, ტურიზმის დეპარტამენტის ვებ გვერდიდან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემთა გვერდიდან, მსოფლიო სტატისტიკის ვებ გვერდიდან. ანალიზისათვის გამოყენებული იქნა რეგრესულ - სტატისტიკური მეთოდი, T და F ტესტებით შეფასება; დროითი მწკვრივით პროგნოზირება.

კვლევის ჰარმონიზაცია. ნაშრომის მიზნის შესაბამისად ჩამოყალიბდა:

- ✓ ჰარმონიზაცია 1. ეკონომიკურ ზრდას, ტურიზმის შემოსავლებს, ტურისტულ ხარჯებს და ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობას შორის არის გრძელვადიანი კავშირი;
- ✓ ჰარმონიზაცია 2. ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენ ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა, ვიდრე დანარჩენი ცვლადები.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა EVIEWS სტატისტიკური პროგრამა.

ანალიზისათვის შერჩეული დამოუკიდებელი ცვლადების მულტიკოლენიარობაზე შემოწმებით არ დადგინდა მათ შორის კავშირი, შესაბამისად დადასტურდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, თუმცა, არასრული და მცდარი სტატისტიკური ინფორმაციის შედეგად, დამოკიდებულების კოეფიციენტების მონაცემებმა შეცვალა სასტუმროსა და რესტორნების ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების წილის დამოკიდებულება მშპ-ს მოცულობაზე, ინვესტიციაზე, ტურისტების რაოდენობაზე ერთ სულ მოსახლეზე. აღნიშნულის მიხედვით გამოიკვეთა პრობლემები და ჩამოყალიბდა მათი აღმოფხვრის წინადადებები.

**მეცნიერული სიახლე** - სადისერტაციო კვლევის სამეცნიერო სიახლე ეფუძნება სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ წყაროებსა და ავტორის პირად დაკვირვებებს და მოიცავს შემდეგს:

- ✓ გამოკვლეულია საქართველოს ტურისტულ და რეკრეაციულ კომპლექსი საინვესტიციო პროცესების მართვის სტრუქტურა;
- ✓ დადგენილია ტურიზმისა სექტორში ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების რეგიონალური სპეციფიკა;
- ✓ აგებულია ინვესტიციების პროგნოზირების მოდელი, საქართველოს ტურისტულ სექტორში საქართველოს მაგალითზე განხორციელებული ინვესტიციების შედეგების გაანალიზებით;
- ✓ განსაზღვრულია ტურიზმის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდებისა და საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- ✓ გამოკვლეულია ტურიზმის დარგის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში;
- ✓ გამოვლენილია ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტიციების შემოდინების ფაქტორები, რომელთა შორის მთავარია: რისკი, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და საინვესტიციო რესურსების სტრუქტურა და მათი ძირითადი მახასიათებლები;

- ✓ დასაბუთებულია ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში ინვესტიციების დაფინანსების ძირითადი წყაროები.
- ✓ დადასტურებულია, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტიციების პერსპექტიული მოდელი არის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონების როლის ზრდას, რეგიონული საინვესტიციო პროგრამების გამოყენებას;

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება შემუშავებულ რეკომენდაციებსა და წინადადებებში, რაც ქმნის სამეცნიერო საფუძველს ტურისტული სექტორში საინვესტიციო საქმიანობის გასაზრდელად და ტურისტული მომსახურების ბაზრის გაჯანსაღებისთვის საქართველოს რეგიონებში.

**შრომების პუბლიკაცია.** დისერტაციის ძირითადი შინაარსი და კვლევის შედეგები: ოთხი სტატია გამოქვეყნებულია.

**დისერტაციის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 7 ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადების, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართებისაგან

## თავი I. საინვესტიციო პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

### 1.1. ტურისტული სექტორის განვითარების მიმართულებები და პოტენციალი

ტურიზმი თანამედროვე ეკონომიკის მსხვილი და დინამიური დარგია. მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანა დიდი ხანია დაინტერესებულია მისი განვითარებით, რომელიც თავისი განვითარების სწრაფი ტემპებისა და ფართო მასშტაბების გამო XX საუკუნის ფენომენად აღიარეს. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია მყარად უჭირავს და კონკურენციას თვით ნავთობის მოპოვებასაც კი უწევს. დიდია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული ტურისტული ორგანიზაციების როლი, რომლებიც ხელს უწყობენ მსოფლიო ტურიზმის განვითარებას და ახორციელებენ პროტექციონისტულ პოლიტიკას ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში. სოციალური თვალსაზრისით, ტურიზმს დიდი გავლენა აქვს რეგიონებზე: ტურიზმის განვითარების წყალობით, ათიათასობით სამუშაო ადგილი ჩნდება, ვითარდება საკომუნიკაციო სისტემები, იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის კულტურა და წიგნიერება და ა.შ. მრავალ ქვეყანაში ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ მის განვითარებას უნდა ახლდეს ადგილობრივი, ეროვნული, ტურიზმის პროგრამების ხელშემწყობი ძალისხმევა. თითოეულ ქვეყანაში შიდა ტურიზმი, ეროვნული შემოსავლის გადანაწილების გამო, ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სტაბილურ მდგომარეობას, საზოგადოების ინტერესთა ღრმა ინფორმირებულობას და ქვეყნის ეკონომიკისთვის ხელსაყრელი საქმიანობის განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ, მასობრივი ტურიზმი მე-20 საუკუნის ფენომენია, რადგან მან თანამედროვე ფორმა ძირითადად მანქანებისა და რეაქტიული ძრავების მქონე თვითმფრინავების გამო შეიძინა. ამასთან, ხალხი უხსოვარი დროიდან მოგზაურობდა, ძირითადად, შიმშილის ან საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ძვ.წ. IV ათასწლეულში ფინიკიელების მიერ ფულის გამოგონება და ვაჭრობის განვითარება, შეიძლება ჩაითვალოს მოგზაურობის თანამედროვე ეპოქის დასაწყისად. ასევე, ფინიკიელებმა

გამოიგონეს დამწერლობა და ბორბალი, ამიტომ ისინი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს "ტურიზმის ბიზნესის" ფუძემდებლებად (დოლიკაშვილი, 2021).

მოგზაურობა სავაჭრო, კომერციული, რელიგიური, სამკურნალო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის დიდი ხანით ადრე დაიწყო. ძველ აღთქმაში უამრავი მითითება არსებობს ქარავანში ვაჭრების მოგზაურობის შესახებ. მაგალითად: „25. და დასხდეს ჭამად პურისა და აღიხილნეს თუალნი მათნი და იხილნეს, და, აჰა ესერა, მოგზაურნი ისმაელიტელნი ვაჭარნი მოვიდოდეს გალათით. და აქლემნი მათნი სავსე იყვნეს საკუმუნიკაცია, მტახსითა და მკურისკევითა და მივიდოდეს მთასლვად ეგვერტედ“ (ძვ.აღთქმა, თავი 37).

ახალი ტერიტორიების შესასწავლად, ძველი ბერძენი მეცნიერები (პეროდოტე, ძვ. წ. V საუკუნე) და სხვა ქვეყნების მკვლევრები (პითეა, ძვ. წ. IV საუკუნე) დიდხანს მოგზაურობდნენ. ჩვ.წ.აღრიცხვამდე 776 წლიდან ყოველწლიურად ოლიმპიურ თამაშებზე მოდიოდა ათასობით სპორტისა და ხელოვნების მოყვარულები არა მხოლოდ ელადიდან, არამედ ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებიდანაც. ამ პერიოდს მიეკუთვნება სპეციალური დიდი სახლების მშენებლობა და მოწყობა, რომელშიც სპორტსმენებს და მაყურებლებს შეეძლოთ დარჩენა და დასვენება. ძვ.წ. I საუკუნეში რომის იმპერიაში წარმოიშვა სახელმწიფო სასტუმროები, რომლებს შორის მანძილი ცხენით, ერთ დღის მგზავრობის ტოლი იყო. ისინი განლაგებული იყო ქალაქებსა და მთავარ გზებზე, რომლებსაც კურიერები და მთავრობის წარმომადგენლები რომიდან თითქმის მცირე აზიასა და გალლამდე (კელტური ტომები) იყენებდნენ.

ყველაზე მასობრივი მოძრაობა შუა საუკუნეების ევროპაში ხდებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, რომლებსაც სხვისი სიმდიდრისა და ტერიტორიების წართმევის მიზნით ევროპელი რაინდები, ხოლო მათ შემდეგ ვაჭრები ახორციელებდნენ. აღმოსავლეთისკენ მათ უკან მიჰყვნენ მღვდლები და მომლოცველები, უამრავი მოხეტიალე და გაჭირვებული ხალხის თანხლებით. პრივილეგირებული კლასების წარმომადგენლები შუა საუკუნეებში სამკურნალო წყაროებზე მოგზაურობდნენ. მაგრამ, ლაშქრობისა და მოგზაურობის განსხვავებული მიზნების მიუხედავად, ყველამ ობიექტურად გააფართოვა ადამიანის გეოგრაფიული ცოდნა. მდინარეების, ზღვების,

კონტინენტებისა და მათ მიერ ნანახი ქვეყნების დეტალური აღწერა დატოვეს აფანასი ნიკიტინმა, მარკო პოლომ, ვასკო და გამამ, ქრისტოფერ კოლუმბმა და სხვებმა.).

ტურისტული სექტორი მსხვილი დარგთაშორისი სისტემაა, მრავალფეროვანი კავშირებით მის ცალკეულ ელემენტებს შორის, როგორც ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის ფარგლებში, ასევე მთლიანობაში ამ ქვეყნების ურთიერთობებში მსოფლიო ეკონომიკასთან. როგორც ნებისმიერი სისტემა, ისიც ვერ დარჩება ვაკუუმში და აუცილებელია ფუნქციონირებდეს სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში. ეკონომიკურ გარემოში შედის ყველა ის ძალა და ორგანიზაცია, რომელთან ერთადაც უწევს შეხება ტურიზმის სექტორში დაკავებულ საწარმოებს, ინსტიტუტებს, ფირმებს. ეკონომიკური გარემო ასევე შედგება უახლოესი და უფრო შორეული გარემოსგან, რომელიც მუდმივად უშუალო გავლენას ახდენს ტურიზმის ბიზნესის განვითარებაზე.

"ტურიზმი - ეკონომიკური გარემო" სისტემაში ურთიერთობების შესწავლისათვის სასურველია მათი დაჯგუფება გავლენის ტიპის მიხედვით:

- ✓ ბუნებრივი და გეოგრაფიული;
- ✓ პოლიტიკური;
- ✓ ეკონომიკური;
- ✓ სოციალური;
- ✓ იურიდიული;
- ✓ ტექნოლოგიური;
- ✓ საერთაშორისო;
- ✓ სახელმწიფო.

თითოეული ეს ელემენტი პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს ტურიზმზე, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია ურთიერთკავშირი, სირთულე, მობილურობა და გაურკვევლობა.

ტურისტული სექტორი ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, საგარეო სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაში, მოსახლეობისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და მათი დასაქმების უზრუნველყოფაში. ტურიზმს უდიდესი გავლენა აქვს ეკონომიკის ისეთ საკვანძო

სექტორებზე, როგორებიცაა ტრანსპორტი და კომუნიკაცია, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება და სხვა, ე.ი. წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთგვარ სტაბილიზატორს. თავის მხრივ, ტურიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები: დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, რელიგიური და პოლიტიკურ-სამართლებრივი:

- ✓ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე - არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება თითოეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული შემოსავლის სიდიდესა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობას შორის. მასზეა დამოკიდებული ასევე ტურიზმის მატერიალური ბაზის განვითარების დონე, თვითონ ინდუსტრიის საწარმოები, ინფრასტრუქტურა. ქვეყნები განვითარებული ეკონომიკით ლიდერობენ თავიანთი მოქალაქეების მოგზაურობის რაოდენობით;
- ✓ თავისუფალი დროის ზრდა (შვებულების ხანგრძლივობა) - ეს არის გლობალური ტენდენცია და ნიშნავს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად ახალი პოტენციური ტურისტების შემოდინებას. ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა შრომისუნარიანობის აღდგენის აუცილებლობიდან მომდინარეობს;
- ✓ მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება, კულტურა, ესთეტიკური საჭიროებები - პრაქტიკამ აჩვენებს პირდაპირ კავშირს განათლების დონესა და მოგზაურობისკენ მიდრეკილებას შორის;
- ✓ დემოგრაფიული ფაქტორები - მთლიანობაში მოსახლეობის ზრდის ტემპი პირდაპირპროპორციულია ტურისტების რაოდენობის ზრდის. მაგალითად, მსოფლიოს ბევრ რაიონში ჭარბი მოსახლეობა იწვევს მიგრაციული პროცესების გაძლიერებას, რომლის ერთ-ერთი ფორმაა ტურიზმი. გარდა ამისა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ხელს უწყობს ხანდაზმული ადამიანების ტურიზმში ჩართვას. ეს კონტიგენტი არის ყველაზე მობილური და მოგზაურობისკენ მიდრეკილი, ამიტომ ხდებიან ისინი ამ დარგის მთავარი მამოძრავებელი ძალა;

- ✓ **პოლიტიკური ვითარება** - ტურიზმი მხოლოდ სტაბილურად ვითარდება მშვიდ გარემოში. ამავე დროს, ის შეიძლება გახდეს გავლენიანი ძალა, პლანეტაზე მშვიდობისა და სიმშვიდის ხელშეწყობისათვის. გაეროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, წამყვანი პოზიცია ევროპას უჭირავს საერთაშორისო ტურიზმის მოცულობის ზრდაში. ეს ძლიერი პოლიტიკური გარემოთია გამოწვეული.
- ✓ **ტექნოლოგიური გარემო** - ტურისტული ფირმები ეფექტურად უნდა მოერგონ ტექნოლოგიურ ცვლილებებს და გამოიყენონ ისინი კონკურენტულ ბრძოლაში უპირატესობის მოსაპოვებლად. ძლიერ გავლენას ტურიზმის განვითარებაზე ახდენს გლობალური ინფორმაციული ინტერნეტ ქსელი. ტურისტული ინდუსტრია საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი მასში, ხოლო ტურისტული პროდუქტი ყველაზე მოთხოვნადი.
- ✓ **საერთაშორისო გარემო** - ტურისტთა რაოდენობა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა პირდაპირ პროპორციულია ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, ეკონომიკური განვითარების დონის, სავიზო და საბაჟო პოლიტიკისა და ა.შ.
- ✓ **სამართლებრივი გარემო** - ტურისტული ფირმები მუშაობენ სამართლებრივ ჩარჩოებში, რომელიც არეგულირებს მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: რეგისტრაცია, თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, კონფლიქტების მოგვარება და ა.შ. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ქმედება, რომელიც აღემატება დეკლარირებულს უკანონოდ ითვლება და სამართლებრივი დარღვევის შედეგად შეიძლება პასუხისმგების საკითხი დადგეს ტურისტული კომპანიის.

ასევე დარგის განვითარებაზე გავლენას ახდენს - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, თავისუფალი დროის ხანგრძლივობის ზრდა, შვებულება, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა და მრავალი სხვა ფაქტორი.

ტურისტული სექტორი ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის ელემენტების - სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში ინვესტიციების დაბანდების როლის შეფასებასა და

პროგნოზირებას. წინასწარ განსაზღვრავს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის ზრდას გადასახადების ხარჯზე. გარდა ამისა, ტურიზმს გააჩნია უცხოური ვალუტისა და სხვადასხვა სახის ინვესტიციის მოზიდვის დიდი შესაძლებლობა. მის არანაკლებ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკის დივერსიფიკაცია, იმ დარგების ფორმირება, რომლებიც ემსახურებიან ტურიზმის ინდუსტრიას, უზრუნველყოფენ მოსახლეობის შემოსავლებისა და ერის კეთილდღეობის დონის ზრდას.

ტურიზმის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე ვლინდება ბიზნეს საქმიანობის გაზრდასა და საქონლისა და მომსახურების წარმოების გაფართოებაში, გადახდისუნარიანობის მოთხოვნის გაზრდის შედეგად (უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების ხარჯზე).

ბევრ ქვეყანებში ტურიზმი შედის სახელმწიფოს პირველ სამ წამყვან ინდუსტრიაში, ვითარდება სწრაფი ტემპებით და აქვს უდიდესი სოციალური მნიშვნელობა, რადგანაც იგი:

- ✓ ზრდის ადგილობრივ შემოსავალებს;
- ✓ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს;
- ✓ ავითარებს ტურისტული მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა დარგს;
- ✓ ავითარებს სოციალურ და სამრეწველო ინფრასტრუქტურას ტურისტულ ცენტრებში
- ✓ ააქტიურებს და ხელს უწყობს ხალხური რეწვის საქმიანობასა და კულტურის განვითარებას;
- ✓ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას;
- ✓ ზრდის სავალუტო შემოსავლებს.


აღნიშნული დარგი პოზიტიურ გავლენას სახელმწიფოს ეკონომიკაზე ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ვითარდება ყოველმხრივ, ანუ თუკი ქვეყნის ეკონომიკას მხოლოდ მომსახურების ეკონომიკად არ გარდაქმნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტურიზმის ეკონომიკური ეფექტურობა ითვალისწინებს, რომ იგი სახელმწიფოში უნდა

ვითარდებოდეს სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სხვა დარგებთან ერთად ურთიერთკავშირში და მასთან პარალელურად.

ტურიზმის სექტორში კაპიტალის ინვესტირების შესახებ შესწავლილი იქნა მსოფლიო ბანკის „TCdata360“ სტატისტიკის მიერ დამუშავებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზე აგებული იქნა ინვესტიციების შემოდინების პროგნოზირების წირი.

საქართველოში ინვესტიციების შემოდინების ტურიზმში

დიაგრამა 1



წყარო: The World Bank, TCdata360, ავტორის მიერ აგებული გრაფიკი

[https://tcdat360.worldbank.org/indicators/cap.inv.tat?country=GEO&indicator=24674&countries=BRA&viz=line\\_char&years=1995,2028](https://tcdat360.worldbank.org/indicators/cap.inv.tat?country=GEO&indicator=24674&countries=BRA&viz=line_char&years=1995,2028)

მონაცემების პროგნოზირებას მაღალი სიზუსტით შეესაბამა ექსპონენციალური მრუდი. ამას ადასტურებს არაწრფივი რეგრესიის განტოლების მაღალი დეტერმინაციის კოეფიციენტი  $R^2 = 0,98$ . 1995 წლიდან 2028 წლამდე საშუალო წლიური ზრდის ტემპი მოსალოდნელია 8,09 %. სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარებით საქართველოში ტურიზმში ინვესტიციების ზრდა კარგი მაჩვენებელია, თუნდაც ისეთ წარმატებულ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ავსტრია, აშშ, შვედეთი, ესტონეთი, თურქეთი და ა.შ. ეს მაჩვენებელი არ აჭარბებს 8 %-ს. განსხვავება ჩვენი აზრით, არის ის, რომ ამ ქვეყნებში ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენებით სტაბილურობის პერიოდია. საქართველოს ტურისტული მიმზიდველობა უდაოა, მაგრამ ინვესტორთა დაინტერესების მაღალი დონე აუთვისებელი ტურისტული პოტენციალის დამსახურებაა, რომლის სრულად ათვისებისათვის სხვა ელემენტებთან ერთად სასტუმრო და სარესტორნო ინფრასტრუქტურის გამართულობაა საჭირო.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურიზმის დარგი შეიძლება განვითარდეს ეკონომიკური კრიზისების დროსაც. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც დანახარჯი ერთი სამუშაო ადგილის შექმნაზე 20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე წარმოებაში, ხოლო საინვესტიციო კაპიტალის ბრუნვა 4-ჯერ მაღალია, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში, ეკონომიკური კრიზისებისადმი მედეგია.

ტურისტულ სექტორს მსოფლიო ბაზარზე უწოდებენ "უხილავ იმპორტს", რომელსაც შესაბამისი წვლილი შეაქვს ქვეყნის საგადასახადო ბალანსში. პოზიტიურ მოვლენად ითვლება ის ფაქტი, როდესაც ტურისტების მიერ ქვეყანაში შემოტანილი ვალუტის ოდენობა აღემატება მისი ექსპორტის რაოდენობას. ტურიზმის პირდაპირი გავლენა ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკაზე - ეს არის ტურისტების შემოსავლის ნაწილის დახარჯვა/გამოყენება მომსახურებაზე და საქონლის შეძენაზე. პირდაპირ გავლენას ახდენს ასევე ტურისტების მიერ თვით ტურისტული ობიექტების ფუნქციონირებაში გაწეული ფულადი დანახარჯები, რაც ქმნის მომსახურე ტურისტული ფირმების მატერიალური უზრუნველყოფის ბაზას და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის საშუალებას აძლევა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ეკონომიკაზე გარდა პირდაპირი გავლენისა, ასევე არსებობს მისი არაპირდაპირი გავლენა, ანუ "მულტიპლიკატორული ეფექტი", რომელიც მოქმედებს რეგიონში ტურიზმის გაფართოებასთან ერთად. მულტიპლიკატორი არის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლის (წარმოება - დასაქმება, შემოსავალი) გადახრის თანაფარდობა ტურისტული ხარჯების ცვლილებასთან. არსებობს კოეფიციენტი, რომელზეც უნდა გამრავლდეს ტურისტების დანახარჯები. წარმოების საერთო ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება წარმოების მულტიპლიკატორი. მთლიანი შემოსავლის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება სხვა კოეფიციენტი, რომელიც ასევე უნდა გამრავლდეს ტურისტების დანახარჯებზე.

ტურისტების ხარჯები, უპირველეს ყოვლისა, ტურისტულ საწარმოებში შემოდის, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ტურისტებს. გარდა ამისა, ეს თანხები იხარჯება ფირმების საშუალებით. თანხის ნაწილი ეკონომიკურ ბრუნვიდან ხმარდება საქონლის და მომსახურების იმპორტს, რომელსაც ტურისტები მოიხმარენ საზღვარგარეთ, ან

ტურისტული საწარმოების მიერ შემოთავაზებულ მომსახურებაში. ტურისტების მიერ ამ ტიპის პროდუქტებსა და მომსახურებებზე დახარჯული თანხა მომავალში არანაირ როლს არ თამაშობს ეკონომიკური საქმიანობის წარმოქმნაში. შესაბამისად, ადგილობრივ ეკონომიკაში აქტიურად მოცირკულე თანხის ოდენობა ამ თანხით მცირდება. დარჩენილი თანხა ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების შესაძენად გამოიყენება, ხელფასების გადახდა, გადასახადების დაფარვა და ა.შ. თითოეული ხარჯვის ციკლში, ფულის ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის სახით იღებება. ამ ფულის გარკვეული ნაწილი გროვდება და აჩერებს მის მიმოქცევას ეკონომიკაში. შემოსავალი, რომელიც არ არის დაგროვილი, იხარჯება იმპორტზე და გადასახადების სახით გადადის სახელმწიფო ბიუჯეტში. ამრიგად, შემოსავალი მცირდება და თითოეულ ციკლში ხდება კაპიტალის გადინება სისტემიდან. შემოსავალი დიდ წილად იხარჯება ტურისტების ხარჯზე შემდგომი ეკონომიკური აქტივობის შედეგად.

ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯების პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების კომბინაცია განსაზღვრავს მათ გავლენას ადგილობრივ ეკონომიკაზე. ჩვეულებრივ, ტურისტული დანახარჯებისაგან მიღებული მთელი შემოსავალი არ გამოიყენება: მისი რაღაც ნაწილი დაიზოგება, ხოლო ნაწილი იხარჯება რეგიონის გარეთ. რეგიონის ფარგლებში ამგვარი შემოსავლების შენარჩუნების შესაძლებლობა დამოკიდებულია ადგილობრივი ეკონომიკის მდგომარეობაზე. თუკი მას შეუძლია აწარმოოს ტურისტებს შორის მოთხოვნადი საქონელი და მომსახურება, მაშინ მულტიპლიკატორული ეფექტი მოითხოვს დამატებით სამუშაო ადგილის შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის განვითარებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები: იგი უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის შემოდინებას, ხელს უწყობს დასაქმების ლოკალური პრობლემების მოგვარებას, ასტიმულირებს რეგიონის სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, ზრდის რეკრეაციულ პოტენციალს. მაგრამ ამავდროულად, მომსახურების ამ სფეროს სწრაფი განვითარება ამძაფრებს წინააღმდეგობას მის მასშტაბებსა და მიყენებულ ზარალს შორის: შეინიშნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გარკვეული სახის საკვები და საყოფაცხოვრებო რესურსებისა და წყლის მარაგის შემცირება, ადგილი აქვს გარემოს დაბინძურებას. ეს

ეკონომიკური თვალსაზრისით ადგილობრივ მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე გარე ეფექტების ზემოქმედების სახელითაა ცნობილი. გარე ეფექტების გავლენა ვლინდება ცხოვრების ხარისხის შემცირებაში, სამედიცინო ხარჯების გაზრდაში, სამომხმარებლო ფასების მატებაში. ამიტომ უარყოფითი გარე ეფექტების განეიტრალება უნდა მოხდეს ტურიზმიდან შემოდენილი ფულადი ნაკადების სწორად გადანაწილებით, ქვეყნის/რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით. მიგვაჩნია, რომ ტურისტული სეზონის განმავლობაში გარე ეფექტების ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენის შემცირებისათვის უნდა გატარდეს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა (დამატებითი საქალაქო, საქალაქთაშორისო ტანსპორტის დამატება), თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის დამატება ხდება სეზონურად, მაგრამ შიდა გზებზე ეს პოლიტიკა არ ტარდება. განსაკუთრებით მწვავეა სასურსათო პროდუქტზე ფასების მატება, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება იმპორტირებული პროდუქტით შეუძლებელია.


არსებობს დადებითი გარე ეფექტები, რომელიც კერძო და საზოგადოებრივ სარგებელს შორის სხვაობაში მდგომარეობს. მაგალითად, მიღებულია, რომ კვლევა და განვითარება (R&D) დადებით შედეგებს არა მხოლოდ მწარმოებლისათვის (კომპანია, რომელიც აფინანსებს კვლევას) ქმნის. ეს იმით აიხსნება, რომ R&D ზრდის ზოგად ცოდნას, რაც ხელს უწყობს სხვა აღმოჩენებსა და მოვლენებს. ამასთან, ფირმის კერძო მოგება, რომელიც ყიდის საკუთარ R&D პროდუქტებს, ჩვეულებრივ არ მოიცავს მოგებას, რომელიც სხვა მხრიდან არაპირდაპირი გზით მიიღო. დადებითი გარე ფაქტორების გათვალისწინებით, კერძო მოგება ნაკლებია სახელმწიფო მოგებაზე. როდესაც კერძო და საზოგადოებრივი დანახარჯები, ან კერძო და საზოგადოებრივი სარგებელი განსხვავდება, მაშინ მთავარ პრობლემად ბაზრის შესაძლო არაეფექტურ ფუნქციონირება უნდა დასახელდეს.

მაღალი ტურისტული პოტენციალის მიუხედავად, დღეისათვის საქართველოს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე წამყვანი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით წარმატება შესაძლებელია. მსოფლიო ბანკის სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე წარმატების მიღწევის საიმედო

პროგნოზებია მოცემული. მთავარი ორიენტირი, რასაც ტურიზმი უნდა აძლევდეს ქვეყანას არის დასაქმების და მშპ-ში წილის ზრდა, რომელთა მიღწევაში მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯიც მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს.

### ტურიზმის სექტორში დასაქმების, მშპ-ში წილის რეტროსპექტივა და პერსპექტივა (1996-2024 წ.წ.)

დიაგრამა 2




წყარო: World Bank statistic. ავტორის მიერ აგებული დიაგრამა

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების დონიდან გამომდინარე, კარგ მიღწევად უნდა ჩაითვალოს დასაქმების მიმართულებით 1996 წლიდან დღემდე საკმაოდ მაღალი ზრდა და პროგნოზიც შესაბამისად ზრდას უჩვენებს. გაჩნდა ინტერესი, ქვეყნები, სადაც ტურიზმის ინდუსტრია მაღალ დონეზეა განვითარებული, რა წილი უჭირავს სახელმწიფო ხარჯებს. მსოფლიოში ქვეყნის მშპ-ში ტურიზმის ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა: მაღდივები, დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, მაკაო (ჩინეთის ქალაქი, განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონი), სეიშელის კუნძული და ნიდერლანდების სამეფოს ერთ-ერთი ქვეყანა არუბა. ამ ქვეყნებში ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-ში ასე ნაწილდება: მაღდივები - 38,92 %; ვირჯინიის კუნძულები - 32,96 %; მაკაო - 28,05 %; არუბა - 27,64 %; საქართველო - 1,57 % (2020 წლის მდგომარეობით). *The World Bank, TCdata360* - ის სტატისტიკის გვერდზე მოპოვებული ინფორმაციით ამ ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრიაში სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები შემდეგია (დიაგრამა 3):

## სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში

დიაგრამა 3



წყარო: The World Bank TCdata360. ავტორის მიერ აგებული დიაგრამა

მაკაო ლიდერია მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის ქვეყნის მშპ-ში (მშპ-ის %) წვლილის მიხედვით. 2019 წლის მდგომარეობით, მოგზაურობისა და ტურიზმის წვლილი მშპ - ში (მშპ - ის %) მაკაოში იყო 72 %. ტოპ 5 ქვეყანაში ასევე შედის მაღდივები, სეიშელის კუნძულები, არუბა და ბაჰამა. დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ ყველა ძლიერი ეკონომიკის ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში სახელმწიფოს როლი თანამედროვე პერიოდშიც არ გამოირიცხება და ტოპ ხუთეული ქვეყნის მონაცემებით სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი წილი არის სეიშელის კუნძულებზე. დარგის განვითარების დასაწყისში სახელმწიფოს მაღალი წილი ყველა ქვეყანაში იკვეთება, მათ შორის საქართველოშიც, ხოლო შემდეგ სტაბილურად ხდება ხარჯების გაწევა (ეს შეიძლება იყოს ახალი ტურისტული ადგილების აღმოჩენა და ინფრასტრუქტურის აღდგენა, ახალი ტურისტული პროდუქტის გავითარებაში რეკლამის და ორგანიზაციის სახით ხარჯის გაწევა, ტურისტული პროგრამების დაფინანსება და ა.შ). საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის განვითარებაში გაწეული ხარჯი უმნიშვნელოა ამ ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ ხარჯების გაწევის კანონზომიერება ტურიზმის დარგში განვითარებული ქვეყნების იდენტურია - მსოფლიო ბანკის ემპირიული კვლევების თანახმად არსებობს მიზეზ-

შედეგობრივი კავშირი ტურიზმსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. კერძოდ, ერთი სტანდარტული გადახრით ტურიზმის წილის ზრდა იწვევს 0,5 % - ით ეკონომიკის ზრდას. ე.ი. ტურიზმის სექტორში ინვესტირებით სახელმწიფოს ექმნება შესაძლებლობა მოახდინოს გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, ამიტომ სახელმწიფოს როლი ტურიზმის დარგის განვითარებასა და მისგან მიღებული შემოსავლების სწორად გადანაწილებაში მნიშვნელოვანია.

საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის მაქსიმალური მოგების მიღებასთან ერთად, შემცირდეს სოციალური დანახარჯები. თუ ყველა ხარჯი და სარგებელი არ გადაიფარება შიდამეურნეობებისა და ფირმების მიერ, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ შესყიდვებისა და წარმოების შესახებ, ბაზრის ფუნქციონირებამ შეიძლება გამოიწვიოს, წარმოების მაღალი ან დაბალი დონე, რასაც ეკონომისტები უწოდებენ "კეთილდღეობის პრინციპს". განვიხილოთ მაგალითი დაბინძურება - საზოგადოებრივი დანახარჯები იზრდება დაბინძურების დონის ზრდის შესაბამისად, რომელიც წარმოების ზრდამ გამოიწვია, ამიტომ ნეგატიური ზემოქმედების მქონე საქონელი ჭარბად იქმნება. ამ დროს, საქმე გვაქვს მხოლოდ კერძო ხარჯებთან და არანაირი დანახარჯები არ არსებობს სხვებისთვის. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურ კერძო, და არა საზოგადოებრივ მოგებას, მივყავართ საქონლის და მომსახურების არასაკმარის წარმოებასთან, დადებითი გარე ფაქტორების არსებობისას. ამიტომ, ამ სფეროს განვითარების ოპტიმიზაციის დროს საჭიროა მსოფლიო გამოცდილების გაზიარება, გარემოს დაცვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, არსებული რესურსების იდენტიფიკაცია, ტურიზმის განვითარების ნორმატიული და სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება და სხვა ზომების მიღება ეკონომიკის დასაბალანსებლად. ტურიზმი ემსახურება ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს, წარმოადგენს შემოსავლის წყაროს როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები/შესაძლებლობები:

- ✓ ეკონომიკურმა ზრდამ და სოციალურმა პროგრესმა განაპირობა, არა მხოლოდ საქმიანი ვიზიტებით, არამედ საგანმანათლებლო მიზნით მოგზაურობების მოცულობის ზრდა;
- ✓ ყველა სახის ტრანსპორტის გაუმჯობესებამ მგზავრობა გააიაფა და მოგზაურობის შესაძლებლობა ხელმისაწვდომი გახადა მოსახლეობის მრავალი ფენისათვის;
- ✓ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დაქირავებული მუშახელისა და დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდამ, მათი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებამ შესაბამისად გამოიწვია ადამიანთა სულიერი და შემეცნებითი ღირებულებებისადმი მისწრაფება;
- ✓ შრომის გააქტიურებისა და მუშახელზე უფრო ხანგრძლივი შვებულებების გაცემის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ გაუჩნდებათ უფრო შინაარსიანი დასვენების საჭიროების აუცილებლობა;
- ✓ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა ინტერპერსონალური კავშირების გაფართოება როგორც რეგიონებს შორის, ასევე რეგიონის შიგნით;
- ✓ მომსახურების სექტორის განვითარებამ ხელი შეუწყო სატელეკომუნიკაციო სფეროში ტექნოლოგიური პროგრესის სტიმულირებას, გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების მონახულების მიმართ ინტერესი;
- ბევრ ქვეყანაში ვალუტის ექსპორტზე შეზღუდვების შესუსტება და სასაზღვრო პროცედურების გამარტივება ასევე ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

საერთაშორისო მასშტაბით ტურიზმის განვითარების ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა ცალკეულ ქვეყნებში ორგანიზაციულ - ეკონომიკური პროცესების განვითარებისათვის შექმნა ხელსაყრელი პირობები, რადგან ის წარმოადგენს:

- ✓ სავალუტო შემოსავლების უმნიშვნელოვანეს წყაროს;
- ✓ საგადასახდელო ბალანსის ზრდის სტიმულირების ფაქტორს;
- ✓ მრავალი დარგის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ძლიერ სტიმულს (წარმოიქმნება როგორც საწარმოები, ასევე ტურიზმის სფეროს მომსახურე ცალკეული სექტორები).

ეკონომიკურ ურთიერთობაში ტურიზმი განიხილება, როგორც:

- ✓ პროდუქციის წარმოების, გაცვლისა და განაწილების სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული ერთობლიობა;
- ✓ მოცემული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის ნაწილი - წარმოების გარკვეული დარგობრივი სახეებისა და ეკონომიკური საქმიანობის ჩათვლით;
- ✓ ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ტურიზმს, როგორც ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკის დარღს (ტურიზმის ეკონომიკა);
- ✓ სოციალური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ტურისტული პროდუქტის წარმოების სფეროების ქცევას, მის მოხმარებას, განაწილებასა და გაცვლას. ეკონომისტები აანალიზებენ ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებს, პროგნოზირებენ მათ შედეგებს ფიზიკური პირების, ორგანიზაციებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის.

ფუნდამენტური ეკონომიკის თვალსაზრისით, ტურიზმი არის ეკონომიკური კომპლექსი, რომლის განვითარება მეტწილად აიხსნება მსოფლიო ეკონომიკური პროცესებითა და ურთიერთობებით, ვიდრე იმანენტური (შინაგანი) მიზეზებით. მაგრამ ტურიზმი ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი კატალიზატორია მრავალი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ქვეყნებს შორის გადანაწილების არხს, რასაც თან არ ახლავს საქონლისა და მომსახურების გატანა (იმპორტი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ტურისტებს არა მხოლოდ გააქვთ სხვა საწარმოებში გამომუშავებული სახსრები გარეთ, არამედ სხვა ქვეყნებშიც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

მაღალი ტურისტული პოტენციალის მიუხედავად, დღესდღეობით საქართველოს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე არც თუ ისე წამყვანი ადგილი უკავია. საქართველოში შემოსულ საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა არ შეესაბამება ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს. არადა ტურიზმს გააჩნია კოლოსალური პოტენციალი, მიუხედავად ტურისტული ბიზნესის არც თუ ისე იდეალური მდგომარეობისა. წარმატების მიღწევა შესაძლებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით.

მოგზაურობასა და ტურიზმზე მოთხოვნა ერთდროულად განისაზღვრება როგორც საბაზრო მექანიზმებით (მოთხოვნა ტურისტულ, საექსკურსიო და სხვა მომსახურებაზე, ამ მომსახურებების მიწოდება და მათი გადანაწილება), ასევე ეგზოგენური ცვლადებით, ე.ი. ფაქტორებით, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ტურიზმთან და მოგზაურობასთან, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ტურისტული საქმიანობის მოთხოვნის ხარისხსა და ფორმაზე. ეგზოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებები, ეკონომიკური და სამართლებრივი მიღწევები, ვაჭრობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მოგზაურობის უსაფრთხოების გაუმჯობესება.

დემოგრაფიულ და სოციალურ ცვლილებებს მიუკუთვნება:

- ✓ მოსახლეობის დაბერება;
- ✓ პენსიაზე ადრე გასვლა საკმარისი საპენსიო უზრუნველყოფით;
- ✓ მარტოხელა ზრდასრულთა მზარდი რაოდენობა;
- ✓ მომუშავე ქალების რიცხვის ზრდა;
- ✓ ოჯახების რაოდენობის ზრდა, რომელშიც ორი დასაქმებულია;
- ✓ გვიანი ქორწინების ტენდენცია;
- ✓ უშვილო ოჯახების რაოდენობის ზრდა;
- ✓ ანაზღაურებადი შვებულების ვადების ზრდა;
- ✓ მოგზაურობის შესაძლებლობების უკეთ გაცნობიერება;
- ✓ გარემოზე ზრუნვა.

ამრიგად, საზოგადოების დემოგრაფიულ სტრუქტურასა და სოციალურ მოდელებში მომხდარი ცვლილებები იწვევს იმას, რომ მსოფლიოში უფრო და უფრო მეტ ადამიანს უჩნდება დრო, სურვილი და ფინანსური შესაძლებლობები მოგზაურობისათვის.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არსებობს მკვეთრი კავშირი ტურიზმის განვითარების ტენდენციასა და ქვეყანაში ეკონომიკის საერთო მდგომარეობას შორის. მოგზაურობის დინამიკა ძალიან მგრძნობიარება იმის მიმართ, ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, თუ დაღმავლობისაკენ მიდის.

საერთაშორისო ტურისტული გაცვლების გეოგრაფიული კონცენტრაცია შეესაბამება ვაჭრობის გეოგრაფიულ კონცენტრაციას, მაგრამ აქვს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება. პირველ რიგში, ტურიზმის შემოსავლების დადებითი ბალანსის მქონე ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ხშირად აქვთ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ტურისტული ბირჟების უარყოფითი ბალანსი, აქვთ დადებითი სავაჭრო ბალანსი, მაგალითად, გერმანია, იაპონია. მეორეც, ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მსგავსი ნიმუშების ტურისტული მომსახურების გაცვლა სულაც არ ნიშნავს მსგავსი ტიპის პროდუქტებით გაცვლას, მაგალითად ისე, როგორც საქონლით ვაჭრობაში. მართლაც, ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლა, უპირველეს ყოვლისა, ერთი და იგივე კატეგორიის პროდუქტების გაცვლაა, მაგალითად, ავტომობილებით ვაჭრობა აშშ-სა და იაპონიას შორის, ან საკვები პროდუქტებით ვაჭრობა ევროპის ქვეყნებს შორის. ეს არის ე.წ. შიდა ინდუსტრიული ვაჭრობა. ტურიზმში მსგავსი პროდუქტების გაცვლა ასევე არსებობს, მაგალითად, კულტურული ტურიზმის სექტორში, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით. როგორც წესი, ადგილი აქვს ტურიზმის ტრადიციული სახეობების გაცვლას. მაგალითად, ევროპის ჩრდილოეთის ქვეყნების მაცხოვრებლები ძირითადად შვებულებას ატარებენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კურორტებზე, ხოლო სამხრეთის თბილი ქვეყნების მაცხოვრებლები სათხილამურო კურორტებზე დასვენებას ამჯობინებენ.

## 1.2. ეკონომიკის ზრდაზე ტურიზმის სექტორის მახასიათებლების ანალიზი

ეკონომიკური სარგებელი ტურიზმის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იმისათვის, რომ სახელმწიფომ ტურიზმის განვითარებიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს, მან უნდა შეიმუშაოს ტურიზმის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ - ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს. სახელმწიფოს ტურიზმის პოლიტიკა წარმოადგენს ტურისტული სექტორის მუშაობაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ფორმების, მეთოდებისა და მიმართულებების ერთობლიობას, რათა განხორციელდეს კონკრეტული სოციალურ - ეკონომიკური კომპლექსის განვითარება. სტრატეგია, რომელსაც ემყარება სახელმწიფო ტურიზმის პოლიტიკა, მდგომარეობს განვითარების მიზნობრივი კონცეფციის შემუშავებასა და ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში, როგორც მთლიან სახელმწიფოში, ასევე რეგიონულ დონეზე. მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად დიდი ფინანსური რესურსები იხარჯება, ამიტომ სახელმწიფოს ჩამოყალიბებული აქვს ტურისტული საქმიანობის რეგულირების ღონისძიებები:

- ✓ წორმატიულ-სამართლებრივი აქტების შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში ურთიერთობების სრულყოფას;
- ✓ შიდა და მსოფლიო ბაზრებზე ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ✓ პირდაპირი საბიუჯეტო ასიგნებები ტურიზმის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

პოლიტიკის შექმნა და განხორციელება უნდა დაეფუძნოს დარგის განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკას. სტრატეგია გულისხმობს კონკრეტული მიზნის მისაღწევად სახსრების ზოგად მიმართულებასა და გამოყენების მეთოდს. კონკრეტულ პირობებში მიზნის მისაღწევად გამოიყენება ტურისტული ტაქტიკა, ანუ კონკრეტული ზომები და ხერხები. ტურისტული ტაქტიკის ამოცანაა მოცემულ ეკონომიკურ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევა. ტურიზმის ინდუსტრია არ არის განყენებული დარგი, ის განვითარებას აღწევს მხოლოდ მომიჯნავე დარგებთან ურთიერთობაში მათი

განვითარებით და ასევე ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ამ დარგების განვითარებას. ამიტომაც ტურიზმის განვითარებიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტი მრავალდონიანია. ტურისტული საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ბიუჯეტური ეფექტი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შევსების შედეგს.

ტურიზმის განვითარების ეფექტიანობის კონცეფციაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს არა მხოლოდ მოგება და შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო მიიღებს, არამედ ის ხარჯებიც, რომლებიც მათ უზრუნველყოფს. ეფექტიანობის შეფასების საფუძველია ხარჯებისა და შედეგების თანაფარდობა. ხარჯების წყარო შეიძლება იყოს არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქცია, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ტურისტებზე მომსახურე საწარმოების კომერციულ საქმიანობას.

ტურისტული საქმიანობაში ინტეგრირებულია მოსახლეობა, სხვადასხვა კომერციული საწარმოები, სახელმწიფო სამსახურები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ტურისტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობა განისაზღვრება ტურისტი - ვიზიტორთა რაოდენობით, ან იმ კომერციული ტურისტული სტრუქტურების საქმიანობის მოცულობით, რომლებიც აწარმოებენ ტურისტულ პროდუქტს. კერძოდ: დღეში საწოლების ბაზის საშუალო წლიური დატვირთვა, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ერთ ადგილზე საქონელბრუნვა, ექსკურსიებიდან და სხვა კულტურული ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი, ერთ ტურისტზე ვალუტის გაცვლა და ა.შ.

ვინაიდან ტურიზმი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს და სცილდება ტრადიციული წარმოდგენის ჩარჩოებს, რომელიც მხოლოდ დასვენებას უკავშირდება, მისგან მიღებული ეფექტი უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებული ტიპის მომხმარებლის მოთხოვნილების აზრის გათვალისწინებით. ამის მისაღწევად ტურიზმის მენეჯმენტი განიხილება ორი მიმართულებით: ეკონომიკური და სოციალური.

გამგზავრებების სიხშირისა და მოგზაურობის ინტენსივობის გამოთვლები ძირითადია და ყველაზე მარტივი, რაც გარკვეულწილად საშუალებას მოგვცემს

გავაკეთოთ დასკვნები შემოთავაზებული ღონისძიებების დანერგვის ეფექტიანობისა და ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ქვესექტორის განვითარების შესახებ.

ერთერთი ინდიკატორი „მგზავრობის სიხშირე“ გვიჩვენებს, საშუალოდ რამდენი ადამიანი მოგზაურობს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში:

$$\text{მგზავრობის სიხშირე} = (\text{გამგზავრების რაოდენობა}) / (\text{დროის შუალედი})$$

მგზავრობის ინტენსივობის მაჩვენებლის განსაზღვრა ითვალისწინებს არა ცალკეულ პიროვნებას, არამედ რეგიონის მთელ მოსახლეობას:

$\text{მგზავრობის ინტენსივობა} = (\text{ტურისტების რაოდენობა}) / (\text{მოსახლეობის რაოდენობა}) * 100\%$   
ეს ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ სტატისტიკური აღრიცხვა, რითაც მოხდება შემდგომი პროგნოზირების ბაზის ფორმირება.

მრავალი მკვლევარი აღნიშნავს - იმის გამო, რომ ტურისტული ბიზნესი მიეკუთვნება მაღალ რენტაბელურ კომერციულ საქმიანობას, მთავარ შემფასებელ მაჩვენებლად მიღებულია ჩაითვალოს პირდაპირი ეკონომიკური მაჩვენებლები (ყორღანაშვილი 2012, ხელაშვილი 2016, Boora 2017). სოციალური მაჩვენებლები ფაქტიურად, არ მიეკუთვნება კრიტიკულებს. სინამდვილეში, გარდა პირდაპირი ეკონომიკური ეფექტისა, არსებობს არაპირდაპირი/ირიბი და სოციალური ეკონომიკური ეფექტები. არაპირდაპირი/ირიბი ეკონომიკური ეფექტი დაკავშირებულია ტურიზმის თანმხლები (ასოცირებული) სფეროების (ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, ტრანსპორტი და სხვ.) რენტაბელობასთან, ასევე ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტებში დამატებით საგადასახადო შემოსავლებთან. ხშირ შემთხვევებში სოციალური ეფექტი არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ის ან დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, ან შეზღუდვების სახით გვევლინება (მაგალითად ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი). თუკი ეკონომიკური ეფექტის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივად, მაშინ სოციალური ხასიათის მაჩვენებლების სისტემის გაზომვა ძალზე რთული და პრაქტიკულად შეუძლებელია. რეკრეაციულ-ტურისტული კომპლექსის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური რესურსების ეფექტური გამოყენების პირობების შექმნას და საკურორტო და ტურისტული საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის გაფართოებას, წარმოადგენს ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას.

ქალაქის და მთლიანად რეგიონის ეკონომიკის თვალსაზრისით, ტურიზმი პირობითად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მისი ერთ-ერთი სფერო. ამ შემთხვევაში ტურიზმის განვითარების სხვადასხვა ვარიანტების ეფექტურობის შედარებითი შეფასება უნდა ჩატარდეს ამ სფეროს სხვა სფეროების ფუნქციონირებაზე გავლენის გათვალისწინებით. მაგრამ, რადგანაც დღესდღეობით არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტის სრული აღრიცხვის მეთოდებისა და ფორმები საჭიროებს დაზუსტებას, ამიტომ სოციალური ეფექტის საზომად მივიჩნიოთ ქალაქის (რეგიონის) სოციალურ-ეკონომიკური ტურისტული საქმიანობიდან მიღებული მოგება.

ბუნებრივია, სახელმწიფო ცდილობს ტურისტული საქმიანობის ყველა ხარჯები გადაიტანოს/დააკისროს ტურისტულ სააგენტოებს. მაშინ ამ და სხვა სახის ხარჯებმა შეიძლება გადაალახოს ის კრიტიკული ზღვარი, რასაც მოჰყვება მთელი ტურისტული სისტემის ნგრევა. ჩვენი აზრით ქვეყანაში, სადაც ტურიზმი ერთერთი მნიშვნელოვანი დარგია, მხოლოდ კერძო ბიზნესზე დაყრდნობით მისგან ეკონომიკური და სოციალური ეფექტი ერთდროულად ვერ მიიღება. ვგულისხმობთ, კერძო სექტორის შესაძლებლობებს ტურისტის მიღების კუთხით, მაგრამ თუ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება გაწეული ხარჯები სანახაობების აღსადგენად, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, მხოლოდ დამისთევისათვის ტურისტი არ შემოვა ქვეყანაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ დარგის წარმატების მიღწევა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედად მოგვცემს აშენებულ სასტუმროებს, რესტორნებს და ფულადი ნაკადების არასათანადო მოძრაობით შემოსავლები დაიწყებს კლებას. ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მიერ გაწეული ხარჯები უმეტეს შემთხვევაში არის ზოგადი ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის და არაპირდაპირ ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ტურისტული საქმიანობისათვის დამახასიათებელია პრინციპი ”ტურიზმი უნდა განვითარდეს ტურიზმის ხარჯზე!“ ეს თანხები ძირითადად, იხარჯება ინფრასტრუქტურასა და რეკლამირებაში, მაგრამ არაპირდაპირ, ნაბიჯ-ნაბიჯ ავითარებს შემომავალ ტურიზმს, რის შემდეგ ყველა ხარჯი ანაზღაურდება და „ტურიზმი დადგება ფეხზე“. ტურიზმის დარგის განვითარებაში უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრა, პირველ რიგში საჭიროებს მის გარეშე სოციალურ - ეკონომიკური

მდგომარეობის შეფასებას, საზოგადოების დამოკიდებულებას ტურიზმისადმი, ხელისუფლების სტრატეგიას, რადგან უცხოელი ინვესტორისათვის მიმზიდველი გარემოს არსებობა არ იყოს დაფუძნებული მხოლოდ იაფ მუშახელზე, იაფ პროდუქციაზე და ლიბერალურ საინვესტიციო პოლიტიკაზე. ინვესტიციების ეფექტიანობას განსაზღვრავს გადახდისუნარიანი მომხმარებლების რაოდენობა, რაც არა მხოლოდ სასტუმრო/სარესტორნო ინფრასტუქტურით განისაზღვრება, არამედ საზოგადოების სოციო-კულტურული მახასიათებლებით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით, სანახაობათა უნიკალურობით და ა.შ.

მირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ტურიზმის მდგომარეობისა და განვითარების დონეს დაფუძნებულია შემავალი და გამომავალი ტურიზმის სტატისტიკურ მონაცემებზე, კერძოდ:

- ✓ შემომავალი ტურიზმი უზრუნველყოფილია, პირველ რიგში, რეგიონის ღირსშესანიშნაობების რეკლამირებით (მირითადად მისი ტერიტორიის გარეთ), რომელიც უნდა უზრუნველყოს რეგიონის ადმინისტრაციამ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამგვარი ღონისძიებების სპეციალური მოდელის შექმნის აუცილებლობა ორგანიზაციის და ტურისტული ბიზნესის რეალიზაციის მონაწილეთა შორის წილობრივი ხარჯების გათვალისწინებით;
- ✓ გამავალი ტურიზმის ტურისტული პროდუქტის წარმართვა უშუალოდ ტურისტულ სააგენტოებს უნდა დაეკისროთ, და ამაში ქალაქის სტრუქტურების მონაწილეობის წილი ძალიან მცირეა, ანუ ეს არის სულ სხვა ამოცანა, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ მოდელს.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური რეცესიების პირობებში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში შექმნილი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ტურისტული სექტორის განვითარება, რომელიც, თავისი შინაარსით, განსაზღვრავს როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე ცალკეული მუნიციპალური წარმონაქმნის მომავალს.

ტურიზმის განვითარების პროცესის უწყვეტობა ითხოვს არა მარტო შრომითი და მატერიალური, არამედ ფინანსური რესურსების აუცილებელ არსებობას, რასაც საინვესტიციო გარემოს სრულყოფილება ძალზე მნიშვნელოვანს ხდის. სახელმწიფოს როლი ტურისტულ სექტორში ინვესტორთა დაინტერესებაში და მათ მიმზიდველობაში უმთავრესი წინაპირობაა ტურიზმის გეგმაზომიერი და დინამიური განვითარებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისათვის, ტერიტორიების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, საბოლოო ჯამში, რეგიონის უსაფრთხოებისათვის და მისი შესაძლო საფრთხეების დროული არიდებისათვის, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დონის, ასევე მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების დონის სახელმწიფო მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს. ტურისტული სექტორის ინვესტირების შემდგომი აქტივიზაცია შეუძლებელია შესაბამისი თეორიული ბაზის შექმნის გარეშე, რომელიც ამჟამად არასაკმარისადაა შემუშავებული.

საინვესტიციო გარემო ფასდება თუ რამდენად ხელსაყრელია კაპიტალდაბანდება როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტიკური და, რაც მთავარია, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამისათვის საჭიროა გაანალიზდეს: ფინანსური ბაზრის მდგომარეობა ქვეყანაში, მოზიდულ და სამამულო ინვესტიციებს შორის თანაფარდობა, ინვესტიციების ეფექტიანობის ყველა ფაქტორი და განსაზღვროს საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკი. აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის, რომელიც ახდენს ინვესტიციების იმპორტს, ინვესტიციური გარემოს მდგომარეობა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას. ის აისახება მოზიდული ინვესტიციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებში. ვინაიდან უცხოური კაპიტალის მოძრაობა ხელს უწყობს ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის შერბილებას, ცხოვრების დონის დაცემისა და უმუშევრობის ზრდის შენელებას და საშუალებას იძლევა სახელმწიფო საგარეო ვალის გადიდების გარეშე ქვეყანაში შემოტანილ იქნას ახალი მოწყობილობები და ტექნოლოგიები, გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა და საბიუჯეტო შემოსავლები, უპრიანია სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდეს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ნაკლებად მიმზიდველია როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორებისათვის. ამიტომ საჭიროა ამის გამომწვევი მიზეზების კომპლექსური შესწავლა, შესაბამისად მათი დაძლევისათვის ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის პროცესების კოორდინაცია. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული საკითხების მიზანმიმართული და კომპლექსური გადაჭრა, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა; ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით; სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა და ა.შ. მსოფლიოში ინვესტიციების, საინვესტიციო საქმიანობის შესწავლის მეტად მდიდარი გამოცდილება არსებობს. ინვესტირებისა და მისი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის პრობლემები ამა თუ იმ კუთხით განხილულია ა. სმითის, დ. რიკარდოს, ა. მარშალის, კ. მარქსის, ჯ. კეინსის და სხვა ცნობილ მეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში.

საინტერესო მიდგომას ავითარებს საგარეო საქმეთა, ევროკავშირისა და თანამშრომლობის მინისტრი არანჩა გონსალესი, „მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი ხშირად საჭიროებს მნიშვნელოვან რესურსებს, ის არის განვითარებად ქვეყნებში სიდარიბის შემცირების მთავარი ფაქტორი“. ასევე, “ტურიზმის ინდუსტრიას აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი გახდეს მისაბაძი მაგალითი მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც ეკონომიკაში პოზიციონირებს, როგორც საქონლისა და მომსახურების, სამშენებლო მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მყიდველი“ (A.Gonzalez.....1969). ვეთანხმებით გონსალესის მიდგომას ტურიზმის, როგორც მდგრადი განვითარების, სიღარიბის შემცირების მთავარ ფაქტორად წარმოჩინებაში და ჩვენი მხრიდან განვავრცობთ, რომ ტურიზმის სექტორი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის გენერატორად, რომელიც ნათელს ხდის მომიჯნავე დარგების განვითარების აუცილებლობას. ტურიზმის სექტორის მრავალწახნაგოვანი ბუნება დაფინანსების წყაროსთან მიმართებაში და ინვესტიციების გაზომვადობის კუთხით ქმნის რთულ

სურათს. ეს სირთულე წარმოდგება ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ქცევის ცვლილებაში, ინვესტორთა მისწრაფებაში, კაპიტალი დააბანდონ ისეთ ტექნოლოგიებში, რომელიც შეესაბამება მომხმარებელთა გემოვნებას. ამიტომაც დიდ მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა ქცევის შესწავლას, რაც განისაზღვრება ქვეყანაში შემოსვლით დაინტერსებული ტურისტების მიერ უპირატესობა მინიჭებული მოთხოვნების ანალიზით. ეს კი ქმნის საფუძველს ინვესტიციიდან მიღებული სარგებელი, რომელიც გადანაწილდება ტურისტის კმაყოფილებას, ქვეყნის შემოსავლიანობის ზრდას და ინვესტორის მიერ მოთხოვნილ სარგებელს შორის, ჩამოყალიბდეს ისეთი თანაფარდობა, რაც ინვესტიციის განხორციელების წინა პერიოდში რისკების გათვლის და პროგნოზირების შედეგების მიხედვით ალტერნატივა მისაღებად ჩაითვალა. გამოთვლილი მახასიათებლებიდან რაოდენობრივად გაზომვადი არ არის ტურისტების კმაყოფილების ინდექსი. რა თქმა უნდა ჩვენ არ უარვყოფთ გამოკითხვების საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, მაგრამ ეს ექსპერტული შეფასების ერთერთი ინსტრუმენტია და მაინც და მაინც ვერ იქნება რელევანტური. დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს თანამედროვე პერიოდში ჩატარებული კვლევები ქცევით ეკონომიკაში (რიჩარდ ტალერი - 2017 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი), რომლის მიხედვით ადამიანის გონება ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილებოდა, როგორც „შავი ყუთი“ და ისინი მუდამ რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ ტელერის კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები საკუთარი შემოსავლების ხარჯვისადმი აღარ არიან რაციონალურები, ისინი ღებულობენ ირაციონალურ გადაწყვეტილებებს, რომლებზეც გარდა ფინანსური რესურსებისა, გავლენას ახდენს მათი განსხვავებული დამოკიდებულება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ფულის მიმართ. (Richard H. Thaler.....2017). აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც შექმნილი ტურისტული ინფრასტრუქტურის ძირითადი მომხმარებელი, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას ქვეცნობიერად ხელმძღვანელობს „საკუთარი ბედნიერების“ განმსაზღვრელი მახასიათებლებით. ვინაიდან ჩვენ ვიკვლევთ დარგს, რომლის გარეშე კონკრეტულ ადამიანს შეუძლია გააგრძელოს ცხოვრება, ამიტომაც ყურადღება უნდა მიექცეს ინვესტიციის დაბანდების ობიექტის შერჩევას, ობიექტის

გამოყენების შესაძლებლობებს, დარგთაშორის კავშირში ერთერთ მთავალ რგოლად წარმოჩინებას. ტურიზმის განვითარების ჰიპოთეზა მხოლოდ ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების დაბანდება არ არის, რადგან ერთ სექტორში წარმატება, სხვა სექტორის განვითარების გარეშე შეუძლებელია.

„თუ თქვენ არ შეგიძლიათ დააკმაყოფილოთ მომხმარებლის მოთხოვნა ერთი სექტორის მიერ წარმოებული საქონლით, თქვენ უნდა შექმნათ დარგობრივი ინტერვენციების პორტფელი, რომ მიაღწიოთ წარმატებას: სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, ხოლო მომსახურების სექტორი მომავლის მნიშვნელოვანი სექტორია.“ (J.Stiglitz, 2019). ჯ.სტიგლიცის ეს მოწოდება თავისთავში მოიცავს დარგთაშორის კავშირს და სახელმწიფოს ჩარევას ამ კავშირის დარეგულირებაში. ჩვენი აზრით, პირველ რიგში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ეკონომიკის განვითარების კონცეფციით უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური სპეციალიზაცია, და მათი დარგობრივი უპირატესობები. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ტურიზმის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების „ნიშის“ პოტენციალი, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ინვესტიციის ამ დარგში დაბანდებისადმი ინვესტორთა დამოკიდებულებას. მარტივად რომ აიხსნას, რაც მეტი დარგობრივი მახასიათებელი იქნება ტურიზმის განვითარების ე.წ. „ბლოკში“ მით უფრო მიმზიდველი იქნება უცხოელი ტურისტისათვის, თუნდაც ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მოხმარების თვალსაზრისით.

ტურიზმის გავლენის შესახებ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ბევრი სამეცნიერო კვლევაა ჩატარებული სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ (Wanhill 1999, Бирман 1997, Аксанов 1996., ...). აღნიშნულ საკითხებზე კვლევა ნაკლებად მოიძებნება ქართულ ლიტერატურაში. შესაბამისად გაჩნდა ინტერესი ჩატარებულიყო საქართველოს ეკონომიკაზე ტურიზმის დარგის გავლენის ანალიზი.

კვლევისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზები:

**ჰიპოთეზა 1.** ეკონომიკურ ზრდას, ტურიზმის შემოსავლებს, ტურისტულ ხარჯებს და ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობას შორის არის გრძელვადიანი კავშირი;

**პიპოთება 2.** ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენ ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა, ვიდრე დანარჩენი ცვლადები.

კვლევისათვის ყველა მონაცემი აღებული იქნა მსოფლიო ბანკის ვებ გვერდიდან. იმის გამო რომ ყველა ცვლადის მონაცემი არ იქნა მოპოვებული 1996 წლიდან და ასევე 2020-2021 წლების მონაცემები არ იყო განთავსებული, კვლევა ჩატარდა 18 წლიან პერიოდზე 2002-2019 წწ. ცვლადები (ეკონომიკური ზრდა - მშპ; შემოსავალი ტურიზმიდან; ტურისტული ხარჯები; ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა) შემოწმდა აღწერილობითი სტატისტიკით, კორელაციის კოეფიციენტებით. დადგინდა მონაცემთა მწკრივების ნორმალური განაწილება (ჟარკე-ბერა) და სტაციონარულობა (დიკიფულერი). ბოლოს შერჩეულ ცვლადებს შორის მიზეზ - შედეგობრივი კავშირი შემოწმდა გრეიინჯერის ტესტით.

მოდელი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

$$\ln(GDP) = \beta_0 + \beta_1 \ln(Tincom) + \beta_2 \ln(Teqxpen) + \beta_3 \ln(TN) + \varepsilon$$

სადაც, GDP არის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (მშპ), Tincom-ტურიზმიდან შემოსავალი, Teqxpen - ტურისტული ხარჯები, TN - ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა.

დესკრიპტული სტატისტიკა, ჟარკე-ბერას ტესტი, კორელაციის კოეფიციენტები

ცხრილი № 1

ცვლადები	საშუალო	მედიანი	მაქს	მინ	გარკუ- ბერა	ალბათობა	<i>Ln</i> (GDP)	<i>Ln</i> (Tincom)	<i>Ln</i> (Teqxpen)	<i>Ln</i> (TN)
Ln (GDP)	12,283	13,9	17,6	3,66	1,024	0,599	1			
Ln (Tincom)	1,351	0,9	3,55	0,144	1,308	0,519	0,8293016	1		
Ln (Teqxpen)	0,455	0,36	1,12	0,17	1,692	0,428	0,8739179	0,990747	1	
Ln (TN)	3,178	2,72	7,73	0,298	0,217	0,897	0,7925662	0,946096	0,9457845	1

წყარო: The World Bank TCdata360, ავტორის გაანგარიშებები

ცხრილიდან ჩანს, რომ მშპ და ტურიზმიდან შემოსავლები ძლიერ კორელირებული არიან. კერძოდ, ტურიზმიდან შემოსავლების 1 % - ით ზრდა იწვევს მშპ-ს 0,82 % - ით ზრდას, ასევე ხარჯების 1 % - ით ზრდა - კი 0,87 % - ით ზრდას და ტურისტთა

რაოდენობის 1 %-ით ზრდა მშპ-ს ზრდას 0,79 % - ით. გამომდინარე იქედან, რომ სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა წყაროს მიხედვით განსხვავებულია, რაც სიზუსტეს ამცირებს, გამოყენებული ჟარკე-ბერას ტესტის მონაცემებით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მონაცემები ცალკეული ცვლადების შესახებ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას. (ყველა ცვლადის ალბათობა  $> 0,05$ ).

#### მონაცემთა სტაციონალურობის ტესტი ცხრილი №2

ცვლადები	დიკი-ფულერის გაფართოებული ტესტი	
	$t$ -სტატისტიკა	ალბათობა
მშპ პირველი დონის განსხვავება	-1,583 -3,375	0,134 0,0045
ტურიზმიდან შემოსავალი პირველი დონის განსხვავება	1,992 -0,991	0,0717 0,350
ტურისტული ხარჯები პირველი დონის განსხვავება	1,893 -5,453	0,087 0,0001
ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა პირველი დონის განსხვავება	1,432 -2,61	0,1725 0,0205

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

დიკი-ფულერის ტესტის მონაცემები იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა, რომ მშპ, ტურისტული ხარჯები და ტურისტთა რაოდენობა ერთეული განსხვავებით უარყოფს ნულოვან ჰიპოთეზას და არის სტაციონალური. ტურიზმიდან შემოსავლები არ ექვემდებარება სტაციონალურობას. ე.ი. დროში ცვლილება განსხვავებულია. მოცემული შედეგიდან გამომდინარე, აუცილებლად ჩაითვალა ცვლადებს შორის მიზეზ - შედეგობრივი კავშირის შემოწმება გრეიინჯერის ტესტით (შედეგები - ცხრილი 2). სადაც, GDP - მშპ; TIN - შემოსავლები ტურიზმიდან; TE - ტურისტული ხარჯები; TN - ტურისტთა რაოდენობა.

შედეგი აჩვენებს ცვლადების მნიშვნელოვნებას 5%-იან დონეზე და ადასტურებს შემდეგს: გრძელვადიან პერსპექტივაში ტურიზმის ხარჯები არ ზრდის მშპ - ს, ასევე ტურიზმის შემოსავლები არ ზრდის მშპ-ს და ა.შ.

## ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გრეინჯერის ტესტი

გხრილი 2

<b>ნულოვანი ჰიპოთეზა:</b>	<b>Obs</b>	<b>F-Statistic</b>	<b>Prob.</b>
TE does not Granger Cause GDP	16	0.27465	0.7649
GDP does not Granger Cause TE		0.52574	0.6053
TIN does not Granger Cause GDP	16	2.48016	0.1291
GDP does not Granger Cause TIN		0.57715	0.5776
TN does not Granger Cause GDP	16	1.73763	0.2209
GDP does not Granger Cause TN		0.45462	0.6461
TIN does not Granger Cause TE	16	1.34273	0.3008
TE does not Granger Cause TIN		5.22117	0.0254
TN does not Granger Cause TE	16	1.63947	0.2381
TE does not Granger Cause TN		0.40801	0.6746
TN does not Granger Cause TIN	16	4.59860	0.0354
TIN does not Granger Cause TN		4.40573	0.0393

წყარო: ავტორის გაანაგარიშებები

გრეინჯერის ტესტის მიხედვით ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია:

1. ტურიზმიდან შემოსავლების ტურისტთა რაოდენობაზე გავლენის შემთხვევაში;
2. ტურისტთა რაოდენობა ზრდის ტურისტულ შემოსავლებს;
3. ტურისტული შემოსავლები გავლენას ახდენს ტურისტთა რაოდენობაზე.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რეგრესული განტოლების ცვლადები მნიშვნელოვნად ახდენენ გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა მეტი გავლენა ტურისტთა რაოდენობამ აჩვენა. ეს ლოგიკურიცაა, რადგან შემოსავლები, გაწეული ხარჯები ძლიერ კორელაციაშია ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობასთან.

ტურიზმის ინდუსტრიასთან მიმართებაში არსებობს ისეთი ცნებები, როგორებიცაა "ხილული" და "უხილავი" ვაჭრობა, "ხილული" და "უხილავი" ექსპორტი და იმპორტი. ხილული ვაჭრობა ეხება ისეთი მატერიალური პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს, როგორიცაა საქონელი და ნედლეული. ამ შემთხვევაში, ქვეყნის სავაჭრო ბალანსი ეწოდება ხილული ექსპორტისა და ხილული იმპორტის ღირებულებებს შორის სხვაობას. უხილავი ვაჭრობა დაკავშირებულია მომსახურების სფეროს იმპორტთან და ექსპორტთან. ტურისტული სერვისების უხილავი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების უმეტესობა შემოდის ქვეყანაში ჩამოსული უცხოელი ტურისტებიდან, აგრეთვე მათზე ადგილობრივ ტრანსპორტში გაყიდული ბილეთებიდან და სხვა სახის სერვის-მომსახურებიდან. ქვეყნის უხილავ იმპორტს შეადგენს - ის თანხები, რომელსაც

საკუთარი მოქალაქეები ხარჯავენ უცხოეთში მოგზაურობისათვის, მათ მიერ სამოგზაურო/სატრანსპორტო და მასპინძელ ქვეყნებში სხვა სახის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, ასევე ტურიზმის ინდუსტრიაში უცხოელი ინვესტორებისთვის დივიდენდების გადახდა. პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (მათ შორის უცხოელი ტურისტების მიერ მასპინძელ ქვეყანაში პროდუქციის, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა) უზრუნველყოფს ქვეყნის შემოსავალს. ქვეყნის ხარჯებში იგულისხმება სხვა ქვეყნებიდან პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების იმპორტის გადახდა (მათ შორის, მოქალაქეების მიერ პროდუქციის, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა მათი ქვეყნის გარეთ ყოფნის პერიოდში). ქვეყნის ექსპორტიდან (ზიღული და უხილავი) მიღებულ სრულ შემოსავალსა და იმპორტის მთლიან ღირებულებას (აშკარა და ფარული) შორის სხვაობას საგადასახადელო ბალანსი ეწოდება. საგადასახადელო ბალანსი შეიძლება იყოს უარყოფითი (დეფიციტი) და დადებითი. დიდი დეფიციტის შემთხვევაში ადგილი აქვს ქვეყნიდან ფულადი სახსრების გადინებას, ამიტომ არამარტო პატარა ქვეყნები, არამედ ისეთი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა აშშ, ინგლისი და გერმანია, ცდილობენ გაზარდონ ტურიზმიდან შემოსავლები და ღებულობენ სერიოზულ ძალისხმევას იმისათვის, რომ მიიზიდონ ქვეყანაში უცხოელი ტურისტები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ მოახდინა ქვეყნების კლასიფიკაცია საგადასახადო ბალანსში ტურიზმის პოზიციების მდგომარეობის მიხედვით, ანუ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა და ქვეყნის მაცხოვრებლების მიერ მოგზაურობისთვის გაწეული დანახარჯების მიხედვით. კაპიტალის შემოდინებასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები, ტურისტული მოხმარების მიზნით საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გაწეული ხარჯები, ინვესტიციებისა და საზღვარგარეთ მუშაობის ხარჯები ბალანსიდან გამორიცხულ იქნა. მიმდინარე ტურისტული ანგარიშის ბალანსი ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და შესაძლებელია ახასიათებდეს მას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ბალანსით.

მიმდინარე ტურისტული ბალანსი, როგორც წესი, პოზიტიურია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ესენია საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, კვიპროსი, მალტა, აგრეთვე

ავსტრია და შვეიცარია. განვითარებად ქვეყნებს შორის ესენია, მაგალითად, ტუნისი, ტაილანდი, მექსიკა, კარიბის ზღვისპირეთი და ა.შ. ტურიზმის ამჟამინდელი ბალანსი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ზოგადად პოზიტიურია. ესენია საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, კვიპროსი, მალტა, აგრეთვე ავსტრია და შვეიცარია. განვითარებადი ქვეყნებიდან მათ შეიძლება მივაკუთვნოთ მაგალითად, ტუნისი, ტაილანდი, მექსიკა, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები და სხვ.

ტურისტული მიმდინარე უარყოფითი ბალანსი ძირითადად გააჩნია ცხოვრების მაღალი დონის მქონე ინდუსტრიულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, როგორიცაა სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, კანადა და სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში სიტუაცია თითქმის უიმედოა. ამ ქვეყნებს გააჩნიათ უარყოფითი ტურისტული ბალანსი იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სხვა ქვეყნებიდან ტურისტების მოსაზიდად საჭირო ინფრასტრუქტურა და ხშირად ვალდებულნი არიან შემოიტანონ მრავალი პროდუქტი, სამომხმარებლო საქონელი და ინფრასტრუქტურული მოწყობილობები.

გარდა ამისა, ისინი იხდიან ტურიზმიდან შემოსული უცხოური ვალუტისგან მიღებული შემოსავლიდან უცხოეთში აღებული სესხების/კრედიტების პროცენტს, აგრეთვე ხელფასებს უცხოელი პერსონალისათვის, რომლებიც კომპანიების მართვაში ეხმარებიან. თანხის ნაწილი მიდის რეპატრირებული მოგების სახით ტრანს-ნაციონალური კორპორაციების სახით და სხვ. საერთაშორისო ტურიზმის გავლენა ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე დამოკიდებულია საგადასახდელო ბალანსის დანარჩენ კომპონენტებზე, ანუ მიმდინარე საგადასახადო ბალანსზე და კაპიტალის ნაკადების ბალანსზე. ამ შემადგენელი კომპონენტების სხვადასხვა კომბინაციის შედეგად ჯამური ბალანსი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. თავის მხრივ, ტურიზმმა შეიძლება გავლენა იქონიოს კაპიტალის მოძრაობაზე და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი ასევე საფუძვლიანად უნდა იქნას გაანალიზებული, რათა ზუსტად დადგინდეს ტურიზმის გავლენა საგადასახადო ბალანსზე და მთელს ეკონომიკაზე. საგადასახადო ბალანსზე ტურიზმის გავლენის ზუსტად შეფასება ძალიან რთულია. ბოლო პერიოდში მიმდინარეობს ტურიზმის ერთიანი საერთაშორისო ანგარიშის

შემუშავება საერთაშორისო ტურიზმის შესახებ ყველა ფინანსური სტატისტიკის შეგროვების საფუძველზე. მაგრამ მასპინძელ ქვეყანაში ჩასული უცხოელი ტურისტების მიერ დახარჯული ყველა თანხა ავტომატურად ვერ გააუმჯობესებს მის საგადასახდო ბალანსს. მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია რიგი ხარჯებისა, რომელსაც ეწევა ტურისტების მიმღების მასპინძელი ქვეყანა. პირველ რიგში ეს არის უცხოელი ტურისტისთვის ჩვევად ქცეული საგნებისა და საქონელის დანახარჯები, რომელიც არ არის წარმოებული ან მოთხოვნადი თვით მასპინძელ ქვეყანაში (დაწყებული სასტუმროების სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით, და დამთავრებული სასტუმროსა და რესტორნების აღჭურვილობების, ავეჯის, სპორტული ინვენტარისა და საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და სუვენირებით).

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია შემოსული ტურისტებიდან მიღებული შემოსავლის დაბალანსება ხარჯებთან მიმართებაში (მათ შორის გრძელვადიანი ხარჯები შემდეგ საქმიანობებზე: ვალუტის დაბრუნება ქვეყანა-ინვესტორში; სასტუმროების, გზების, აეროპორტების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვათა მშენებლობა და კეთილმოწყობა; პერსონალის მომზადება ჩამოსული უცხოელი ტურისტებისთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად), რათა საბოლოოდ უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის მდგრადი დადებითი საგადასახადელო ბალანსი "ტურიზმის" პუნქტის შესაბამისად.

გაეროს ტურიზმისა და მოგზაურობის შესახებ კონფერენციის (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით) მიერ შემუშავებულ და მიღებულ იქნა საერთაშორისო ტურიზმზე ქვეყნის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის მეთოდოლოგია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების თანახმად საგადასახადო ბალანსის აქტივში (მუხლი „ტურიზმი“) შეტანილია შემდეგი სახის შემოსავლები:

- ✓ ჩამოსულ და შიდა ტურისტებზე მიყიდული საქონლისა და ტურისტული მომსახურების რეალიზაციიდან;
- ✓ ტურისტული მოთხოვნილების საქონლისა და ტურისტული საწარმოებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობების ექსპორტიდან;

✓ სხვა სახის სერვისების (კადრების მომზადება, ქვეყნის სპეციალისტების მიერ უცხოელი პარტნიორებისათვის გაწეული მომსახურება) გაყიდვა/რეალიზაციიდან;

✓ მასპინძელ ქვეყანაში შემომავალი ტურისტების მიერ შიდა და საერთაშორისო ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო ხარჯები;

✓ უცხოური კაპიტალის ინვესტიციები ეროვნულ ტურისტულ ინდუსტრიაში;

✓ ტურიზმის განვითარების მიზნით სხვა ქვეყნებისთვის გაცემული სესხები (პროცენტები და კაპიტალის ანაზღაურება);

საგადასახდელო ბალანსის ვალდებულებები (მუხლი „ტურიზმის“ მიხედვით) მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

✓ მასპინძელ ქვეყანაში შემოსული ტურისტების მიერ ტურისტული მომსახურებისა და საქონლის შესაძენად გაწეული ხარჯები;

✓ შემომავალი ტურისტების მომსახურებისათვის საჭირო საქონლის იმპორტზე (მათ შორის პირდაპირ და არაპირდაპირ იმპორტზე) გაწეული ხარჯები;

✓ სხვა სახის სერვისების შეძენა (კადრების საზღვარგარეთ მომზადება, ტურისტულ სფეროში ჩართულ უცხოელ მუშაკთა და სპეციალისტთა ანაზღაურება);

✓ უცხოელი სატრანსპორტო კომპანიების მიერ უკან გამგზავრებული ტურისტების ტრანსპორტირება;

✓ სხვა ქვეყნებში ტურიზმის განვითარებაზე გამოყოფილი უცხოური ინვესტიციები;

✓ გრძელვადიანი სესხები (პროცენტები და კაპიტალის დაბრუნება), რომლებიც ინვესტირებულია შიდა ეროვნული ტურიზმის განვითარებაში.

ტურისტული ხარჯების ეკონომიკური გავლენა გამოითვლება მულტიპლიკატორის გამოყენებით. მულტიპლიკატორის განმარტება ემყარება კეინზიანურ ანალიზს. კეინზიანიზმი — ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც აღმოცენდა მაკროეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური თეორიიდან და დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიების ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის გამოჩენილმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა, რომლის თეორია

ძირითადად აისახა მის ცნობილ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“. ტურიზმის ეკონომიკური გავლენა ასევე ემყარება ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯების მულტიპლიკატორის გამოყენებით შეფასებას. მულტიპლიკატორის მნიშვნელობის შეფასებისას მნიშვნელოვანია მულტიპლიკატორის ტიპის განსაზღვრა. თითოეული ტიპი ასრულებს თავის სპეციფიკურ ფუნქციას. გაყიდვების მულტიპლიკატორი ზომავს ბიზნესის დამატებით ბრუნვას, წარმოქმნილს ტურისტული ხარჯების გაზრდის შედეგად. წარმოების მულტიპლიკატორი ზომავს ეკონომიკაში დამატებითი წარმოების მოცულობას, წარმოქმნილს ტურისტების ხარჯების გაზრდის შედეგად. ამ ორ ტიპს შორის პრინციპული განსხვავება ის არის, რომ წარმოების მულტიპლიკატორში ყველა ყიდვა-გაყიდვა არ უკავშირდება მიმდინარე წარმოებას. შემოსავლების მულტიპლიკატორი ზომავს დამატებით შემოსავლებს (ხელფასი, იჯარის გადასახადი, სესხის პროცენტი და მოგება), რომელიც ეკონომიკაში წარმოიქმნება ტურისტების ხარჯების გაზრდის შედეგად. დასაქმების მულტიპლიკატორი ახასიათებს სამუშაო ადგილების რაოდენობას, რომლებიც შექმნილია ტურისტების დამატებითი ხარჯების შედეგად. ტურისტები ფულს ხარჯავენ სასტუმროებში, რესტორნებში, ტრანსპორტში და ამგვარად „იჭრებიან“ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში. ეს „შეჭრა/შეღწევადობა“ შესაძლებელია გამოკვლეულ იქნას პირდაპირი და არაპირდაპირი შეღწევადი ზემოქმედების შეფასებით. პირდაპირი ზეგავლენა - ეს არის ტურისტული დანახარჯების მოცულობა იმპორტის მოცულობის გამოკლებით, რომელიც საჭიროა ტურისტების საქონლითა და მომსახურებით სრულად უზრუნველსაყოფად. შემდეგ თავში მოცემულია მულტიპლიკატორის ეფექტის ანალიზი.

მიწოდების არაელასტიკურობასთან დაკავშირებული შეზღუდვა გაზრდილი ტურისტული ხარჯების პირობებში შეიძლება გახდეს საქონლისა და მომსახურების ხარისხის საჭირო რაოდენობით მიწოდებაში შემაფერხებელი ფაქტორი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუკი ზედმეტ მოთხოვნას ადგილობრივი წარმოება ვერ დააკმაყოფილებს, მაშინ ტურისტების დამატებითი ხარჯები წარმოქმნის ინფლაციას და ადგილი ექნება არასაკმარისი პროდუქციისა და მომსახურების იმპორტს, ამიტომაც მულტიპლიკატორის ზომა შემცირდება.

მულტიპლიკატორის ზოგიერთი ტიპი თავისი ბუნების მიხედვით არის სტატიკური და მოუქნელია. ამ შეზღუდვების დასაძლევად შესაძლებელია დინამიური მოდელების აგება. მოდელის შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების ფუნქცია და მოხმარების ფუნქცია სწორხაზოვანია, შიდა სექტორული ხარჯების ხასიათი სტაბილურია. სწორედ აქედან გამომდინარეობს იმის დაშვება, რომ ტურისტების დამატებითი ხარჯები იგივე ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე, როგორც წინა ხარჯების თანაბარი ოდენობა.

მაშასადამე, როდესაც წარმოება იზრდება, ვარაუდობენ, რომ საქონლის შესყიდვა მოხდება იმავე პროპორციით, როგორც ადრე, სამომავლო დანაზოგების გათვალისწინების გარეშე. მულტიპლიკატორის სტატიკურობა ასევე არ ითვალისწინებს ეკონომიკაზე მულტიპლიკატორული ზემოქმედების დროში ხანგრძლივობას.

მულტიპლიკატორის მნიშვნელობები განსხვავებულია ადგილობრივი ეკონომიკის ხასიათისა და მისი სხვადასხვა სექტორის ურთიერთდაკავშირების ზომებით. შემოსავლის მულტიპლიკატორის პოლიტიკისა და დაგეგმვის შემუშავებისათვის, მაგალითად, ყველაზე ფასეულია, რადგანაც იგი უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის შესახებ საჭირო ინფორმაციით უფრო ადრე, ვიდე შეიქმნება პროდუქცია ან ბრუნვა. მულტიპლიკატორების დეტალური ანალიზი ხორციელდება ტურისტულ პროექტებში სახელმწიფო ან კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ეფექტურობის გასაანალიზებლად ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე. გარდა ამისა იმ მიზნითაც, რომ გადამოწმდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობების ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე ზემოქმედების ფარდობითი სიდიდეები.

საწარმოები, რომლებსაც პირდაპირი წესით მიეწოდებათ ტურისტების დანახარჯები, ასევე საჭიროებენ ადგილობრივი ეკონომიკის სხვა სექტორებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას (მაგალითად, სასტუმროები იყენებენ მშენებლების, კომუნალური ორგანიზაციების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, კვების პროდუქტების მწარმოებლების და სხვათა მომსახურებებს). ამრიგად, სწორედ გენერირებული ეკონომიკური აქტივობა, რომელიც მიიღება ხარჯების ამ თანმიმდევრული ეტაპებიდან, წარმოადგენს არაპირდაპირ ზეგავლენას. მაგრამ ეს არ

მოიცავს ტურისტების ყველა ხარჯს პირდაპირი ზემოქმედების დროს, რადგანაც თანხის ნაწილი ამოიღება მიმოქცევიდან იმპორტისა და დაბეგვრის გზით. პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯვის დროს ადგილობრივ მოსახლეობას უგროვდება შემოსავალი ხელფასების, ქირის და სხვათა სახით. ადგილობრივ მაცხოვრებლებს შეუძლიათ ეს დამატებითი შემოსავალი დახარჯონ ეროვნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, რითაც შექმნიან ეკონომიკური აქტიურობის ახალ კვანძს. მაგრამ, ტურიზმმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკაზე. ტურისტული პროდუქციისა და მომსახურებების წარმოება მოითხოვს ეკონომიკის სხვა სფეროებიდან რესურსების გადანაწილებას/გადასროლას, სადაც ამ სახის რესურსებზე მოთხოვნა ასევე მაღალია (მაგალითად, როდესაც ტურიზმის სექტორში სამუშაო ადგილები გადადის სოფლის მუშაკებიდან, შეიმჩნევა მშრომელთა შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში და წარმოიქმნება ზედამაბულობა ქალაქის საავადმყოფოებში, სკოლებსა და სხვაგან დამატებითი ადგილების წარმოქმნის გამო). ამიტომ, სრული სურათის შესაქმნელად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას და განისაზღვროს ტურიზმისათვის იშვიათი რესურსების გამოყენების ფასი ამავე რესურსების სხვა სფეროებში გამოყენების სანაცვლოდ. ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებადი პროდუქტების რაოდენობის შემცირება. ეს ინფლაციური რისკი განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში მიწოდების არაელასტიურობისა და ხარისხიანი პროდუქციის იმპორტის შეუძლებლობის შედეგად, რაც გამოწვეულია სხვა მყარი ვალუტის მიმართ ადგილობრივი ვალუტის დაბალი გაცვლითი კურსის გამო. ინფლაცია შეიძლება შეჩერდეს უცხოელი და ადგილობრივი მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნის შემცირებით, ან იმავე უცხოელი სტუმრებიდან მიღებული ფინანსური სახსრების ხარჯზე იმპორტის გაზრდით.

ამგვარად, ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა ნიშნავს სახელმწიფო მასშტაბით ეკონომიკური ეფექტის მიღებას (ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგების მიღებას): ტურისტული ორგანიზაციებიდან, რეგიონის მოსახლეობის ტურისტული მომსახურებებიდან, ტურისტული კომპანიების სამეწარმეო და მომსახურების საქმიანობიდან. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ავითარებს ტურიზმს, ცდილობს

რომ მიაღწიოს მაქსიმალურ სარგებელს. ტურიზმის განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს რეგიონის ეკონომიკაზე და მის განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს ვალუტის შემოდინებას: გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, ანუ აშენდება ახალი სასტუმროები, გზები, პარკები, მაღაზიები და ა.შ. ტურიზმის განვითარების ეფექტიანობის კონცეფციაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს არა მხოლოდ მოგება და შემოსავალი, არამედ ის ხარჯებიც, რომლებიც მათ მიღებას უზრუნველყოფს, რადგან ეფექტიანობის შეფასების საფუძველი ხარჯებისა და შედეგების თანაფარდობაა.

საქართველოში საინვესტიციო გარემო, ზოგიერთი გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია, რომელთა შესწავლას, აღმოფხვრის გზების დადგენას და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის ცალკეული საკითხების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა: ე.ბარათაშვილმა, ლ. ქოქიაურმა, მ. გელაშვილმა, ი. მესხიამ, თ. შენგელიამ, ვლ. პაპავამ, ვ.ბურდულმა, გ. მალაშხიამ, ზ. ვაშაკიძემ, მ. გიორგაძემ, გ. წიკლაურმა, დ. ჩხარტიშვილმა და სხვებმა. ამასთან საინვესტიციო გარემოს მრავალი ასპექტი, მისი გარემოს გაჯანსაღების პრობლემები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. კერძოდ, არ არის გამოკვლეული ის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს ანალიზი. იმ მიმართულებების, ღონისძიებების და მეთოდების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული გარემოს გაჯანსაღებას.

ტურიზმის სფერო კვლევის თვალსაზრისით გამოყენებულია საცდელი ობიექტის როლში, მთავარი არსი მდგომარეობს ინვესტიციების განხორციელების პროცესში არსებული რისკებიდან გამომდინარე, საინვესტიციო რისკების კლასიფიკაცია კონკრეტული მიმართულებით. როგორც ყველა სხვა დარგი, ტურიზმიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი რისკების წინაშე დგას, მითუმეტეს ის არის

დარგი, რომლის განვითარება მხოლოდ ამ დარგის სწორ მენეჯმენტზე არ არის დამოკიდებული. რისკსა და შემოსავალს შორის კონცეფცია პირველად 1921 წელს ჩამოაყალიბა ჩიკაგოს ეკონომიკის სკოლის დამფუძნებელმა ფრენკ ნაითმა თავის წიგნში „რისკი, გაურკვევლობა და მოგება“. ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნესში ნებისმიერი სახის შემოსავლის მიღება ყველაზე ხშირად რისკთან ასოცირდება. საინვესტიციო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ შემოსავალსა და რისკის დონეს შორის ურთიერთკავშირის კონცეფციამ დაიკავა. ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პროცესში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების ძირითადი ეტაპების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები.

ინვესტირების ამა თუ იმ მიმართულების შერჩევა მარტო ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე არასაკმარისად დასაბუთებულად ითვლება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები სახელმწიფო ინვესტირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები და უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკურ შეღავათებთან (პირველ რიგში კი საგადასახადო შეღავათები) კერძო საინვესტიციო ნაკადები. კონკრეტულ მიმართულებაზე ინვესტირების სტიმულირება კერძო ინვესტორებს მისცემდა გრძელვადიან ასპექტში თავიანთი საქმიანობის დაგეგმვის შესაძლებლობას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში აღინიშნება უცხოური დაბანდების განხორციელების ფორმათა და მეთოდების დიდი დივერსიფიკაცია, მაგრამ მათი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით მიღებულია უცხოური ინვესტიციების შემდეგი კლასიფიკაცია: რეალური და ფინანსური ინვესტიციები. რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება

უშუალოდ წარმოებაში დაბანდება, ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება ფასიან ქაღალდებში დაბანდება, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა. შ. რეციპიენტის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს. პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება ხდება ძირითადად ახალი საწარმოების დაფუძნებაში, უკვე არსებული წარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტირების დროს ინვესტორი აკონტროლებს საწარმოებს, სადაც დაბანდებულია მისი კაპიტალი. პორტფელური ინვესტიციები კი ასეთ კონტროლს ვერ უზრუნველყოფენ და ჩვეულებრივ ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით ხორციელდება, რაც აძლევთ ინვესტორებს მხოლოდ საკუთრებიდან შემოსავლის მიღების უფლებას. პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისას კომპანიის აქციათა შესყიდვის მაქსიმალურ ოდენობად, ამერიკული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიღებულია 10%. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი ინვესტორი ფლობს აქციათა 10% - ზე მეტს, იგი პირდაპირ ინვესტორად ითვლება. სხვა ტიპის უცხოური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება ნაღდი უცხოური ვალუტა, მიმდინარე ანგარიშები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეპოზიტები, სავაჭრო, საინვესტიციო და სხვა კრედიტები და ავანსები და ა. შ. ასეთი ინვესტიციები პირდაპირ არ არიან დაკავშირებულნი რაიმე მატერიალურ საკუთრების ფლობასთან. ფართო გაგებით ნებისმიერი კრედიტი წარმოადგენს ინვესტიციას, რადგანაც გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას სარგებელის სახით შემოსავლის მიღების მიზნით. ამასთან შემოსავლის მიღება ხშირად არ წარმოადგენს კრედიტორის მთავარ მიზანს. ასე, მაგალითად საერთაშორისო ორგანიზაციათა კრედიტები ატარებენ განვითარების მხარდაჭერის ხასიათს და მიმართულია კერძო ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად; უცხოური მთავრობების კრედიტები მიზნად ისახავენ თავისი ქვეყნის კერძო ინვესტორთა წახალისებას, კრედიტორი ქვეყნის ექსპორტის ზრდას, ხოლო ხშირად წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ; მონოპოლიები აძლევენ თავის საზღვარგარეთულ „შვილობილ“ კომპანიებს საფირმო კრედიტს 10-15 წლის ვადით მანქანების, მოწყობილობების შესაძენად და ა. შ. აქედან გამომდინარე, ვიწრო გაგებით რეალურ ინვესტიციებს მიეკუთვნება მხოლოდ ის კრედიტები, რომლებიც საწარმოო

მიზნებზე იხმარება. თავისი ფორმით ეს შეიძლება იყოს როგორც საფირმო, ისე საბანკო კრედიტი, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო - საკრედიტო ორგანიზაციისა და უცხოური მთავრობის კრედიტი ან ობლიგაციური სესხი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოცემული განსაზღვრების მიხედვით პირდაპირი ინვესტიციების თავისებურებას, კაპიტალის გამოყენების სფეროს მიუხედავად, წარმოადგენს სწორედ ის, რომ უცხოელ ინვესტორს აქვს კონტროლის უფლება, მაშინ როდესაც პორტფელური ინვესტიციები ასეთ კონტროლს ვერ უზრუნველყოფენ. განვითარების საწყის ეტაპზე განვითარებადი ქვეყანა იძულებულია კაპიტალის იმპორტი მოახდინოს მხოლოდ უცხოურ მთავრობათა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და კრედიტების სახით. დახმარების ქვეშ იგულისხმება აგრეთვე ის უცხოური კრედიტები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი ეროვნული სახელმწიფო ბანკის სადისკონტო განაკვეთზე დაბალია. მოთხოვნა უცხოურ კაპიტალზე განისაზღვრება როგორც სხვაობა აუცილებელ ინვესტიციებსა და არსებულ დანაზოგ თანხებს შორის, ხოლო უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილება იზომება როგორც სხვაობა აუცილებელ იმპორტსა და ფაქტობრივ ექსპორტს შორის. განასხვავებენ მსესხებელი ქვეყნის მიერ საგარეო ვალის აღების სამსახურისას:

პირველ სტადიაზე განვითარებადი ქვეყანა იძულებულია აიღოს უცხოური კრედიტები სამამულო ინვესტიციების დასაფინანსებლად და ვალის ნაწილისა და პროცენტის გადასახდელად. ამ ეტაპზე საგარეო დავალიანების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს, ხოლო დანაზოგთა დონე უმნიშვნელოა.

მეორე სტადიაზე სამამულო ინვესტიციების დაფინანსება უკვე გაზრდილი შიდა დანაზოგების ხარჯზე ხდება, ხოლო უცხოური კაპიტალი ვალისა და პროცენტის დასაფარად გამოიყენება. ამასთან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი საგარეო დავალიანების ზრდის ტემპს აღემატება.

მესამე სტადიაზე ინვესტირება - ვალისა და პროცენტის დაფარვა ხდება უკვე გაზრდილი დანაზოგების ხარჯზე, საგარეო დავალიანება კი შემცირებას იწყებს. აღნიშნული წარმოადგენს დაბალგანვითარებადი ქვეყნის მიერ მყარი ეკონომიკური

ზრდის მიღწევის პლასტიკურ სცენარს. ამჟამად, უცხოელ ინვესტორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობები სულ უფრო ერთგვარი კომპრომისის ხასიათს იძენენ. ინვესტორის ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია და გასაღების ბაზრის გაფართოება წარმოების შედარებით იაფი კომპონენტების, აგრეთვე ქვეყნის თავისებურებების გამოყენების ხარჯზე. ეროვნული მთავრობის მიზანს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნა წარმოადგენს. სწორედ ამ ინტერესთა შეხამება გვევლინება უცხოური კაპიტალის წარმატებული მოზიდვისა და გამოყენების საფუძვლად.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები:

- ✓ კაპიტალის იმპორტი წარმოებს ძირითადად უცხოური კრედიტებისა და დახმარების სახით. საგარეო დავალიანების მოცულობა იზრდება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელოა;
- ✓ პირდაპირი რეალური დაბანდებანი იშვიათია და უმეტესად შემთხვევით, უსისტემო ხასიათს ატარებენ. საფინანსო ბაზრის განუვითარებლობის გამო პორტფელური ინვესტიციების მოზიდვა არ ხდება;
- ✓ გარკვეული ფინანსური სტაბილიზაციის მიუხედავად საინვესტიციო გარემო მაინც არახელსაყრელია; მკაფიოდ არ არის განსაზღვრული და ხშირ ცვლილებას განიცდის უცხოელი ინვესტორების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა;
- ✓ არ მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დარგობრივ ჭრილში, ისე ცალკეული საწარმოებისა და პროექტების დონეზე შემუშავებულია საინტერესო ბიზნეს-გეგმები, ჯერ-ჯერობით ვერ მოიძებნა უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის ეფექტური მექანიზმები.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის.

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ ექვსი გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

ჩამოყალიბების სტადიაშია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის ადმინისტრაციული რეჟიმი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალშიც საქართველოში უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად ისევ კრედიტები დარჩება. საქართველოში უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლის ერთადერთ ფორმად, დღეისათვის, პირდაპირი რეალური ინვესტიციები გვევლინება. ამასთან, საწყის ეტაპზე აღნიშნული დაბანდებების ზრდა აღინიშნება პირველ რიგში იმ დარგებში, სადაც საქართველოს შედარებითი უპირატესობები გააჩნია. დანარჩენ დარგებში კი, მათ შორის რეკრეაციულ სფეროში ინვესტიციების მოდინება საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებამდე უმნიშვნელო იქნება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა. თანამედროვე ეტაპზე საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა მოტივი ამოძრავებთ უცხოელ ინვესტორებს, როდესაც ახორციელებენ პირდაპირ

ინვესტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია, პირობითად, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ: პირველი ჯგუფი აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში (რესურსების მაძიებელნი); მეორე ჯგუფს წარმოადგენენ საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების (რეგიონების) ბაზრებზე (ბაზრის მაძიებლები); მესამე ჯგუფს, პირობითად, შეიძლება ეფექტიანობის მაძიებელნი ვუწოდოთ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს რესურსების ისეთ განაწილებას, როცა მაქსიმალური უკუგება მიიღწევა. ინვესტორთა აღნიშნული ჯგუფი ძირითადად ახორციელებს ინვესტირებას ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა. მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას (სტრატეგიული აქტივების მაძიებლები).

უცხოური ინვესტორების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების ხარისხზე, საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა პარამეტრებზე. მეორეს მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინვესტორის თავისებურებებს, ინვესტიციების განხორციელების ფორმებს და სფეროებს. მიმღებ ქვეყანაში ინვესტიციების გავლენა ვლინდება შემდეგში: ეკონომიკის ზრდის ტემპზე პოზიტიური გავლენა; ქვეყანაში საერთოდ ინვესტიციურ აქტიურობის გაძლიერება; მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიურ პროცესებში და ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაში; მიმღები ქვეყნის მეურნეობის პროგრესულ ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურიზაციას ხელის

შეწყობა; და ბოლოს უცხოური ინვესტიციები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსზე. ქვეყნის შიდა ინვესტიციური რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში მისი შევსების წყარო ხდება კაპიტალის იმპორტი. ამასთან, ინვესტირების დეფიციტი არის ფარდობითი, რადგან ინვესტიციებზე მოთხოვნებს განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემა და მისი განვითარების დონე. ინვესტორები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს ეროვნული კაპიტალი უკანასკნელთან მიმართებაში, წარმოადგენ “დამატებითს”. დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადალახავენ რომელიმე დარგში შეღწევის ბარიერს. “დამატებითი” უცხოური ინვესტიციების ეფექტი მიმღები ქვეყნისათვის დადებითია, რადგან ისინი ავსებენ ინვესტიციურ რესურსებს, ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას.

არსებითია ის, რომ საერთოდ ინვესტიციებს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი. ე.ი. გარკვეულ დარგში მიმართული ინვესტიციები იწვევენ მომიჯნავე დარგების განვითარებას. უცხოური ინვესტიციების გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დასაქმებისა და ეროვნული რესურსების გამოყენება. „დამატებითი“ ინვესტიციები უზრუნველყოფს რესურსების გამოყენებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში დარჩებოდნენ უმოქმედოდ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორების მიერ გამოყენებული სამუშაო ძალის ხარისხს. უკანასკნელ დროს, სულ უფრო ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, განვითარებადი ქვეყნის სამუშაო ძალა, რომელიც საერთაშორისო წარმოებაში დასაქმდა, იმენს ახალ ნიშნებს და თვისებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ წარმატებით გაუწიონ კონკურენცია განვითარებული ქვეყნების სამუშაო ძალას. ასეთ სამუშაო ძალას შეუძლია მოქნილი რეჟიმით მუშაობა, რაც მაღალნაყოფიერი და უფრო თავისუფალია. თავისუფლებაში იგულისხმება ტრადიციული ადგილობრივი იერარქიული სტრუქტურებისაგან თავისუფლება. უცხოური ინვესტორისაგან დაქირავებული მუშაკი განიცდის მხოლოდ კაპიტალის გავლენას, რომელიც სამუშაო ძალასთან ცნობს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით

ურთიერთობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული „პირდაპირი” ეფექტის ძირითად ნაწილს იღებს თვით ინვესტორი, მაგრამ მთელი “არაპირდაპირი” ეფექტი რჩება ინვესტორების მიმღებ ქვეყანას: ათვისებული საბადოები, თანამედროვე ტექნოლოგიებით მომუშავე სამუშაო ძალა, დაბეგვრის სისტემით მიღებული შემოსავლები, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. ამის გარდა თვით მუშაკები არიან დაინტერესებულნი უცხოელ ინვესტორებთან მუშაობით, რადგან მათ საწარმოებში უფრო მაღალი ანაზღაურების სიდიდე და სოციალური პირობებია. მიმღები ქვეყნის სტრუქტურულ განვითარებაზე უცხოური კაპიტალის დაბანდებების გავლენა დამოკიდებულია მის რეგულირებაზე ქვეყნის მასშტაბით. ცხადია, ინვესტიციური გადაწყვეტილებებისას, პირველ რიგში, ამოირჩევა დარგი ან რეგიონი, რომელებიც უზრუნველყოფენ სტაბილურ და სწრაფ უკუგებას მინიმალური თავდაპირველი დანახარჯის პირობებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით, განუვითარებელი რაიონები და დარგები, რომლებიც მოცემულ მომენტში იმყოფებიან არცთუ კარგ მდგომარეობაში, მსხვილი ინვესტორისათვის აღმოჩნდებიან ნაკლებ მიმზიდველები. მაშინ, როდესაც ისინი საჭიროებენ ყველაზე მეტად ინვესტიციურ რესურსებს. უცხოელი ინვესტორის და მიმღები ქვეყნის ინტერესები ინვესტიციების დაბანდების სტრუქტურის განსაზღვრისას, შეიძლება კოორდინირებული და შეთანხმებული იქნას. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია პერსპექტიული დარგების განვითარებით. ასეთებია: მომსახურეობის სფერო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მაღალი ტექნოლოგიის დარგები. უცხოელი ინვესტორები, თავის მხრივ, დაინტერესებულნი არიან შეაღწიონ ზუსტად ამ დარგებში, რათა უზრუნველყონ მყარი პოზიციები მომავალში და ითვალისწინებენ იმას, რომ შემდგომში დარგებში შეღწევა მოითხოვს უფრო დიდ დანახარჯებს. ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების ასეთი აქტიური გავლენა აისახება საერთაშორისო ურთიერთობების პირობებიც. უცხოური ინვესტიციების ასეთი გავლენის შეფასება ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოზიციებზე რთულია, რადგან ეს გავლენა სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ არის. ამიტომ, აუცილებელია იგი შეფასებული იქნეს მოკლე და ხანგრძლივი პერიოდების თვალსაზრისით.

ინვესტიციების იმპორტი ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე მოკლე პერიოდში მოქმედებს წევატიურად, რადგან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო აუცილებელი მასალების დიდი ნაწილის იმპორტს ეწევა. ამასთან, ხელს უწყობს რა სასაქონლო ექსპორტის ზრდას ან იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას. უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე და მის სტრუქტურაზე სხვადასხვაა. მაგალითად, კაპიტალის იმპორტი აისახება ბალანსის აქტივში და შეიძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ინვესტიციებს თან სდევს მიღებული მოგების გატანა, რაც აისახება ბალანსის გასავალ ნაწილში. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას თან სდევს მოწყობილობის, პატენტების, ლიცენზიების იმპორტი, რაც იწვევს სახსრების ქვეყნიდან გადინებას. უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა, ქმნის რა უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ პირობებს, ქმნის მოგების რეინვესტირების შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება; განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა; უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის გამოყენება, რათა კაპიტალის მოზიდვით მიღებული იქნეს მაქსიმალური დადებითი შედეგები.

ეროვნული კაპიტალის მუდმივად უკმარისობისა და მსოფლიო ბაზარზე კაპიტალის ნაკლებობის პირობებში, უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას მიმღები ქვეყანა დგება შემდეგი პრობლემის წინაშე: როგორ იქნეს მოზიდული ქვეყანაში უცხოური ინვესტიცია; მოზიდული ინვესტიციით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი, მიღწეულ იქნეს ეროვნული ინტერესების შესაბამისი მიზანი. ბევრი უარყოფითი შედეგის გამოწვევა შეუძლია უცხოური ინვესტიციების

მოზიდვის სფეროში არაგონივრულ, არასწორ პოლიტიკას, რაც, რა თქმა უნდა, ლახავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ამიტომ მოცემულ პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა ძალიან ფაქტი საქმეა, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის არ მოქმედებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. აქ საჭიროა მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, აგრეთვე ინვესტიციებისადმი მხარდაჭერა იმ დარგებსა და რეგიონებში, რომლებთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეცნიერულად დასაბუთებული, აწონილი, აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა. ზემოთ მოყვანილი ფორმების დახასიათებიდან გამომდინარეობს, რომ მიმღები მხარისათვის ყველაზე მომგებიანია პირდაპირი ინვესტიციები. ისინი, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან, მოწინავე ტექნოლოგიების ამოქმედებასთან და მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების ათვისებასთან, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო მათზე არ იღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს. ყველაზე არამომგებიანია სხვა დანარჩენი~ ინვესტიციები. ინვესტიციების მოზიდვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორებისათვის იმ სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომლებიც უკავშირდება მათ ხელშეუხებლობას, კაპიტალის დაბანდებას და მოგების და დივიდენდების გადაგზავნას საზღვარგარეთ. ექსპორტიორ ქვეყნებში გარანტიების მიცემის საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (ეთგო). საგარანტიო სქემები, რომლებიც ერთმანეთისაგან მოცულობით განსხვავდება, განვითარებული მრეწველობის მქონე ყველა ქვეყანაში არსებობს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შექმნას თითქმის ისეთივე გარანტიები, როგორც ეთგო-ს წევრ ქვეყნებს აქვთ. მაგალითად, ეგვიპტეში იმ უცხოელ ინვესტორებს, რომლებსაც მიწა აქვთ მიღებული წარმოების გაფართოებისა და მშენებლობისათვის, მიწის ექსპროპრიაციის შემთხვევაში მიეცემათ მისი ტოლფასი კომპენსაცია. ბრაზილიის კანონმდებლობით ნებადართულია საინვესტიციო კაპიტალის და მოგების შეუფერხებლად რეპატრიაცია. ამასთან, კაპიტალის რეპატრიაცია თავისუფალია საშემოსავლო გადასახადისაგან და ავტომატურად ხორციელდება.

ამჟამად სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს ჩინეთში, ინდოეთსა და მექსიკაში შემუშავებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, რადგან, სპეციალისტთა აზრით, სწორედ ეს ქვეყნებია უდიდესი კონკურენტები უცხოური ინვესტიციების ბაზარზე. ჩინეთი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია. მისი გამოცდილება უნიკალურია, რადგან კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ, ერთი მხრივ, შეინარჩუნა ძველი პოლიტიკური სისტემა და მბრძანებლური მექანიზმები, მეორე მხრივ კი ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა. XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისიდან ჩინეთი მსოფლიოს მეორე უდიდეს რეციპიენტ ქვეყნად გადაიქცა აშშ-ის შემდეგ. ეკონომიკის ზრდის და უცხოური ინვესტიციების მოდინების ტემპებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი ტოლს არ დაუდებს აშშ-ს საზღვარგარეთიდან მოზიდული კაპიტალდაბანდებების მოცულობის მხრივ. ჩინეთი თავისი ამ პოლიტიკით კვალში მიჰყება აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებს – იაპონიას, ტაივანსა და სამხრეთ კორეას, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს საკუთარი საწარმოო ბაზის განვითარებაში ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით. უცხოური, განსაკუთრებით, პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად უამრავ წამახალისებელ მოტივს იყენებენ. მათ შორისაა საგადასხადო შეღავათები და არდადეგები, შეღავათიანი საიმპორტო ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები, შედარებითი ავტონომია მენეჯმენტისათვის.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც უფრო მთავარია, თვით ფინანსური სახსრები. ამის მიუხედავად, შეგვიძლია გამოვყოთ ის ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში უცხოური კაპიტალის ინვესტირების სტრატეგიის შემუშავების დროს. ესაა: ყველა ქვეყანა იცავს ეროვნული რეჟიმის პირობებს; ყველა ქვეყანა ითხოვს უცხოური კაპიტალის რეგისტრაციას; ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგები, სადაც ითხოვენ სპეციალურ ნებართვას ინვესტირებისათვის; ყველა ქვეყანაში არის ისეთი დარგები, რომლებიც ჩაკეტილია უცხოური კაპიტალისათვის. ამასთან,

დღევანდელ საქართველოში უცხოური ინვესტირების მიმართ სათანადო პოლიტიკის გატარების დროს არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ უმრავლეს ქვეყნებში შეიმჩნევა უცხოური ინვესტირების რეჟიმის თანდათანობით ლიბერალიზაცია: მცირდება იმ დარგების რაოდენობა, რომლებშიც უცხოელი ინვესტორების საქმიანობა იკრძალება; რბილდება ის მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავს კომპანიის კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის წილს; უცხოელ ინვესტორებს ეძლევა საწარმოთა შექმნის უფლება 100%-იანი მონაწილეობით; იოლდება საზღვარგარეთ მოგებისა და დივიდენდების გატანა; მარტივდება და წესრიგდება უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის პროცედურა; სულ უფრო მეტი რაოდენობით ტარდება უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის არა ფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში და, როგორც მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობის დაძლევის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი გზაა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში უნდა ჩაიდოს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა და მიმართულებები. ეს გამართლებულად მიიჩნევა საქართველოს შემთხვევაშიც, რადგან ქვეყნის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ტურიზმია. მისი განვითარების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა მოითხოვს ფინანსური რესურსების აუცილებელ არსებობას, რაც მიღწევადია საინვესტიციო გარემოს სრულყოფით. სახელმწიფოს როლი ტურისტულ სექტორში ინვესტორთა დაინტერესებაში და მათ მიმზიდველობაში უმთავრესი წინაპირობაა ტურიზმის გეგმაზომიერი და დინამიური განვითარებისათვის, მისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისათვის, ტერიტორიების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ტურისტული სექტორის ინვესტირების შემდგომი აქტივიზაცია

შეუძლებელია შესაბამისი თეორიული ბაზის შექმნის გარეშე, რომელიც ამჟამად არასაკმარისადაა შემუშავებული.

## თავი II. ტურისტული სექტორის განვითარებაში სახელმწიფო

### საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზი

#### 2.1. საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები საქართველოს ტურისტულ სექტორში

საბაზრო სისტემაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და რეგულირების მიზნით სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები სექტორის წარმატებით ფუნქციონირებისათვის ახდენენ მათ საქმიანობაში ჩარევას, რათა საჭიროების შემთხვევაში მიუთითონ განვითარების შესაძლო გზებზე. სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობაში როლების გადანაწილება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაზე (Дурович и др.; 2003). განვითარებული ქვეყნების დიდი ნაწილისათვის ტურიზმს შეუძლია ეკონომიკის განვითარებას შეუწყოს ხელი, მაგრამ ის ვერ იქნება წამყვანი სექტორი. საშუალო განვითარების ქვეყნებისათვის ტურიზმმა შეასრულა გენერატორის როლი, განსაკუთრებით ესპანეთში, სადაც საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით შეძლეს უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყნის ეკონომიკაში და გადახდების დაბალანსება. მრავალი მიზეზი არსებობს, რის გამოც კერძო ბიზნესი ტურიზმში ახდენს ინვესტიციების დაბანდებას. ერთი მხრივ, უცხოელი ტუროპერატორები და დასასვენებელი კომპანიები ყოველთვის ეძებენ ახალ მიმზიდველ სფეროებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ შემოსავალი მსოფლიო ტურისტული ბაზრის გამოყენებით. მეორეს მხრივ, ტურიზმის პოპულარობას ხელს უწყობდა მოგზაურობის ჰობი. როგორც წესი, გრძელვადიან პერსპექტივაში, მეწარმეები დაინტერესებულნი არიან ინვესტიციების ეფექტიანობით, რაც აისახება მიღებული შემოსავლით გაწეული ხარჯების დაფარვასა და საინვესტიციო მოგებაში.

სახელმწიფოს პოზიცია ტურიზმში ინვესტიციებთან მიმართებაში განისაზღვრება იმით, თუ როგორ ხედავს იგი მომავალში ინდუსტრიას და რა ადგილს უთმობს მას კერძო მეწარმეობაში. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკის მაგალითი 1990 წლამდე, როდესაც სოციალური ტურიზმი გაბატონდა,

რომლის საშუალებითაც მოსახლეობას შვებულებას უნაზღაურებდა ან პროფესიული კავშირები, ან ცენტრალური მთავრობა. ფულადი სახსრების მოძრაობა ხორციელდებოდა პრინციპით ”ქვეყნიდან ქვეყანაში” ბარტერის მეშვეობით. წარმატების კრიტერიუმი იყო ვიზიტორთა რაოდენობა და უზარმაზარი სუბსიდიები, რომელიც გადაეცა ტურიზმის ინდუსტრიის დიდ ნაწილს. ამჟამად სიტუაცია შეცვლილია, რადგან ევროკავშირში გაწევრიანებამდე და ევროზონაში შესვლამდე ეს ქვეყნები საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდნენ.

მთავრობის მიერ ტურიზმის სექტორის წახალისების სისტემა წარმოადგენს ტურიზმთან მიმართებაში მთავრობის პოლიტიკის მიზნების რეალიზების საშუალებას. თავიდანვე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ეს მიზნები ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს და ინვესტორებისთვის შეთავაზებულ წახალისებას შესაბამებამებოდეს. ძალიან ხშირად მთავრობა აქცენტს აკეთებს ტურიზმის ხარისხზე, ხოლო ინდუსტრიის ეფექტურობა ციფრულად იზომება. ტიპიურ სტრატეგიულ მიზნებს, როლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, მიეკუთვნება:

- ✓ უცხოური ვალუტით მიღებული ფულადი სახსრების მიღება და ქმედებები, რაც ხელს უწყობს უცხოეთიდან ტურისტების გაფანტვას რეგიონებში;
- ✓ ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელთა კატეგორიის მოზიდვა და ტურისტების საერთო რაოდენობის მუდმივად გაზრდისკენ მიმართული პოლიტიკა;
- ✓ სამუშაო ადგილების მაქსიმალური რაოდენობის შექმნა ტურისტების დიდი ნაკადის მოზიდვით და გარემოს დაცვისა და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პოლიტიკით;
- ✓ მასობრივი ტურიზმი და სამოყვარულო ტურიზმი. ტურიზმის სტიმულირების სხვადასხვა მეთოდები, შესაძლებელია ოთხ ნაწილად დაჯგუფდეს:
- ✓ ფინანსური წახალისება;
- ✓ კაპიტალური ხარჯების შემცირება;
- ✓ საოპერაციო ხარჯების შემცირება;
- ✓ კაპიტალური ინვესტიციების გარანტია (უსაფრთხოება) (Stephen Wanhill 1999).

ფინანსური წახალისების მიზანი არის კაპიტალის გაზრდა, რათა დაარწმუნონ პოტენციური ინვესტორები, რომ ბაზრის პოტენციალი იძლევა სერიოზულ ფინანსურ პროექტებს. იქ, სადაც განვითარების პოტენციალი მაღალია, ქვეყანას შეუძლია ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა გამოავლინოს ინვესტორების დასაცავად საჭირო პირობების შექმნით, ნებისმიერი დაბრკოლების მოხსნით, რაც მათ წინაშე დგას. 70-იანი წლების დასაწყისში ეს სიტუაცია ბერმუდისთვის დამახასიათებელი იყო, ამიტომ, ტურიზმის ინდუსტრიის რესურსების ზედმეტი გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მთავრობამ შემოიტანა მორატორიუმი მსხვილი სასტუმრო კომპლექსების მშენებლობაში ჩართული ორგანიზაციებისათვის (Archer&Wanhill, 1980). მოთხოვნის სტიმულირების ალტერნატივად განიხილება საინვესტიციო ფონდების ზრდის შეთავაზება. როგორც წესი, ამის მიღწევას მთავრობა ცდილობს განვითარების ბანკების ან ინვესტიციური ბანკების დაარსებით, სპეციალური საკრედიტო სქემების ან ტურიზმის განვითარების კორპორაციების ორგანიზებით. ეს იმიტომ ხდება, რომ მთავრობას, როგორც წესი, აქვს დაბალ პროცენტში სესხის აღების შესაძლებლობა, ვიდრე კერძო სექტორს, რადგან საბოლოოდ ის შეიძლება დაეყრდნოს საგადასახადო შემოსავლების დავალიანების გადახდას. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ დაფინანსება საერთაშორისო ბანკებისა და მრავალეროვნული დახმარების სააგენტოებისგან ხელსაყრელი პირობებით.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში უნდა ჩაიდოს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა და მიმართულებები. ეს გამართლებულად მიიჩნევა საქართველოს შემთხვევაშიც, რადგან ქვეყნის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ტურიზმია. მენეჯმენტის თვალსაზრისით, მათი განხორციელება შედარებით მარტივია. ტურიზმის სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებზე მეტად უმრავი ქონების ფლობასთანაა დაკავშირებული.

ინვესტიციის სტიმულირების კიდევ ერთი ფინანსური ინსტრუმენტია კაპიტალის ინვესტიციაზე საგადასახადო შეღავათები, რომელიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს გადასახადების გადავადებას, არამედ ამცირებს გადასახადის ოდენობას. ხელფასების

სუბსიდირების მიზანი ტურიზმში დასაქმების გაზრდაა. წარმოების სუბსიდირების ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ წარმოების ტექნოლოგის არჩევაზე.

სამი ათეული წელია საქართველო საკუთარი შესაძლებლობებით ავითარებს ტურიზმის სფეროს, დინამიკა აჩვენებს, რომ იზრდება როგორც ტურისტული ნაკადები, ასევე ქვეყანაში შემოსული ფულადი ნაკადებიც. ტურიზმის სფერო სხვა სფეროებისაგან განსხვავებით მხოლოდ სანახაობებით ვერ შექმნის ისეთ ეკონომიკას, რომელზე დაყრდნობით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეწყობა ხელი. მთავარი რესურსი, რომელიც ამ სფეროს განვითარებას სჭირდება საქართველოს ბუნებაში მრავლადაა, მთავარია მათი დაყოფა ტურისტულ მიმართულებებად და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა. ტურიზმის დარგი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს. ამის მიზეზი საწარმოო დარგების ნელი განვითარება, უმუშევრობის მაღალი დონე და სხვა მრავალი მიზეზია. ჩამოთვლილი მიზეზები დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ჯერ მრავალი პრობლემა არსებობს, ამიტომაც არ კარგავს აქტუალობას არსებული და ჯერ კიდევ გამოუვლენელი პრობლემების კვლევა. ტურიზმი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, ის მოსახლეობის დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროა. ეკონომიკის განვითარებაზე ტურიზმის დარგის გავლენა, მშპ-ში მისი წილი დამოკიდებულია ტურისტული პოტენციალის სრულ შესწავლაზე, მისი გამოყენების შესაძლებლობებზე და მომავალში მისაღები შემოსავლების პროგნოზირებაზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ტურიზმის, როგორც მომსახურების მიმწოდებელი ინდუსტრიის მიმზიდველობა მდგომარეობს ინვესტიციის უფრო სწრაფ უკუგებასა და მოგების თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. როგორც ვიცით ტურიზმის სექტორი ცალკე აღებული ვერ იქნება წამყვანი ქვეყნის ეკონომიკაში, ის ყველაზე მეტად მოწყვლადი დარგია და საჭიროებს სხვა სექტორების მომსახურებას. მაგალითად, სასტუმროები სარგებლობენ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, კვების პროდუქტების მწარმოებელი ორგანიზაციების და ა.შ. მომსახურებით. რაც მეტია ტურისტების

მომსახურებით მიღებული შემოსავლების ხარჯვის წილი ქვეყანაში (რეგიონში), მით მაღალია მულტიპლიკატორის ეფექტი. ტურისტების ხარჯების პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის კომბინაცია განსაზღვრავს ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკაზე ტურიზმის ერთობლივ (კუმულატიურ) ზემოქმედებას. ის ვლინდება ტურიზმის ზემოქმედებით საგადასახდელო ბალანსზე, მოსახლეობის დასაქმებასა და რეგიონალურ განვითარებაზე

საქართველოში 2019 წელს განხორციელებული ინვესტიციების სექტორული ანალიზი აჩვენებს, რომ ტურისტულ სექტორში (სასტუმროები და რესტორნები) ინვესტიციების მოცულობა 12,4 %-ია და ის ჩამოუვარდება მშენებლობის სექტორს 2,9 %-ით, ხოლო საფინანსო სექტორს - 8,2 %-ით. მონაცემები ადასტურებს, რომ ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ ის ეფექტი, რომელიც მიიღწევა ტურიზმის დარგის განვითარებისათვის საჭირო საწარმოო დარგების განვითარებით ძალიან სუსტია. დადებითი ეფექტია სასტუმროების, რესტორნების მშენებლობა, სხვადასხვა გასართობი ობიექტების მოწყობა, ქვეყნის ტურისტული ღირშესანიშნაობების მოწესრიგება, რაც აისახება დასაქმების დონის ზრდაზე, მაგრამ ტურისტისათვის ეროვნული სასურსათო პროდუქტების და მათი გამოყენებით კერძების შეთავაზების შესაძლებლობა ძალიან დაბალია. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების, წარმოების ზრდის დონისა და მშპ-ში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დინამიკის შესწავლა, ინვესტიციების დაბანდებიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების მულტიპლიკაციის ეფექტის დადგენა.

ისტორიულად ტურიზმის ნებისმიერ მიმართულებას ადამიანთა ჯგუფის, ან ცალკეული ადამიანების ეკონომიკური მიზნები ჰქონდა საფუძვლად. ამის ნათელი მაგალითია თომას კუკის მიერ შექმნილი ტურიზმის ინდუსტრია, რომელმაც 1851 წელს, დერბიშირში მოაწყო პირველი კოლექტიური მატარებელი, ტრეფიკი ლესტერიდან ლოფბორამდე. შემდეგ, მან გახსნა ლესტერში მსოფლიოში პირველი ტურისტული სააგენტო, თომას კუკი და სონი (Thomas Cook Group, 2019).

ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე ღირებული ნაშრომი შექმნეს ჯონ პიგრამმა და სალაპ ვაპაბმა, რომლებმაც ხუთი მიზნისაგან შემდგარ წიგნში „Tourism,


Development and Growth The Challenge of Sustainability“ (Salab WaHab,1997) ერთერთ მიზნად განიხილეს: მდგრადი ტურიზმის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ტურიზმის მდგრადი განვითარებაზე ბევრი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული (Josep A. Ivars-Baidal, 2021), ნაშრომში განხილულია ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხები და აქცენტი გაკეთებულია ტურისტული პროდუქტების სწრაფ ზრდასა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეუსაბამობას შორის. განვითარებადი ქვეყნებში ტურიზმის სექტორის განვითარებაზე ჩატარებულ კვლევაში (Asif Khan, 2020) ავტორები აღნიშნავენ, რომ ტურიზმი განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბესთან ბრძოლის ინსტრუმენტია, რომლის მიღწევა შესაძლებელია სწორი საინვესტიციო, ეკონომიკური, ეკოლოგიური პოლიტიკით. განვითარებად ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მიმართულებად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ სასტუმრო-რესტორნები, არამედ სოფლის მეურნეობა, რადგან ტურისტის „კვლავწარმოება“ მეტწილად დაკავშირებულია ჯანსაღი პროდუქტების მოხმარებასთან. ტურიზმში მულტიპლიკაციის ეფექტის გაანგარიშებებზე სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენებულია გაანგარიშების სხვადასხვა ფორმულები (Sergiu Rusu,2011), მაგრამ არ არის გათვალისწინებული უცხოური ინვესტიციების ეფექტი. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარებაში ტურიზმის როლის განსაზღვრისათვის პირველ რიგში საჭიროა განისაზღვროს რამდენად არის გამოყენებული შემოდინებული ინვესტიციები ტურიზმის განვითარებისათვის.

განვითარებადი ქვეყნების ტურიზმის სექტორის ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე ინდუქციის მეთოდის გამოყენებით გამოკვეთილია საქართველოს ტურიზმის განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, 10 წლიან პერიოდში გაანალიზებულია ტურიზმის სექტორის წილი მთლიან მშპ - ში და ინვესტიციების მოცულობის მიხედვით გაანგარიშებულია ინვესტიციებით გამოწვეული მულტიპლიკაციის ეფექტი. საქართველოში ტურიზმის დარგის განვითარების შეფასებისათვის ძირითადად აღებული იქნა ერთნაირი პოლიტიკური წარსულის და ეკონომიკის სხვადასხვა ტემპით განვითარების მქონე ქვეყნების მონაცემები კერძოდ: სომხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი - ამ

ქვეყნების მშპ, გარდა სომხეთისა, საქართველოს მშპ-ზე თითქმის 3-ჯერ მაღალია, უფრო მეტია ესპანეთის, თურქეთის, პოლონეთის, უკრაინის მშპ (the free encyclopedia, 2021). კვლევის ინტერესი ფოკუსირებული იქნა ქვეყნების განვითარებაში ტურიზმის როლის შეფასებაზე საანალიზო პერიოდში. შერჩეული ქვეყნების 2011-2020 წლის ეკონომიკური განვითარების და დიაგრამა 3. - ში მიღებული შედეგების შედარებით დადგენილია რამდენად დაზარალდა ქვეყნების ეკონომიკა ტურიზმის დარგში შექმნილი პრობლემებით.

ტურიზმის დარგის წილი ქვეყნების მშპ-ში (%)

დიაგრამა 3



(წყარო:<https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Direct-Contribution-to-GDP/Travel-and-tourism-direct-contribution-to-GDP-percent-of-GDP>)


როგორც დიაგრამიდან ჩანს, განვითარების მაღალი დონის ქვეყნებში (ესპანეთი, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, თურქეთი) მშპ-ში ტურიზმის წილი მცირედით არის შემცირებული. ყველაზე მეტად დარგის „დაპაუზება“ დაბალ განვითარებული ქვეყნებიდან უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. რაც დიაგრამაზე მკვეთრი დაღმასვლით არის გამოსახული.

საანალიზო ქვეყნების 2011-2020 წწ.-ში მიღწეული მშპ-ს მიხედვით გამოიკვეთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პანდემიასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. ესპანეთში, რომელიც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შედის, პანდემიის პირობებში მშპ-ს მაჩვენებელი მცირედით არის შეცვლილი (დიაგრამა 4). რაც იმაზე მიუთითებს, რომ ესპანეთის ეკონომიკა არ არის დამოკიდებული ტურიზმიდან მიღებულ

შემოსავლებზე, ამას ადასტურებს ათი წლის განმავლობაში მშპ-ში დარგის წილის თითქმის სწორხაზობრივი მრუდი (დიაგრამა 3).

#### მშპ-ს ცვლილება პანდემიამდე და პანდემიის პირობებში (მლრ. დოლარი)

დიაგრამა 4



წყარო: (The WORLD BANK, 2019-2020 წწ.)

როგორც დიაგრამა 3. - დან ჩანს, საქართველოში 2015-2019 წლებში ტურიზმის შემოსავლების წილი ქვეყნის მშპ-ში განხილულ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალია. ეს კარგი მაჩვენებელია, თუმცა „პანდემიური შოკის“ შედეგად ასევე მკვეთრად დაეცა. ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავეთდეს დასკვნა:


1. მთლიან მშპ-ში ტურიზმის მაღალი წილი კარგი ინდიკატორია იმისა, რომ ქვეყანაში მწარმოებლური ეკონომიკა ძალიან დაბალ დონეზეა;

2. წარმოების დაბალი დონის გამო ტურიზმიდან შემოდინებული რესურსების დიდი ნაწილი ისევ გაედინება ქვეყნის გარეთ. დიაგრამა №4-ზე ნათლად არის ასახული მშპ-ს ცვლილებები პანდემიის პერიოდში, თუმცა საქართველოში მცირედი ცვლილებაა, ამის დამსახურება მოგზაურობის შეზღუდულ, მაგრამ მაინც განხორციელებულ შემოსავლებზეა და რაც შეეხება სხვა დარგების განვითარებას, აյ დიდი გავლენა არ იგრძნობოდა, რადგან წარმატებული დარგები არ არსებობს ისედაც.

ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, საინტერესო არის უცხოური ინვესტიციების ტურიზმში დაბანდებიდან მულტიპლიკაციის ეფექტის გაანგარიშება.

#### პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

დიაგრამა 5



წყარო: (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>)

ტურიზმის დარგის შეფასების ყველა მაჩვენებლის შესწავლამ დაადასტურა, რომ 2019 წლამდე მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სტაბილურად მზარდი იყო, გარდა 2013 წლისა, როდესაც ინვესტიციების გადინება მოხდა, რაც გარკვეულწილად ხელისუფლების ცვლილების შედეგი იყო.

საქართველოში მშპ-ში ტურიზმის შემოსავლების ზრდის ტემპი წინააღმდეგობაშია დარგში უცხოური ინვესტიციების დაბანდების თითქმის სწორხაზოვანი მრუდთან. ქვეყნის ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წელს ტურიზმიდან შემოსავალმა

3 მილიარდ 268 მილიონ დოლარი შეადგინა. დარგის ეფექტიანობის შეფასებისას გათვალიწინებულია, რომ 2019 წელს მიღებული შემოსავალი ამავე წელს განხორციელებული ინვესტიციების შედეგი არ არის, არამედ ინფრასტრუქტურაში წინა წლებში დაბანდებული კაპიტალის შედეგია. ტურისტულ ბაზარზე ტურისტის, როგორც მომხმარებლის მიერ გაწეული ხარჯები, დარგის შემოსავალია, რომელიც წარმოების განუვითარებლობის გამო გადანაწილდება სხვა ქვეყნიდან შემოტანილ პროდუქციაზე, სახელმწიფო გადასახადებსა და მომსახურების ხარჯებზე. ერთობლივი ხარჯები მთელ ეკონომიკაზე გადის. წრებრუნვაში მონაწილეობენ საოჯახო მეურნეობები, საქონლის მომწოდებელები (შიდა და გარე ბაზრებიდან), რომლებიც თვითონ ერთვებიან მასში, როგორც მომხმარებლები. ე.ი. ეკონომიკის ყველა სუბიექტი იცვლის პოზიციას მოთხოვნებიდან გამომდინარე. აშკარაა, რომ, თუ ქვეყნის შიგნით მეტი საქონელი და მომსახურება იწარმოება, ტურისტის მიერ გაწეული ხარჯი დადებითად აისახება მშპ-ზე და ტურიზმის წილი გაიზრდება. მულტიპლიკატორის გაანგარიშება შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით, რომელიც ჩვენი აზრით სრულად ვერ ასახავს დარგში გაწეული დანახარჯების ეფექტს. გამომდინარე იქედან, რომ ტურიზმის წილი მშპ-ში მაღალია, მულტიპლიკატორის გაანგარიშებისათვის აღებულია ტურისტის მიერ გაწეული ხარჯებისა და დარგში შემოდინებული ინვესტიციების მოცულობა (შეზღუდული სტატისტიკური მონაცემების გამო დარგში გაწეულ ხარჯად აიღება დაბანდებული უცხოური ინვესტიციები).

მულტიპლიკატორის გაანგარიშება ერთობლივი ხარჯების გამოყენებით, ჩვენი აზრით არ მოგვცემს ტურიზმის დარგის განვითარების დონეზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმ მიზეზის გამო, რომ ერთობლივი ხარჯები მოიცავს მთელ ეკონომიკას: საოჯახო მეურნეობები ფირმებისაგან ყიდულობენ საქონელს და მომსახურებას, ფირმები სწევენ საწარმოო ხარჯებს (დასაქმებულთა ხელფასები და მომწოდებლებზე ანაზღაურება), ისინი თავის მხრივ ყიდულობენ მათთვის საჭირო საქონელსა და მომსახურებას და ა.შ. ამგვარად, ერთობლივი ხარჯების ცვლილება ხდება არაერთხელ, რაც აიხსნება ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტით.

ტურიზმის დარგის ხარჯები და შემოსავლები

ცხრილი №4

წლები	უცხოური ინვესტიციები (მლრდ.დოლარი)	ტურისტის მიერ დახარჯული თანხა (მლრდ.დოლარი)	ვიზიტორთა რაოდენობა (ათასი კაცი)
2011	30, 387	0,96	2822,4
2012	25, 550	1,41	4389,3
2013	-6 ,595	1,72	1300,0
2014	140, 648	1,78	2218,0
2015	170,200	1,93	1452,0
2016	119, 912	2,16	1797,5
2017	109, 486	2,70	2160,9
2018	82, 259	3,22	2400,4
2019	120, 163	3,26	2575,2
2020	-221, 461	0,49	504,2

წყაროები:[https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi?fbclid=IwAR0n\\_51hhcLNjAZzboGriw2uTeKOPEqgQ5Ga4lIEXYHdBYPBcYvoDIXRA](https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi?fbclid=IwAR0n_51hhcLNjAZzboGriw2uTeKOPEqgQ5Ga4lIEXYHdBYPBcYvoDIXRA;);  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika>

ამგვარი ეფექტი აქვს ტურიზმის დარგში უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურ შემოდინებას, რომელიც ციკლურად მეორდება ეკონომიკაში და ქმნის შემოსავლებს უკვე განხორციელებული პროექტებით. ეს ნათლად აისახა საქართველოს ტურისტული სექტორში შემოდინებული უცხოური ინვესტიციების ყოველწლიურად მიღებული შემოსავლების შედარებით. ცხრილში მოცემულია 2014 - 2020 წლებში დარგში შემოდინებული უცხოური ინვესტიციები და ამავე წლებში მიღებული შემოსავლები. საანალიზო პერიოდში ინვესტიციების მოცულობის მატებას ადგილი აქვს 2015 და 2019 წლებში, ხოლო დანარჩენ წლებში კლებით ხასიათდება და განსაკუთრებით 2020 წელს დიდი მოცულობით გადინება მოხდა (-221,461 მლრდ.დოლარი). ინვესტიციების ნაკადების შემოსავლებზე შეპირისპირებით სულ სხვა სურათს ვღებულობთ, კერძოდ ამავე წლებში შემოსავლები სტაბილურად ზრდადია გარდა 2020 წლისა, რომელშიც ასახულია პირველი კვარტლის უცხოელ ვიზიტორთა მიერ გაწეული ხარჯები, ხოლო

დანარჩენ პერიოდში მხოლოდ რეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯები. ინვესტიციების ნაკადების კლებასა და შემოსავლების მატებას შორის გამოვლენილი კავშირი წინა წლების განმავლობაში შექმნილი ინფრასტრუქტურის დამსახურებაა, ანუ უკვე გაწეული ხარჯების მულტიპლიკაციის შედეგი. ცხრილის მონაცემების მიხედვით დაირღვა ჯ.მ. კეინსის თეორია: „ინვესტიციების ნებისმიერი ზრდა პროპორციულად აისახება შემოსავლებზე“. თუმცა თუ ჩავთვლით, რომ შემოსავლების ყოველწლიური მატება განპირობებულია წინა წლებში განხორციელებული ინვესტიციებით, ჩაითვლება, რომ მულტიპლიკაციის ეფექტი სახეზეა. ტურიზმის დარგის ეკონომიკაზე გარდა უცხოური ინვესტიციებისა, გავლენას ახდენს ბევრი სხვა ინდიკატორი: ექსპორტ-იმპორტის სალდო, რომელიც ყოველწლიურად არის უარყოფითი, სამომხმარებლო ფასები, ვიზიტორთა რაოდენობა, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სამომხმარებლო ფასები და ა.შ. სწორედ აქედან გამომდინარე, ინვესტიციების ცვლილება ვერ ასახავს იგივე პროპორციით მიღებული შემოსავლების ცვლილებას. ტურიზმი განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბის დაძლევის ერთ ერთი გზაა. მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით შეუძლებელია. ტურიზმი მოწყვლადია სოფლის მეურნეობის დარგთან, ენერგეტიკის სექტორთან, გზებისა და ტურისტული ობიექტების მოწესრიგებასთან. მნიშვნელოვანია ეროვნული წარმოების პროდუქციის მიწოდება საოჯახო და სარესტორნო მომსახურებაში, მიმწოდებელთა კულინარიული გამოცდილება. კვლევის პროცესში შეზღუდული სტატისტიკური მონაცემებით დადგენილი იქნა, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება მიღწევადია ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებთან ინტეგრაციით. როგორც ტურიზმის დარგის ანალიზმა აჩვენა, განვითარების კანონზომიერება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მრავალ ფაქტორზე. განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობა ადასტურებს, დიდ როლს სწორედ ამ დარგიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს და არბილებს სიღარიბეს, მაგრამ განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლებისაგან ჯერ კიდევ შორსაა.

ამგვარად, ეკონომიკაში ტურიზმის მდგრადი წვლილის განმტკიცების მიზნით, უნდა შემუშავდეს ინტეგრირებული ტურიზმის პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებული

იქნება პროდუქციისა და მომსახურების განვითარებაზე, ეროვნული ბრენდინგის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ბუნებრივი და სოციოკულტურული რესურსების დაცვაზე და ტურიზმის მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზზე. უცხოელ ვიზიტორთა ცვალებადი რაოდენობა განპირობებულია ტურისტის ერთხელ მოგზაურობისას ქვეყანაში მომსახურების, სამომხმარებლო ფასების უარყოფითად შეფასებით. ეროვნული პროდუქციის მცირე მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ტურისტულ სეზონზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ძირითადად სარესტორნო მომსახურება შემოტანილ პროდუქტზე დამოკიდებული, რაც სიახლეს არ წარმოადგენს ტურისტისათვის. სრული წარმოდგენის შექმნა ტურიზმის დარგში არსებულ პრობლემებზე მოითხოვს დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას მასზე მოქმედი ყველა ინდიკატორის შესახებ. ეს მიუღწეველია ქვეყნისათვის, სადაც ჯერ კიდევ დაბალია ინფორმაციის შენახვის კულტურა, არ ხდება რისკ მენეჯმენტის გამოყენება, არ შეისწავლება ტურისტის, როგორც შემოსავლის წყაროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მოქმედი ფაქტორები. არსებული მდგომარეობის რეალობას ასახავს დამოკიდებულებები ტურიზმში ინვესტიციების მოცულობას, ტურისტის ხარჯებსა და მათ რაოდენობას შორის.

#### ცვლადების კორელაცია

ცხრილი №5

უცხოური ინვესტიციები (მლრდ.დოლარი)	ტურისტის მიერ დახარჯული თანხა (მლრდ.დოლარი)	ტურისტის მიერ დახარჯული თანხა (მლრდ.დოლარი)	ვიზიტორთა რაოდენობა (ათასი კაცი)
უცხოური ინვესტიციები (მლრდ.დოლარი)	1		
ტურისტის მიერ დახარჯული თანხა (მლრდ.დოლარი)	0,667893909	1	
ვიზიტორთა რაოდენობა (ათასი კაცი)	0,34286666	0,180242749	1

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

ე.ი. გამოჩენდა, რომ ცხრილში მოცემულ ინდიკატორებს შორის იკვეთება კორელაცია, რაც იმას მიუთითებს, რომ უცხოური ინვესტიციების უკუგება აისახება ტურისტის მიერ დახარჯულ თანხაში და კავშირშია ვიზიტორთა რაოდენობასთან. რაც შეეხება შემოსავლებს, მათი სტაბილური მატება განპირობებულია ტურისტული წაკადების ზრდით, რაც შესამჩნევია 2014-2019 წლებში, თუმცა მულტიპლიკატორის ეფექტი ამ შემთხვევაშიც პროპორციულ მატებაში არ ისახება. მთლიან მშპ-ში ტურიზმის მაღალი

წილი ინდიკატორია იმისა, რომ ქვეყანაში მწარმოებლური ეკონომიკა ძალიან დაბალ დონეზეა, რის შედეგია ის, რომ ტურიზმიდან შემოდინებული რესურსების დიდი ნაწილი ისევ გაედინება ქვეყნის გარეთ.

ქვეყანაში უნდა გატარდეს ტურიზმის დარგის თანმიმდევრული პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება პირველ რიგში ტურიზმთან მოწყვლადი სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების შენარჩუნება, გაწერილი შეღავათების რეალურად გამოყენება, მომსახურე პერსონალის და საოჯახო ბიზნესის მწარმოებელთა განათლების ამაღლება. მუდმივი კვლევების ჩატარება მულტიპლიკატორის ეფექტის შესასწავლად, რაც კარგი ინდიკატორია გაწეული ხარჯების შემოსავლებთან კორელაციის დასადგენად. კენსიანისეული მიდგომის გამოყენებით ყველა ინდიკატორთან მიმართებაში შესაძლებელი იქნება დადგინდეს დარგის განვითარების სუსტი წერტილი და არსებული რესურსები მიიმართოს მის გასაძლიერებლად. მოკვლევით დასტურდება, რომ სუსტი წერტილია ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენება, ეროვნული პროდუქციის წარმოება, სამომხმარებლო ფასები და ა.შ. ყველა ინდიკატორი მნიშვნელოვანია, მაგრამ თანმიმდევრული პოლიტიკა გულისხმობს თანდათანობით მოიხსნას პრობლემები, რაც ყოველ ჯერზე ერთით ნაკლებ სუსტ წერტილს დატოვებს შეფასებაში და მეტი რესურსი მიიმართება მათ გასაძლიერებლად.

## **2.2. საინვესტიციო გარემოს მართვის პრინციპების ზოგადი დებულებები სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში**

საქართველოს ეკონომიკაში აშკარაა უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალურობა. ეკონომიკის კარგახსნილობის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს. თითქმის ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზღვარგარეთელი სტრატეგიული ინვესტორების გამოჩენამ, რომლებიც საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო რესურსების მობილიზაციისათვის არიან მზად და ამის უნარიც შესწევთ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი საერთო მასშტაბთან შედარებით უმნიშვნელოა ამავდროულად, ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად გავლენას ვერ ახდენს ცხოვრების დონეზე. ამის ძირითადი მიზეზია საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნეგატიური აღქმა და უზარმაზარი რისკ ფაქტორები, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ ინვესტიციური კრიზისის უარყოფით შედეგებზე. ცხადია, რომ დღეს მსოფლიოში საინვესტიციო რესურსები წარიმართება შეღავათიანი დაბეგვრის, სამართლებრივი უზრუნველყოფის, პროგნოზირებადი ინფლაციის, მტკიცე საბანკო სისტემის მქონე რეგიონებში. რა უშლის ხელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას? საქართველოში ფინანსური ბაზრის ინსტიტუციური სრულყოფა ჯერ არ მომხდარა. მთავარი მოთამაშეა საბანკო სექტორი, თუმცა მცირეა მტკიცე ფინანსური მდგომარეობის ბანკები, კერძო საპენსიო ფონდები მხოლოდ 2018 წლიდან მცირე მოცულობის სახსრებით შეუერთდა ფინანსურ ბაზარს, სადაზღვევო ფონდები რესურსების გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობების გამო არაპირდაპირ საბანკო ინსტიტუტების გავლით მონაწილეობენ ფინანსურ ბაზარზე. ე.ი. ფინანსური ბაზარი მეტწილად არაპირდაპირი დაფინანსების არხებით ფუნქციონირებს. ეს გარკვეულწილად ზღუდავს პორტფელური ინვესტიციების

განხორციელებას. ნორმალურ პირობებში ინვესტორები პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებენ ხოლმე, რადგანაც რომელიმე წარმოების განვითარებით მათ გაკონტროლების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე საწარმოს აქციების (აქციების საკონტროლო პაკეტის უქონლობის პირობებში) შემენისას. საქართველოში საპირისპირო ვითარება ყალიბდება. წარმოებაში ფულის დაბანდებას ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქტები ხშირად არ სრულდება და საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება.

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულია წინააღმდეგობა, რომლის დამლევის მექანიზმის პოვნა სასწრაფოდ უნდა მოხდეს. ამ წინააღმდეგობას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ, უცხოური ინვესტიციებზე მწვავე მოთხოვნაა, მეორე მხრივ კი, საბაზრო ძალების მოქმედებამ შეიძლება ჩვენი ქვეყანა დასავლეთის სანედლეულო დანამატად აქციოს. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად უნდა შემუშავდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დასაბუთებული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოზიდვის მოტივაციური მექანიზმი. მისი შემადგენელი ნაწილია უცხოელი ინვესტორებისათვის მისალები ეკონომიკური პირობები, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეჟიმი. ამასთან, ამგვარი პირობები და რეჟიმი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს, თორემ სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდეს, ის კი დღესაა საჭირო. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთელ მსოფლიოში კონკურენცია არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს პარალიზებული შიდა ინვესტიციური პრაქტიკის მქონე ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შიდა ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლება შეიძლება განვიხილოთ როგორც კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც და როგორც უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორი.

ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი დარგები უცხოელი კერძო ინვესტორების ხელში გადადის, რადგან ქართველი მეწარმეები მათ სათანადო კონკურენციას ვერ უწევენ. საქართველოს შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის საუკეთესო ნაწილი,

ბუნებრივი რესურსები და ძალზე იაფად შეძენილი მსხვილი საწარმოები აკლდება ეროვნულ წარმოებას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ უცხოური კაპიტალისათვის მომგებიანი ე.წ. სპეციალიზაციის გავლენით საქართველოში უპირატესად ვითარდება შრომატევადი და არა მეცნიერება და კაპიტალ ტევადი დარგები, რადგან უცხოური კაპიტალი, მირითადად, იაფი მუშახელისა და ბუნებრივი რესურსების გამო შემოდის.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, უცხოურ კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები, მირითადად, სწორედ მაშინ იჩენს თავს, როცა ეს კაპიტალი ეკონომიკის წამყვან დარგებში მკვიდრდება, რის გამოც რთულდება მასთან დაპირისპირება და ეროვნული ინტერესების დაცვა. ამასთან, გასათვალისწინებელია შემდეგიც, რომ თეორიულად, შესაძლოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს მოკლევადიან პერიოდში და სწრაფადაც განავითაროს ეკონომიკა საწყის ეტაპზე, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში გაცილებით ეფექტიანია საკრედიტო რესურსების მეშვეობით ადგილობრივი მეწარმეების დასაქმება და საკუთარი რეზერვების ამოქმედება. ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი მეწარმეების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს მათი შემოსავლების ეროვნულ ეკონომიკაში რეინვესტირებას, რითაც იწყება ეკონომიკის ზრდის პროცესი. უცხოელი კერძო ინვესტორების დომინირება ეკონომიკაში ნიშნავს ქვეყნიდან ფინანსური რესურსების მუდმივი ნაკადით გადინებას, რაც აუძლეურებს ეკონომიკას და აფერხებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოსათვის უცხოურ ინვესტიციებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გასაგებიცაა. მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყანა ადგილს მყარად დაიმკვიდრებს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკა მტკიცედ ჩაერთვება შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. მსხვილი კაპიტალდაბანდებების გარეშე კი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, აღორძინება და განვითარება შეუძლებელია. სამწუხაროდ, საკუთარი რესურსები საამისოდ ქვეყანას არ გააჩნია. სახელმწიფოში ბიზნესისა და მოსახლეობაში ფაქტობრივად ფინანსების ნაკლებობა იგრძნობა. ასეთ ვითარებაში, ინვესტიციების დაფინანსების მირითადი წყარო უცხოური რესურსები

შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ, მათი მოზიდვის მასშტაბების გაფართოება უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება.

მოგების მოსალოდნელი ზრდის განსაზღვრის დროს, მეწარმე, შეისწავლის ორ ძირითად ფაქტორს შორის დამოკიდებულებას. ასეთ ფაქტორებს წარმოადგენს, პირველი, განსაზღვრული ძირითადი კაპიტალის მოსალოდნელი წმინდა შემოსავლების ნაკადები (ამონაგები), მეორე – კაპიტალის გამოყენების დანახარჯები. ძირითადი კაპიტალის ფუნქციონირების განმავლობაში მოსალოდნელი წმინდა შემოსავლების ნაკადის კონცეფციის გაგებისათვის, დავუშვათ, რომ მეწარმე ცდილობს გადაწყვიტოს, ღირს თუ არა დაამატოს ახალი ძირითადი კაპიტალი არსებულ მოწყობილობებსა და დანადგარებს. მოლოდინი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენადაც ძირითად კაპიტალს აქვს განსაზღვრული «სიცოცხლის ხანგრძლივობა», ეს კი ნიშნავს, რომ კაპიტალს შეუძლია მოგვცეს მოგება დროის საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში. ამიტომ, როგორც წესი, მეწარმეს გადაწყვეტილი აქვს ძირითადი კაპიტალის გამოყენება რამდენიმე წლის განმავლობაში. ამასთან ძირითადი კაპიტალის კომბინირებით სამუშაო ძალის, ნედლეულის და ა.შ. გაზრდასთან, აწარმოებს დამატებითი რაოდენობის პროდუქციას, რომელიც უნდა გაიყიდოს დოვლათის ბაზარზე.

დამოუკიდებელ ინვესტორს ყოველთვის უხდება რისკის გაწევა, ამიტომ ინვესტორმა კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე უნდა შეისწავლოს ბაზარი, გაეცნოს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ჩასწვდეს საგადასახადო სისტემის არსებობის და სხვა. ერთი სიტყვით, ინვესტორი ყოველთვის დგას არჩევანის წინაშე და იგი ცდილობს ამოირჩიოს მრავალი ალტერნატიული ვარიანტიდან მხოლოდ, საუკეთესო. რისკის არსის შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პროექტების შემქმნელებს და ინვესტორებს მიეცემათ რეალურად არსებულ რისკებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა პროექტის რეალიზაციის იმ ეტაპზე, როდესაც ამ ინფორმაციას ჯერ კიდევ შეეძლება პრაქტიკული სარგებელის მოტანა. ბოლო ხანს ეკონომიკურ ლიტერატურაში შეინიშნება საინვესტიციო პროექტებით განსაკუთრებული დაინტერესება, რაც გარკვეულწილად საინვესტიციო საქმიანობის აქტიურობაზე

მიუთითებს. სწორედ, საინვესტიციო პროექტების განხორციელების რისკის შემცირების გზების გამონახვა უნდა გახდეს პრიორიტეტი საინვესტიციო პოლიტიკაში. ზოგადად რა არის რისკის არსი. რისკი – დღემდე ცნობილ კატეგორიებს შორის ყველაზე საიდუმლოებით მოცულია. კაცობრიობამ მისი არსებობის შესახებ დიდი ხანია რაც შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ რისკს მიიჩნევენ ისტორიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ კატეგორიად, რისკის საერთო აღიარებული თეორია დღემდე არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში, კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებაში, რისკის სხვადასხვა განსაზღვრებაა მოცემული. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. პიტერ ბერნსტაინი თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ბიზნესში რისკის საკითხს, აღნიშნავს, რომ „რისკის“ ქვეშ უნდა მოვიაზროთ საწარმოს მიერ საკუთარი რესურსების დაკარგვის, შემოსავლების სრულად მიუღებლობის და დამატებითი ხარჯების გაწევის შესაძლებლობა (საშიშროება) განსაზღვრული საწარმოო და ფინანსური საქმიანობის პროცესში. ი. ბალაბანოვი შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: რისკის ქვეშ იგულისხმება დანაკარგის საშიშროება, რომელიც გამომდინარეობს ბუნებრივი მოვლენებისა და საზოგადოების საქმიანობის ამა თუ იმ სპეციფიკიდან. რისკის და შემოსავლის ფარდობა – ძირითადი პრობლემაა ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობისათვის. საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია არ წარმოადგენს გამონაკლისს. საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკი ყოველთვის უნდა განისაზღვროს წარმოქმნილი ურთიერთობის კონკრეტული სუბიექტების მიმართ, ან იმ მონაწილის მიმართ, რომელიც იღებს სახსრებს პროექტის რეალიზაციისათვის, ან ინვესტორის ან მათი წარმომადგენლის მიმართ. რამდენადაც გარიგებაში მონაწილეობს განსხვავებული ინტერესების მქონე ორი სუბიექტი, ამდენად ერთი და იგივე ცნება „საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკი“ მათთვის სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. მონაწილისათვის – პროექტით განსაზღვრული მიზნის ვერ მიღწევის შესაძლებლობა. უნდა ვაღიაროთ, რომ „საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის“ საერთო რისკი პროექტის მონაწილეთათვის და ინვესტორისათვის არ არსებობს. ინვესტორს, ისევე როგორც პროექტის მონაწილეებს, პროექტის რეალიზაციის ყველა ეტაპზე და სტადიაზე მოუწევთ ბრძოლა – განუსაზღვრელობასთან, რომლის ქვეშაც იგულისხმება პროექტის რეალიზაციის

პირობების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობა, მათ შორის მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე და შედეგებზე. ანუ, იგი დაკავშირებულია პროექტის რეალიზაციის დროს არასასურველი ხდომილებების ან შედეგების წარმოშობის შესაძლებლობასთან. რისკი – ეს არის იმ ხდომილების ახდენის შესაძლებლობა, რომელიც ჩნდება მოცემულ სისტემაზე რისკის რაიმე ფაქტორის მოქმედებით: შინაგანი, გარეგანი, ან ორივე ერთად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ სიტუაცია, რომელიც სწორედ მოცემული რისკის ფაქტორებით არის აგებული. საჭიროა შეფასდეს რისკის ხარისხი და განისაზღვროს მისი სიდიდე. რისკის ხარისხი – განხილული ხდომილების ახდენის ალბათობაა. ამასთან არაა აუცილებელი ის იყოს რაიმე არასასურველი მოვლენა, როგორიცაა წაგება ან ფინანსური დანაკარგი. ხდომილება შეიძლება იყოს სასურველიც, მეწარმის მიერ გაზრდილი მოგების მიღება, საინვესტიციო პროექტიდან გაანგარიშებულზე მეტი უკუგება და ა.შ. საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ყველა ქმედებას – ბიზნეს იდეის გაჩენიდან პროექტის საექსპლუატაციო ფაზის დადგომამდე - საფუძვლად უდევს აუცილებელი გადაწყვეტილებების ერთობლიობის შემუშავება და მიღება. აღნიშნული გადაწყვეტილების ერთობლიობა შედგება ურთიერთდამოუკიდებელი (ერთ-ერთის დამუშავება და მიღება არ ეწინააღმდეგება მეორის მიღებას და არ არის მასთან კავშირში), ურთიერთდამოკიდებული (გადაწყვეტილებები უზრუნველყოფენ ერთმანეთის რეალიზაციას) და ურთიერთგამომრიცხავი (გადაწყვეტილებები არ შეიძლება მიღებულ იქნას ერთდროულად და აუცილებელია ავირჩიოთ ერთ-ერთი) გადაწყვეტილებებისაგან. მოცემულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობაში არის ისეთებიც, რომელთა მიღებაც აუცილებლია. რისკები, რომლებიც საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, არ არსებობენ თავისთავად, კონკრეტული ქმედებისაგან დამოუკიდებლად. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რისკი ან რისკთა ერთობლიობა აღმოცენდება ყოველთვის, როდესაც რაიმე გადაწყვეტილება მიიღება, თითქოს თან სდევს მას და განსაზღვრავს მისი წარმატებით განხორციელების შანსს. სხვა სიტყვებით, რისკები ყოველთვის არსებობენ, ერთნი ჩნდებიან და იზრდება მათი ხარისხი, მეორენი მუდმივად მცირდებიან და თითქმის ქრებიან, მესამენი ერთმანეთთან ერთდებიან, რითაც

ქმნიან თვისობრივად ახალ რისკებს. ფაქტობრივად, საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისას შეგვიძლია დავაკვირდეთ იმ სხვადასხვა გარიგებების ერთობლიობას, რომელიც სრულდება როგორც სხვადასხვა მონაწილეს ან ინვესტორს შორის, ასევე მონაწილეებსა და ინვესტორებს შორის. ყოველი ასეთი გარიგება, რომელიც გარკვეული პირობითაა დადებული, მხარეებს აკისრებს შესაბამის ვალდებულებებს. ცხადია, რომ იმ გარიგებებს, რომლებიც სრულდება ობიექტურად არსებული რისკების სისტემის ჩარჩოებში, პირობის კონკრეტული ხასიათისა და გამოყენებულ ვალდებულებებზე დამოკიდებულებით, შეუძლიათ როგორც გააძლიერონ, ისე შეასუსტონ სხვადასხვა ხდომილების ახდენის შესაძლებლობა, ე.ი. გაზარდონ ან შეამცირონ გარიგების მონაწილეთა რისკი. სხვადასხვა პირობების შემუშავებისა და ვალდებულებების მიღების დროს ყოველთვის ვერ ხერხდება რისკების განაწილება ან გადანაწილება გარიგებაში მონაწილე მხარეებს შორის, ხოლო ზოგჯერ ზოგიერთი პირობის ჩართვის შემდეგ შეიძლება დავაკვირდეთ რისკის საერთო შემცირებას ორივე მხარისათვის. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელებულ პროექტში ჩართულია ორგანიზაციული, ფინანსური ან სპეციალური მექანიზმები, რომლებიც იწვევენ პროექტის რეალიზაციის ხარისხის ამაღლებას, ფინანსური ნაკადების მიმართ კონტროლის გაძლიერებას, სხვადასხვა არასასურველი სიტუაციის მიმართ დამცავი ხერხების განხორციელებას და ა.შ. ამ კუთხით უმთავრესი მექანიზმის სახით, რომელიც მონაწილეთა და ინვესტორთა რისკის შემცირების საშუალებას იძლევა, უნდა განვიხილოთ დაზღვევა. მაგრამ, საქართველოს სადაზღვევო კომპანიები ამ საქმით სერიოზულად არ არიან დაკავებული და საეჭვოა, რომ პროექტის მონაწილეებმა ან ინვესტორებმა შესძლონ თავიანთი რისკების დაზღვევა მისაღებ პირობებში. საინვესტიციო გარემოს შეფასებაში ძირითადად სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული შედავათები და დათმობები მოიაზრება, მაგრამ თუ გავაანალიზებთ სხვა ქვეყნებში ინვესტირების პროცესებს, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს როგორც საწარმოებში, ასევე საფოდო ბირჟაზე რისკ მენეჯმენტის ჩატარების შესაძლებლობა. საქართველოში ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე რისკების ანალიზი და პროგნოზირება პრობლემურია. ჯერ ერთი, დაბალია რისკების გამოვლენის, იდენტიფიცირების და ანალიზის შესაბამისი კადრების

პროფესიონალიზმის დონე. რისკისადმი დამოკიდებულებას აღწერს მმართველობით წრეებში დამკვიდრებული მიდგომები შემდეგი ციტატების სახით: 1. “ჩვენთან არ არის რისკები, ჩვენ ყველაფერს ვყიდით წინასწარი გადახდის პირობით”; 2. “თუ საკანონმდებლო აქტებით არ არის განსაზღვრული რისკზე ჯარიმა, ე.ი. არ არის რისკი”; 3. “ჩვენს ფინანსისტებს კარგად ესმით პროგნოზირების საკითხები და დარწმუნებული არიან 100 % შედეგის მიღებაში”; 4. “ჩვენ არ გვაქვს სავალუტო რისკები”. ამგვარი მიდგომები რისკთან მიმართებაში ზრდის გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომებს და იგნორირებას უკეთებს რისკების მართვის მეთოდების გამოყენებას (ნაითი 1921, ბალაბანოვ 1996).

საქართველოში მიმდინარე რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს კი შემდეგი ამოცანების დროულად გადაჭრაზეა დამოკიდებული:

პირველი, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. იგი აკავებს ინფლაციასა და აფერხებს წარმოების დაცემას. თანაც, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის აუცილებელია ნეგატიური პროცესების აღკვეთის მუდმივი კონტროლი და მათზე დროულად რეაგირება. ბევრი რამ დამოკიდებულია ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრის თეორიული წარმომადგრების სწორად შერჩევაზე, ინფლაციის მიზეზების შესწავლასა და მისი შეკავების მეთოდების დანერგვაზე, ეკონომიკაზე - სახელმწიფოს ზემოქმედების ღონისძიებებზე, საბაზრო კონკურენციის განვითარებაზე და ა.შ.

მეორე, ცივილიზებული სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც განმტკიცებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;

მესამე, სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

მეოთხე, აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სათანადო სისტემა.

დღეისათვის საქართველოში სადაზღვევო კომპანიების ძირითადი კლიენტები ფიზიკურ პირები არიან, რომლებზეც შეთავაზებული დაზღვევის პროდუქტებია სიცოცხლის, ქონების, ავტომანქანის დაზღვევა და ა.შ. რაც შეეხება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია კომერციულ ან საწარმოო საქმიანობასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს სერიოზული ფინანსური რისკი, ხშირად პრობლემა ხდება იურიდიულ პირებისათვის, მისაღებ პირობებში გაუზიარონ თავიანთი რისკები მზღვეველებს. ინვესტორი შეიძლება შეუთანხმდეს სადაზღვევო კომპანიას იმ სახსრების დაზღვევაზე, რომლებიც საინვესტიციო პროექტის დაფინანსებაზეა გამოყოფილი, მაგრამ სადაზღვეო პრემია ისეთი დაინიშნება, რომ ინვესტორისათვის დაზღვევა დაკარგავს ყოველგვარ აზრს. საქმე ის კი არ არის, რომ მზღვეველებს არ სურთ რთული ბიზნესის დაზღვევა, არამედ ის, რომ მოთხოვნის სიმცირის გამო ვერ ფორმირდება სადაზღვევო რეზერვი იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობაში დამდგარი ზარალის ანაზღაურებას.

იმისათვის რომ ეს განხორციელდეს, უნდა შეფასდეს საქართველოში პროექტების რეალიზაციის რეალურად არსებული პრაქტიკა, გამოირკვეს ამ საქმეში არსებული ნაკლი და სიძნელეები, რომლებიც არსებითად მოქმედებენ რისკების სისტემაზე. რომლის შემდეგაც მიღებული უნდა იქნას რისკების შემცირების ზომები მისაღებ დონემდე. აუცილებელია როგორც საკანონმდებლო, ისე ნორმატიული კუთხით იმ მოქმედებების დარეგულირება, რომლებიც ააცილებენ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს სასარგებლო პროექტების აქტიური მხარდაჭერის საქმეში, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა საშუალებებით, რაც ტარდება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე. მაგრამ რეალური პრაქტიკის შეფასება არც თუ ისე ადვილია. სპეციალისტებისათვის საიდუმლო არაა, რომ საზოგადოებაში არსებული აზრი მრავალი საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის წარმატებული პრაქტიკის შესახებ აშკარად გადაჭარბებულია. სინამდვილეში დადებითი შედეგები ცოტაა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ეს არც თუ ისე გასაკვირია.


თუ სწორად გავაანალიზებთ პროექტს და განსაკუთრებით მისი პრაქტიკული რეალიზაციის ბიზნეს-გეგმას, მაშინ დიდი ალბათობით შეიძლება წინასწარ ვიპოვოთ

მისი მომავალი ჩავარდნის მიზეზები ან სერიოზული პრობლემები, რომლებიც აუცილებლად დადგება მონაწილეთა წინაშე, მაშინაც კი თუ ისინი ამას ვერ ხედავენ ან არ სურთ დაინახონ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მომავალი პრობლემების აღმოჩენის ალბათობა მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებისათვის შეადგენს არა ნაკლებ 85%-ს. ეს კი სავსებით საკმარისი მაჩვენებელია, რომელიც რეალურ შანსს აძლევს მზღვეველს ამ სფეროში წარმატებით იმოღვაწეოს, რადგან სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს მზღვეველი არაა დამოკიდებული დამზღვევის აზრზე მისი პროექტის შესახებ და მასთან დაკავშირებულ მის სუბიექტურ შეფასებაზე. მზღვეველს აქვს უფლება მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია პროექტის და მისი რეალიზაციის შესახებ და გულდასმით გააანალიზოს, რომ შეიქმნას საკუთარი აზრი რეალურად არსებულ რისკების სისტემაზე ან რაიმე კონკრეტულ რისკზე.

ამგვარად, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსების სფეროში სადაზღვევო ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო კომპანიების სპეციალისტების კვალიფიკაციას, მათ უნარს გააანალიზონ საინვესტიციო პროექტები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის ბიზნეს-გეგმები, ასევე შეაფასონ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში რეალურად არსებული რისკები. აქედან გამომდინარე, ჩნდება ზემოთ აღნიშნული პრობლემიდან გამოსავლის მოძებნის აუცილებლობა. საქართველოში ზოგადად იქმნება საინვესტიციო პროექტების მასშტაბური რეალიზაციის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ მათი რეალიზაციის და დაფინანსების რისკების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. აუცილებელია ეფექტურად ვმართოთ ეს რისკები ადეკვატური სისტემების შექმნით, რაშიც არანაკლები როლი უნდა ეკუთვნოდეს საინვესტიციო დაზღვევას. რაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად დაფუძნდება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მოცემული სეგმენტი, ქვეყნისათვის უფრო დიდ სასარგებლო აქტიურობას განავითარებენ ქართველი და უცხოელი ინვესტორები. რაც შეეხება საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის და დაფინანსების რისკების მართვას, ამის ათვისება მოუწევთ პროექტის დაფინანსების ყველა მონაწილეს, სადაზღვევო კომპანიების ჩათვლით. იმისათვის რომ შეფასდეს თანამედროვე პერიოდში საინვესტიციო საქმიანობაში დაზღვევის მდგომარეობა

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ჩატარდა ანალიზი იმ პროდუქტების მიხედვით, რომლებიც შეთავაზებულია პოტენციურ დამზღვევებზე. ბიზნეს რისკების დაზღვევის მდგომარეობის შეფასებისათვის, განხილულია 2010-2020 წლების იმ პროდუქტების დაზღვევა, რომლებიც უკავშირდება ბენეფიციარების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას. კერძოდ: ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა, დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან. განხილული პერიოდის განმავლობაში გაფორმებულ ხელშეკრულებათა რაოდენობა ასახულია დიაგრამაზე:

სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები, 2010-2020 წწ. დოკუმენტი №6



წყარო: <https://insurance.gov.ge/ka/Statistics/Index/1>

სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, რომ დღეისათვის დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან 2017 წლიდან მზარდია, ეს მიუთითებს ბიზნეს წრეების მიერ ნაწილობრივ რისკისადმი დამოკიდებულების ცვლილებაზე, მაგრამ სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილზე ვერ ვისაუბრეთ, სამივე პროდუქტიდან მოზიდული პრემიის წილი მერყეობს 0,28 % - 3.95 % საშუალოდ. ამას ისიც ადასტურებს, რომ 2020 წლისთვის საქართველოში რეგისტრირებულია 722 695 საწარმო, ამავე

წლისთვის დაზღვეულთა რაოდენობა კი შეადგენს 58 870-ს, დაახლოებით 8,1 %. საკრედიტო ვალდებულების დაზღვევა 2014 წელს საბანკო სექტორის მიერ საკრედიტო თანხის დაზღვევის მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია, ამ მიდგომამ მსესხებელთა გადასვლა გამოიწვია იმ კომერციულ ბანკებში, რომელთაც არ ჰქონდათ დაზღვევის მოთხოვნა, შესაბამისად 2016 წლიდან სადაზღვევო ბაზარზე წილი შემცირდა. ბიზნეს რისკების დაზღვევის სეგმენტზე წარმოება-ორგანიზაციებში რისკის მისაღებობის, მათი მართვის აუცილებლობის გააზრება ახდენს გავლენას, რაც ჯერჯერობით საქართველოს საწარმოებისათვის სუსტი მხარეა.

რისკ მენეჯმენტის სამეცნიერო ლიტერატურაში საინვესტიციო კაპიტალის რისკულობის შეფასებისათვის მოცემულია Var-მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: დასაბანდებელი კაპიტალის მოცულობის, მოსალოდნელი შედეგისაგან გადახრის და ინვესტორის მიერ შერჩეული სანდოობის მაჩვენებლის მიხედვით შესაძლებელია მაღალი ალბათობით გამოითვალის მოსალოდნელი ზარალის მოცულობა, რომლის მიხედვით ინვესტორი გადაწყვეტს დაბანდების საკითხს. აღნიშნული მეთოდი წარმატებით გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მაღალ დონეზეა ინფორმაციის შენახვის კულტურა. შესაფასებელი ობიექტის სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებით (ნორმალური განაწილების პარამეტრები) გამოითვლება მოსალოდნელი გადახრა და რისკული კაპიტალი. ამ მეთოდის გამოყენება საქართველოს ეკონომიკაში შეზღუდულია, ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც ხელს უშლის განსახორციელებელი ოპერაციის პარამეტრების განაწილების კანონთან შესაბამისობის დადგენას და მათ გაანგარიშებას. როგორც ვხედავთ ინვესტირების შედეგების პროგნოზირება რთულია, როცა ქვეყანაში ერთის მხრივ, არ არის დანერგილი რისკ მენეჯმენტის წესები და მეორეს მხრივ, ერთეულთი მართვის მექანიზმი „დაზღვევა“ ვერ მუშაობს სათანადოდ.

როგორც წესი საინვესტიციო გარემო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით განისაზღვრება. საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე ინვესტიციური პროცესების თეორიული საფუძვლებისა და ინვესტირების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ინვესტიციური კრიზისის

ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დავსახოთ ინვესტიციური სფეროს განვითარების გარკვეული პერსპექტივები. სახელდობრ, ინვესტიციური პროცესის გააქტიურებისა და სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი წინადადებების დაყენება:

პირველი, აუცილებელია ისეთი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც დღენიადაგ საინვესტიციო პოლიტიკით იქნება დასაქმებული;

მეორე, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომლის განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოების მოცულობის დაქვეითებით, საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობითა და შრომის მწარმოებლურობის კრიტიკული დონით ხასიათდება არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს დაგროვების ნორმის გადიდებისათვის. დაგროვების ნორმაზე მოქმედი ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა კაპიტალური აღჭურვილობა, კაპიტალური უკუგება და ა.შ. ეკონომიკური რეფორმების პერიოდში მკვეთრად შემცირდა.

მსოფლიოში მაღალ დონედაა მიჩნეული დაგროვების ნორმის მთლიანი შიდა პროდუქტის 30 – 35 % - მდე გადიდება. ეკონომიკის აღმავლობასა და რეალური ინვესტიციების წარმოქმნის მიზნებიდან გამომდინარე, დაგროვების ამგვარი ნორმა სავსებით დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მაღალ დონეზე დაგროვების ნორმას სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს რეგულირების უპირატესად არაპირდაპირი და პირდაპირი ეკონომიკური მეთოდებით. აუცილებელია შიდა კერძო ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, რადგან სწორედ მათ უნდა შექმნან ქვეყანაში ინვესტიციური პროცესის ფინანსური საფუძველი და ეს ორიენტირი სავსებით ესადაგება ინვესტიციების მსოფლიო პრაქტიკას. სახელმწიფომ ინვესტიციური პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებითა და დაკრედიტებით, მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი დაგროვების ფონდის ზრდას.

მესამე, სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. მართლაც, პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება სახელმწიფოს სამრეწველო და

საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა. პრიორიტეტებს მიაკუთვნეს ის მიმართულებები, სადაც ე.წ. „ზრდის წერტილებია“. მათ შეუძლიათ მაღალ-ტექნოლოგიური და მსოფლიო კრიტერიუმების მიხედვით კონკურენტუნარიანი სამრეწველო კომპლექსის ინტენსიური განვითარება. პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ - პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობა და ა.შ.). და ბოლოს, ეს ის წარმოებებია, რომლებსაც ქვეყნისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

მეოთხე, როგორც ცნობილია, სახელმწიფო ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს დაფინანსების ან დაკრედიტების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ბიუჯეტიდან არ დაბრუნებად დაკრედიტებაზე გადასვლა. ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია ძირითადად სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაფინანსება. თანაც, სახელმწიფო დაფინანსების არსებული ფორმებიდან ყველაზე აქტიურად უნდა ვიყენებდეთ სუბვენციებს, რომლებიც სახსრების დაბრუნებას გულისხმობს მათი არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში. გარდა ამისა, შეზღუდული ცენტრალიზებული ინვესტიციური რესურსების განთავსება უნდა ხდებოდეს მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებთან მკაცრი შესაბამისობით და კონკურსის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პრიორიტეტულ მიმართულებებზე მათ წარმართვას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებაში ისეთ ქვეყნებთან, როგორებიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და ევროგაერთიანების წევრი ქვეყნები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება ხელს უწყობს როგორც მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს სრულ ინტეგრაციასა და ქვეყანაში სტაბილურობის განმტკიცებას, ასევე ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამ ქვეყნებისათვის საქართველო საინტერესოა, როგორც სტრატეგიული „საინვესტიციო პლაცდარმი“ და პროდუქციის გარეთ გატანის

მიმზიდველი პირობების მქონე ქვეყანა, რომელსაც მოსახლეობის მცირე რიცხოვნობის გამო მიწიმალური ტევადობის შიდა ბაზარი აქვს.

ქვეყანაში ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დონის შემცირება აუცილებელი პირობებია, რაც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ხელსაყრელ ფონს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად.

საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას. აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე - სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება. საინტერესოა უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ დაწესებული შეღავათებისა და შეზღუდვების გაცნობა.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებენ უცხოურ ინვესტიციებს. ასეთებია დიდი ბრიტანეთი,

გერმანია, ბელგია, პოლანდია, ლუქსემბურგი. დიდ ბრიტანეთში შეზღუდვაც კი არის დაწესებული უცხოურ კაპიტალდაბანდებებზე ავიაკოსმოსურ მრეწველობაში, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე, კინომრეწველობასა და ტელერადიომაუწყებლობაში.

აშშ-ში აკრძალულია უცხოური კაპიტალის ფლობა და კონტროლი ისეთ კორპორაციებზე, რომლებიც ტელერადიომაუწყებლობას, ტელეგრაფს, თანამგზავრულ კავშირს, ატომურ ელექტროსადგურების მშენებლობას და ექსპლუატაციის სფეროს განეკუთვნება.

იტალიაში უცხოური კაპიტალის დასაბანდებლად ისეთ დარგებში, როგორიცაა ნაოსნობა, დაზღვევა, საბანკო საქმე სათანადო სამინისტროების ნებართვაა აუცილებლად საჭირო. ფინეთში აკრძალულია უცხოური ინვესტირება ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის ისეთ სფეროებში, როგორიც არის სამთო მომპოვებელი, ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, რკინიგზის ტრანსპორტი.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში უცხოური კაპიტალის დაბანდება ყველა დარგში ნებადართულია მხოლოდ პარიტეტულ საწყისებზე - ესპანეთის და კაპიტალის დამბანდებელი ქვეყნის თანაბარი წილით. ყოველ შემთხვევაში ყველა ქვეყანა ამ პროცესზე ახორციელებს თავის კონტროლს. დიდ ბრიტანეთში ეს ხდება ინდივიდუალური ნებართვით, რასაც იძლევა ინგლისის ბანკი. საფრანგეთში ამისათვის საჭიროა სპეციალური დელკარაციის წარდგენა ეკონომიკისა დაფინანსების და ბიუჯეტის სამინისტროებში, რომლებიც იძლევიან დაბანდებებზე წინაწარ ნებართვას. გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში ასეთი წინასწარი ნებართვები საჭირო არაა. იაპონიაში, სადაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების სფეროში ლიბერალიზაცია, ინვესტირებაზე შეიტანება შეტყობინება იაპონიის ბანკის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროში და 30 დღეში უკვე იწყება ინვესტირება. ყველაზე ლიბერალური და ხელშემწყობი რეჟიმი ამ სფეროში აქვს გერმანიას, სადაც საჭირო არაა შეტანასა და გატანაზე სპეციალური ნებართვა, იგი თავისუფალია და რაიმე შეზღუდვას არ ექვემდებარება. ასეთივეა ლუქსემბურგიც, სადაც არც კაპიტალის წილის შეზღუდვა არსებობს, არც გამგეობაში მონაწილეობის და არც მოგების განაწილების. პორტუგალიაში

შეღავათებიც კი არის დაწესებული უცხოურ ინვესტიციებზე, განსაკუთრებით პრიორიტეტულ დარგებში - ელექტრონიკაში, ინფორმატიკაში, ბიოტექნოლოგიაში, ტურიზმში, ჩამორჩენილ რაიონებში, საექსპორტო ბაზის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. მუნიციპალიტეტები ქმნიან აქ „სამრეწველო მოედნებს“, საწარმოო ინფრასტრუქტურით უცხოური კომპანიების მოსაზიდად, რომლებიც ქირაობენ მათ შეღავათიან პირობებში.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდავად პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი, მეტწილად ტერიტორიული გავრცელების არეალი შეზღუდული დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობანი, სამთო ქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა დღე-ღამური დებიტი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კასტრული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტერიტორიული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, არაორდინარული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფეროვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია.

მსოფლიოს ენერგეტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მიღლადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტუან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური

აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილება. ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ამუხრუჭებს საინვესტიციო აქტივობას. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში თავი იჩინა ჯ. კეინსის მიერ აღნიშნულმა დაგროვების პროცესმა, ინვესტირდება იმაზე ნაკლები, ვიდრე იზოგება. ეს პროცედურა ძირითადად წარმოების რეალური სექტორის დაბალი ეფექტუანობისა და დაბალი ინვესტიციური მიმზიდველობის შედეგია. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს მატერიალურ წარმოებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს (ეკონომიკის რეგულირება მონეტარული მეთოდების გამოყენებასთან შერწყმით) ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლებას და შექმნის ეროვნული მეურნეობის მდგრადი განვითარების წინაპირობას. ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთმნიშვნელოვნად ძნელი შესაფასებელია. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

შრომითი რესურსების მიმართაც სიტუაცია მარტივი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემებით, საქართველოს შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორისათვის. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები შეჩვეულნი არიან მკაცრ ფორმალურ

კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა. ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორს. ინვესტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს, რომელშიც აისახება ზრდისა და განვითარების ტემპები, ინფლაციის დონე, შიდასახელმწიფო ვალის სიდიდე და სხვა.

საზოგადოდ ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში დიდი არჩევანი არა აქვთ. მათ ან ისეთ კომპანიებში უნდა დააბანდონ ფული, რომლებიც დიდი ხანია კარგადაც მუშაობენ (რაც თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში) და თვით იცავენ საკუთარ უფლებებს, ან გარისკონ და რომელიდაც სრულიად ახალ, უცნობ საქმეში მოახდინონ ინვესტირება, რომლის პერსპექტივებიც გაურკვეველია. ნორმალურ პირობებში ინვესტორები პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებენ ხოლმე, რადგანაც რომელიმე წარმოების განვითარებით მათ გაკონტროლების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე რომელიმე საწარმოს აქციების (აქციების საკონტროლო პაკეტის უქონლობის პირობებში) შეძენისას. საქართველოში საპირისპირო ვითარება ყალიბდება. წარმოებაში ფულის დაბანდებას ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქტები ხშირად არ სრულდება და საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლებია: მაკროეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრება, ვალები და მათი მომსახურება, საგადასახადო რეჟიმი, პოლიტიკური რისკები და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროება და გეოპოლიტიკური მდებარეობა.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად. საინვესტიციო გარემო გულისხმობს ქვეყანაში რეალურად არსებულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გრძელვადიანი დაბანდებებისათვის უცხოური კაპიტალის სულ უფრო მზარდი ოდენობით ინტენსიურ მოზიდვას ან განრიდებას (თავშეკავებას). ე.ი. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საინვესტიციო გარემო შეიძლება იყოს ხელსაყრელი (ხელშემწყობი) ისე არახელსაყრელი

(ხელშემშლელი), რომელსაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმამდე ყველა ინვესტორი ითვალისწინებს. დღეს არსებობს ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მისთვის საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად უნდა დავასახელოთ ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება, ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებებია ტრანსპორტში. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ეს პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში და გარკვეული შეღავათების დაწესებაში, იმისათვის რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების პირობებში უმთავრეს ამოცანას ქვეყანაში შექმნილი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება წარმოადგენს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის ტურისტული სექტორის განვითარება, რომელიც, თავისი შინაარსით, განსაზღვრავს როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე ცალკეული მუნიციპალური წარმონაქმნის მომავალს.

ტურიზმის განვითარების პროცესის უწყვეტობა ითხოვს არა მარტო შრომითი და მატერიალური, არამედ ფინანსური რესურსების აუცილებელ არსებობას, რასაც საინვესტიციო გარემოს სრულყოფილება ძალზე მნიშვნელოვანს ხდის.

სახელმწიფოს როლი ტურისტულ სექტორში ინვესტორთა დაინტერესებაში და მათ მიმზიდველობაში უმთავრესი წინაპირობაა ტურიზმის გეგმაზომიერი და დინამიური განვითარებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისათვის, ტერიტორიების სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, საბოლოო ჯამში, რეგიონის უსაფრთხოებისათვის და მისი შესაძლო საფრთხეების დროული არიდებისათვის, რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დონის,

ასევე მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების დონის სახელმწიფო მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს. ტურისტული სექტორის ინვესტირების შემდგომი აქტივიზაცია შეუძლებელია შესაბამისი თეორიული ბაზის შექმნის გარეშე, რომელიც ამჟამად არასაკმარისადაა შემუშავებული.

ტურიზმის სფეროსათვის აუცილებელია საინვესტიციო პროცესების განვითარებაში სახელმწიფოს როლის მ ზრდა, რაც უნდა განხორციელდეს რეგიონის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნების ეფექტურობის მიხედვით დიფერენციაციის ანალიზის საფუძველზე. ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა ტურისტული სექტორის განვითარებაში, საქართველოს ტურისტული სექტორის საინვესტიციო გარემო და მისი სრულყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის განსაზღვრა.

ტურიზმის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე უაღრესად ფართო მასშტაბიანი და მრავალმხრივია. ეს გამოიხატება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. პირდაპირი ზემოქმედება გულისხმობს სახელმწიფო და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება ტურიზმის განვითარებით ეკონომიკის სხვა დარგების სტიმულირებაში.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მაკროეკონომიკური მდგრამარეობა (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაცია, ვალუტის გაცვლითი კურსი);
2. ექსპორტზე ორიენტაციის დონე (წარმოებული პროდუქციის წილი, რომელიც მიდის ექსპორტში);
3. სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები;

სახელმწიფოსა და მთავრობის ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემო შექმნა. ადგილობრივ მეწარმეთა საინვესტიციო

აქტივობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება: აუცილებელია დაჩქარდეს არსებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესი, საჭიროა საბანკო სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება, უნდა შეიქმნას საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელი. ამისათვის, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზაა მოსამზადებელი. საინვესტიციო გარემო საქართველოში უცხოელი ინვესტორების ფართოდ მოზიდვის თვალსაზრისით არახელსაყრელია. ეს განპირობებულია პოლიტიკური არასტაბილურობით, ეკონომიკური კრიზისით, და სხვა პირობებით, რაც განსაზღვრავდა საქართველოსათვის დაბალი რეიტინგის მინიჭებას.

საინვესტიციო გარემოს შედარებითი შეფასების ისტორია 30 წელზე მეტს არ ითვლის. ამ სფეროში ერთ-ერთი პირველი კვლევა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლებმა შეასრულეს. შეფასების საფუძვლად მათ აიღეს საექსპერტო შკალა, რომელიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავდა: საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის, კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, პოლიტიკური ვითარება, ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები და ა.შ.

ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritage Foundation-ის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში საქართველომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით 100-ე ადგილიდან მე-102 ადგილზე გადაინაცვლა და საქართველოს ეკონომიკა „მეტად არათავისუფალ“ კატეგორიაში მოხვდა. იქვე აღნიშნულია, რომ გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო გარემო და გაზრდილია არალეგალური ვაჭრობა. Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2021 წლის კვლევის მიხედვით კი, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 77.2 ქულით მე-12 პოზიციაზე „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-7 ადგილზეა. დღევანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმის გაზრება, რომ რეგიონში სადაც მხოლოდ სამი ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება მძაფრი კონკურენცია ინვესტიციებისათვის. ერთადერთი საშუალება, რითაც შეიძლება

მოიზიდოს კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, ესაა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

ეკონომისტთა უმრავლესობა ერთნაირად განმარტავს საინვესტიციო გარემოს შინაარსს, მაგრამ მისი სტრუქტურისა და შეფასების მეთოდიკის დაკონკრეტებისას მათი შეხედულებები არსებითად განსხვავებულია. განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება შევაჯამოთ საინვესტიციო გარემოს შეფასებისადმი დამახასიათებელი მიდგომები:

პირველი, ვიწრო გაგებით იგი ეყრდნობა შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობათა დინამიკა; ეროვნული შემოსავლის განაწილების, დაგროვებისა და მოხმარების პროპორციების დინამიკა; საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობა; საინვესტიციო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების მდგომარეობა; ცალკეული ინვესტიციის ბაზრის (მათ შორის, საფონდო და ფულის) განვითარების დონე;

მეორე, ფართო გაგებით იგი ეყრდნობა საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსის შეფასებას. მათ შორისაა:

ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება (რეგიონის უზრუნველყოფა რესურსებით, ბიოკლიმატური პოტენციალი, თავისუფალი მიწების არსებობა საწარმოო ინვესტირებისათვის, ენერგო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის დონე, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და ა.შ.)

მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიური უსაფრთხოების, მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების დარგების განვითარების დონე, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობა, ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთის ხარისხი და ა.შ.);

რეგიონის საბაზრო გარემო (საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, პრივატიზაციის გავლენა საინვესტიციო აქტიურობაზე, ინფლაცია და მისი ზეგავლენა საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პროცესებში მოსახლეობის ჩაბმის დონე, მეწარმეობის კონკრეტული გარემოს განვითარება, გასაღების ადგილობრივი ბაზრის

ტევადობა, მეურნეობათაშორის კავშირების ინტენსივობა, საექსპორტო შესაძლებლობები, საზღვარგარეთული კაპიტალის არსებობა);

პოლიტიკური ფაქტორები (რეგიონის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი, ფედერალური ცენტრისა და რეგიონული ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, სოციალური სტაბილურობის დონე, ეროვნულ - რელიგიურ ურთიერთობათა მდგომარეობა);

სოციალური ფაქტორები (მოსახლეობის ცხოვრების დონე, საბინაო საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურების განვითარება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის გავრცელება, დანაშაულებათა დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაციის გავლენა საინვესტიციო პროცესზე, მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების მიმართ, საზღვარგარეთელი სპეციალისტებისთვის მუშაობის პირობები);

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვარგარეთელი ინვესტორებისადმი, ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვა, ოპერატიულობის დონე საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობები, ადგილობრივ მეწარმეთა საქმიანი თვისებები და ეთიკა);

ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსავლები, არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებით უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ფედერალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან ფინანსური რესურსების მიღების ხელმისაწვდომობა, უცხოური ვალუტით კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა, საბანკო პროცენტის დონე, ბანკთაშორისი თანამშრომლობის განვითარება, საბანკო კრედიტები მოსახლეობის ათას სულზე, წამგებიან საწარმოთა ხვედრითი წონა).

მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში უცხოური გამოცდილების გაზიარება, საექსპორტო პოტენციალის და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, სავაჭრო და


საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება, ახალი ტექნოლოგიების დაწერვა, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა. ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების ასეთი აქტიური გავლენა აისახება საერთაშორისო ურთიერთობების პირობებშიც. უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე და მის სტრუქტურაზე სხვადასხვაა. მაგალითად, კაპიტალის იმპორტი აისახება ბალანსის აქტივში და შეიძლება ამ უკანასკნელის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ინვესტიციებს თან სდევს მიღებული მოგების გატანა, რაც აისახება ბალანსის გასავალ ნაწილში. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას თან სდევს მოწყობილობის, პატენტების, ლიცენზიების იმპორტი, რაც იწვევს სახსრების ქვეყნიდან გადინებას. ამავე დროს უცხოელ ინვესტორებს დიდი თანხები შეაქვთ დაბეგვრის, საბაჟო გადასახადის და სხვა მოსაკრებლების სახით, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა, ქმნის რა უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ პირობებს, ქმნის მოგების რეინვესტირების შესაძლებლობებს, ამცირებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისევე როგორც საფინანსო, ასევე პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე

ერთის მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელს უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტანდარტების დაწერვას, ხოლო მეორეს მხრივ, უცხოელი ინვესტორები, რომელთა შორის ხშირად გვევლინებიან ტრანსნაციონალური კომპანიები, აქტიურად ერევიან ქვეყნის საკანონმდებლო პროცესებში, იგნორირებას უწევენ ქვეყნის ეკოლოგიურ თუ შრომით კანონმდებლობას.

დიაგრამა №7 აჩვენებს, რომ უცხოური ინვესტიციები 2018 - 2021 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად ტურისტულ სექტორში შემცირდა. ტურიზმი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრია, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სწრაფად და განუწყვეტლივ იზრდებოდა, რაც გლობალური დასაქმებისა და ეკონომიკური წარმოების მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

დიაგრამა №7



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

საინვესტიციო გარემოს შეფასების კრებსითი მაჩვენებელი ვერ გამოდგება ინვესტიციების დაბანდებისათვის ამა თუ იმ სამეურნეო სისტემის მიმზიდველობის ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმად. მას, ჩვეულებრივ, ავსებენ იმ ფაქტორების განვითარების შესახებ ინფორმაციით, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოს მდგომარეობასა და დინამიკაზე. ამდენად, სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ყოველ ინვესტორს შეუძლია მის მიერ შერჩეული ფაქტორების მეშვეობით მოახდინოს ორიენტირება.

საინვესტიციო გარემოს შეფასებაში დაგროვილი ადგილობრივი და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად გათვალისწინებული არ არის თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შემუშავებული რიგი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულება, კერძოდ: ქვეყნის და რეგიონის საინვესტიციო გარემოც კი განხილულია მოგების (შემოსავლის)

მაქსიმალურად და შეუფერხებლად მიღების მოსურნე აბსტრაქტული სტრატეგიული ინვესტორის პოზიციიდან. მაგრამ კაპიტალი, ისე როგორც ინვესტიცია, სხვადასხვაგვარია (სამრეწველო, სავაჭრო, სასესხო, სააქციო), ინვესტორებს კი განსხვავებული მიზნები აქვთ.

დროის მოკლე მონაკვეთში მოგების მაქსიმუმზე ორიენტირებული სასესხო კაპიტალი ფინანსური, პორტფელური ინვესტიციების მეშვეობით მოქმედებს. სამრეწველო კაპიტალი მოგებასთან ერთად ცდილობს საწარმოს, კორპორაციის თუ რეგიონის საქმიანობაზე მდგრადი გავლენის მოპოვებას, რაც განსაზღვრავს ინვესტორის სურვილს, დაამყაროს გრძელვადიანი ურთიერთობები, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და საწარმოს მართვაში. ამ ბოლო მიზნისათვის ინვესტორი მზადაა შეეგულს ინვესტირების მომგებიანობის ერთგვარ დაქვეითებას ხანმოკლე პერსპექტივაში. ეს კაპიტალი მოქმედებს რეალურ აქტივებში, ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით. ინვესტიციების ყველა ამ სახესხვაობისათვის განსხვავებული საინვესტიციო გარემოა აუცილებელი; ინვესტორი და ინვესტიციის მიმღები, როგორც წესი, განსხვავებულ მიზნებს ისახავენ. პირველი ესწრაფვის მაქსიმალური მოგების ამოქაჩვას და ბაზარზე დამკვიდრებას ხანგრძლივი პერიოდით, მეორე კი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი კომპლექსის მოგვარებას მიწიმალური სახსრების მოზიდვით. ამდენად, საინვესტიციო გარემო ინტერესთა ბალანსის შესაბამისი უნდა იყოს; ინტეგრირებული საინვესტიციო რესურსული ფაქტორი იმ რესურს ფაქტორების (სამეცნიერო - ტექნოლოგიური, სამეწარმეო, საინფორმაციო, ორგანიზაციული, მმართველობითი და ა.შ.) გათვალისწინებაა, რომლებიც შეთანხმებულად ურთიერთქმედებენ დროსა და სივრცეში.

ერთის მხრივ, საინვესტიციო გარემო სტაბილური უნდა იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მეორეს მხრივ კი, იგი უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და ითვალისწინებდეს ეროვნულ ეკონომიკაში რესურს ფაქტორების თანაფარდობაში მომხდარ ცვლილებებს. იმავდროულად, იგი მიმართული უნდა იყოს ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკის რესურს ფაქტორთა სისტემის ფორმირებისაკენ; დღეს ობიექტური მოთხოვნილება არსებობს მოზიდული ინვესტიციების ინოვაციურად „შევსებაზე“.

ინვესტიციების შერწყმა განვითარების ინოვაციურ ფაქტორებთან განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ინოვაციურ მეწარმეობაში (ვენჩურულ ინვესტიციებში) ინვესტიციების მოზიდვის დროს. ეს განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს საინვესტიციო გარემოს, მისი შემადგენლობისა და ინვესტირების მექანიზმის მიმართ; სოციალურ დინამიკასთან ინვესტირების კავშირს, როგორც წესი, განიხილავენ სოციალური ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის თვალსაზრისით (დასაქმების უზრუნველყოფა, ცხოვრების დონის ამაღლება, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ფორმირება და ა.შ.), მაგრამ ინვესტიციები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასთან, მუშავთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ცხოველმოქმედების ყველა სფეროში, რისი გათვალისწინებაც საჭიროა ქვეყნის ან რეგიონის სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნის დროს; საინვესტიციო გარემომ არ უნდა დაარღვიოს სამეურნეო სისტემების ეკონომიკური მდგრადობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური თვისებები. ეს განაპირობებს ოპტიმალური სტრუქტურის აუცილებლობას; ინვესტორებისა და ინვესტირებადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ინტერესთა ბალანსის დაცვის მიზნით საჭიროა მოზიდული ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის და საინვესტიციო გარემოს კეთილსასურველობის კომპლექსურად შეფასება.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ყველაზე რაციონალური საინვესტიციო გარემოს მაჩვენებლად მოზიდული ინვესტიციების მოცულობისა და მათი ზრდის განხილვა სამეურნეო სისტემის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სამეცნიერო ტექნოლოგიური პერსპექტივებისთვის მისი შედეგების გაუთვალისწინებლად.

აშშ-ში იყენებენ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინების მეთოდს, რომელთა შორისაცაა პოლიტიკური მისწრაფებები, ეკოლოგიური მოძრაობის მდგომარეობა და სხვა. მათ ბაზაზე ყველა შტატის მიხედვით აქვეყნებენ „ყოველწლიურ სტატისტიკურ რუკას“, რომელიც საინვესტიციო გარემოს ოთხ განზოგადებულ მაჩვენებელს მოიცავს: ინვესტიციების ეკონომიკურ ეფექტიანობას; საქმიან სიცოცხლისუნარიანობას;

ტერიტორიის განვითარების პოტენციალს; საგადასახადო პოლიტიკის ძირითად შემადგენლებს.

საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში დამოუკიდებლობის დღიდან დღევანდელობამდე. 90 - იანი წლების კრიზისი ეკონომიკის ფაქტობრივად ყველა სფეროს შეეხო. განსაკუთრებით რთულ პრობლემას ამ პერიოდში ნაღდი ფულის დეფიციტი ქმნიდა. მზარდი ინფლაციური პროცესების ფონზე შემოღებული იქნა ეროვნული ბანკის კუპონები. აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო გაამწვავა უკონტროლო საკრედიტო ემისიამ. მისი მეოხებით 1993 წლის მეორე ნახევრიდან 1994 წლის ოქტომბრამდე ქვეყანაში განვითარდა ჰიპერინფლაციური პროცესი. 1994 წლის ინფლაციის დონემ 8500 % - ს (ჰიპერინფლაციური შოკი) მიაღწია, ამ პერიოდში ინფლაციის ტემპმა თვეში 60 – 70 % შეადგინა. ჰიპერინფლაციის ფონზე ხელფასების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამომხმარებლო ფასების ზრდას, რის გამოც ხელფასების რეალური მსყიდველობითი უნარიანობა 22 % - ით შემცირდა. ისევე, როგორც წინა წლებში, გრძელდებოდა შემოსავლებისა და ქონების არასამართლიანი განაწილების პროცესი, რასაც თან სდევდა მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება.

1994 წლის ბოლოდან დაიწყო ეკონომიკური რეფორმების აქტიურად ხელშეწყობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მხრიდან. ამას მოჰყვა ინფლაციის ზრდის ტემპის შენელება, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა კუპონის კურსის სტაბილიზაციაზე, გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი. საქართველოს ეკონომიკაში ახალი ეტაპი დაიწყო 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებით. საწყის ეტაპზე - 1995-1997 წლებში, გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები, რითაც საფუძველი ჩაეყარა „ძვირი ფულის“ პოლიტიკას. იგი გამოიხატა ეკონომიკური ვარდნის შეჩერებასა და გარკვეული ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. მაგრამ შემდგომ წლებში საწინააღმდეგო ტენდენცია გამოიკვეთა. საბოლოო შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

პირველი, ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობოდა მაკროეკონომიკური რეგულირების კავშირი მიკროდონეზე რეფორმების მოთხოვნებთან;

მეორე, ინფლაციის შეკავება მიღწეულ იქნა წარმოების არნახული კლებისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების კატასტროფულად დაცემის ფასად. ეკონომიკის ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად მოგვევლინა მონეტარული პოლიტიკის კარდინალური მოთხოვნის რეალიზაცია: ფულის მასის ზომაგადასული შეზღუდვა და აქედან გამომდინარე, გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მაქსიმალურად შეკუმშვა. თუ რა ზიანი მოაქვს საგადამხდელო საშუალებათა წინდაუხედავად შეკვეცას ნებისმიერი გზით და ნებისმიერ ფასად ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: საქართველოში ფულადი მასის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტან ანუ ოფიციალური მონეტიზაციის დონე 6 – 7 % - ის ფარგლებშია. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70 – 80 % - ია, რუსეთში კი იგი 12 – 13 % - ის ფარგლებშია. კიდევ ერთი გარემოება: 1996 წლიდან თავი იჩინა ძალიან არასასურველმა, თუმცა იძულებითმა გარემოებამ. საქართველომ მიაღწია ინფლაციის შესამჩნევ შემცირებას და, გარკვეული თვალსაზრისით, ფინანსურ სტაბილიზაციასაც კი, უმთავრესად, იმის წყალობით, რომ ბიუჯეტის დეფიციტის უდიდესი ნაწილი იფარებოდა უცხოური კრედიტების ხარჯზე, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდანა იქნა მიღებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში წინა პლანზე წარმოჩნდა მწვავე ნეგატიური ტენდენციები. მათგან მთავარია ის, რომ ამჟამად მაკროეკონომიკური რეგულირების არსებული დონე, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო აქტიურობის ზრდის, ეკონომიკის ეფექტიანობის კარდინალურ ამაღლებას. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ინვესტიციების მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგია, ისე როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს.

დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ძნელია საწარმოთა (რომელთა რიცხვი არც ისე დიდია) დაინტერესება საინვესტიციო ანგარიშების გახსნით. საამისოდ აუცილებელია სტიმულირების ქმედითი ეკონომიკური მექანიზმის ამოქმედება. ამგვარ მექანიზმად უნდა იქცეს საწარმოთა ინვესტიციურ დანახარჯებზე შეღავათების გაწევის

არსებულისაგან განსხვავებული წესი: საინვესტიციო ანგარიშებზე საწარმოების მიერ ჩარიცხული სახსრები უნდა გათავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან (მოგების იმ მთელი თანხის ჩათვლით, რომელიც ინვესტირებას ხმარდება). შეღავათები გამოყენებული უნდა იქნეს არა ხარჯების გაწევისათვის, არამედ საწარმოს მიერ ინვესტიციური პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში დაგეგმილი დანახარჯებისათვის. ინვესტიციებზე შეღავათების გაწევის მხოლოდ ასეთი წესი მოგვცემს საჭირო სახსრების დაგროვების შესაძლებლობას არა ნომინალურად - საწარმოთა საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებზე, არამედ რეალურად - ბანკებში არსებულ მათ სპეციალურ ანგარიშებზე (დღეს დაგროვების ფონდის ჩამოყალიბებას საწარმოები ახორციელებენ წმინდა მოგების ხარჯზე, ე.ი. გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების ხარჯზე).

ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას ინვესტიციების (როგორც სამამულო, ისე უცხოური) ერთიანი მაკონკრეტური მართალი ორგანო. მართალია, დღეისათვის შექმნილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებულ ობიექტების რესტრუქტურიზაციას და მენეჯმენტს. ჩვენი აზრით ეს სრულებით არ არის საკმარისი. სასურველია მას დაემატოს შემდეგი ფუნქციები: ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; ინვესტირების უფლებების დაცვა; ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია; ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე კონტროლი; ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში.

საინვესტიციო პოლიტიკა იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ შეიქმნას ინვესტორთა და მათი ეროვნულ ეკონომიკაში ჩართვის ერთიანი მაკონკრეტური

ცენტრი. ცენტრის დანიშნულება უნდა იყოს გრძელვადიანი ინვესტიციების მიზნობრივად გამოყენება, ერთიანი პრობლემის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება პრიორიტეტული მიმართულებები. ასეთი საინვესტიციო პროგრამა ხელს შეუწყობს ორი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტას. ერთის მხრივ, ინვესტიციის ეკონომიკური ზრდისა და ამით დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას და მეორეს მხრივ, ეროვნული ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა განისაზღვროს. ორივე ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, საგარეო დაფინანსებაში კრედიტების ნაცვლად კურსი ინვესტიციებზე უნდა ავიღოთ, კრედიტებმა ჩვენი კრიზისში მყოფი ეკონომიკა დღეს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. უცხოური ვალების გადახდამ ჩვენი ბიუჯეტი ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რაც საბოლოო ჯამში ამუხრუჭებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს მთავრობის მიერ 1994 წლიდან დაწყებული ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის გატარებამ, რომლის განხორციელებაშიც მას ხელს უწყობდნენ ისეთი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, როგორიც არის მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გარკვეული პოზიტიური შედეგი მოგვცა, მაგრამ ამ მიმართულებით მთავარი გასაკეთებელი ჯერ კიდევ წინაა.

ქვეყანაში ფასების სტაბილურობა და ინფლაციის დონის შემცირება აუცილებელი პირობებია, რაც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ხელსაყრელ ფონს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული

კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა გაიცეს და უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე. სამწუხაროდ, ქვეყნის ეს მრავალფეროვანი პოტენციალი დღეისათვის გამოუყენებელია.

მსოფლიოს ენერგეტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის მიღსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან.

აღსანიშნავია სუფსის ტერმინალისა (საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) და აზერბაიჯანის „ადრეული ნავთობის“ ნავთობსადენის მშენებლობის პროცესი, რომელმაც საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა. პერსპექტიულად არის მიჩნეული ტრანსკავკასიური გაზის მიღსადენის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლით გაზის ტრასპორტირებას თურქეთში. აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო შემოსავლებს, უზრუნველყოფს სამშენებლო სექტორის სწრაფად განვითარებას და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

### თავი III. ტურისტულ სექტორში საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

#### 3.1. ტურიზმის სექტორში ინვესტირების შეფასების ეკონომიკურ-ფინანსური მეთოდები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. მთლიან შიდა პროდუქტში, მას გარკვეული წილი უჭირავს. მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2020 წელს კორონა-პანდემიის გამო მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის ინდუსტრიის წილი 5,5%-მდე შემცირდა, 2019 წელს ეს მაჩვენებელი 10,4%-ს შეადგენდა. ანგარიშში 185 ქვეყნისა და 25 გეოგრაფიული ან ეკონომიკური რეგიონის მონაცემებია მოყვანილი. თუკი 2019 წელს მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმმა 9,2 ტრლნ დოლარი შეიტანა, 2020 წელს სექტორმა, თითქმის, 4,5 ტრლნ დოლარი დაკარგა, ხოლო მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტზე მისი წილი 49%-ით შემცირდა. ამასთან, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპი 3,7%-ით დაეცა.

WTTC-ის მონაცემებით, პანდემიამდე საერთაშორისო ტურიზმზე მსოფლიოში ყოველი მეოთხე სამუშაო ადგილი მოდიოდა. რაც შეეხება მსოფლიოში მთლიან სამუშაო ადგილებს, მასში საერთაშორისო ტურიზმის წილი 10,6% იყო, რაც 334 მლნ სამუშაო ადგილს ნიშნავს. 2020 წელს ტურიზმის სფეროში 62 მლნ სამუშაო ადგილი შემცირდა, რაც თითქმის 18,5%-ია. ამჟამად ტურიზმის ინდუსტრიაში 272 მლნ ადამიანია დასაქმებული. თუკი სექტორი ფეხზე არ დადგა, შემცირება შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს, რადგან სამუშაო ადგილები ტურისტული კომპანიებისთვის სახელმწიფო დახმარების პროგრამების წყალობით არის შენარჩუნებული. 2019 წელს მოგზაურობების დროს დამსვენებლებმა 1,7 ტრლნ დოლარი დახარჯეს, რაც საერთაშორისო ექსპორტის, თითქმის, 7%-ს, ხოლო მომსახურების ექსპორტის 27,4%-ს

შეადგენდა. 2020 წელს თავიანთ ქვეყნებში მოგზაურობის დროს ტურისტების ხარჯები 45%-ით, ხოლო საზღვარგარეთ მოგზაურობის ხარჯები, თითქმის, 70%-ით შემცირდა.

ტურიზმი დიდ როლს თამაშობს ქვეყნის იმ ასპექტის განვითარებაში, რომელმაც უნდა შექმნას ძლიერი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა უამრავი სხვადასხვა ახალი, თუ ტრადიციული წყაროების მეშვეობით ვითარდება დღითიდღე, ვერც ერთი სფერო ვერ მოახერხებს ტურიზმის ჩანაცვლებას.

ტურიზმის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ნავთობისა და გაზის მსხვილი ექსპორტიორები არიან, კონცენტრირებას მაინც ტურიზმის სფეროზე ახდენენ. ამ ქვეყანათა რიცხვში შედის ქუვეითი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ყატარიც. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის დასტურია, რომ ამ სფეროთი მიღებული შემოსავალი არა მარტო ძალიან მაღალი, არამედ პოტენციურად უსაზღვროც არის. მისი წვლილი კი, ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაში ყოველწლიურად მატულობს. მაგალითად, აზერბაიჯანში, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს პროგნოზის მიხედვით, ტურიზმის სექტორის მიერ შემოტანილი წილი მთლიანი შიდა პროდუქტში, მიაღწევს მთლიანი ბიუჯეტის 20.6%-ს, რაც ქვეყნის ეკონომიკის მეხუთედს შეადგენს და საბედნიეროდ, მსგავს პროგნოზები არსებობს ტურიზმის განვითარების შესახებ საქართველოშიც.

საუკუნეების წინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა კომპლექსური და მრავალმხრივი თეორიები ეკონომიკური ზრდის შესახებ, სახელმწიფოები მაინც ღებულობდნენ უდიდეს სარგებელს ტურიზმის სექტორიდან და ყოველთვის ცდილობდნენ მის განვითარებას. დიდი დრო არ დასჭირვებია იმის გააზრებას, რომ ეს შემოსავლის მიღების მომგებიანი და ეფექტური გზა იყო, რის გამოც ქვეყნებმა დაიწყეს სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ტურისტების მოსაზიდად, რომლებიც ჩვენთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია უკვე დღეს, მაგრამ ისინი მაინც მოქმედებდნენ წარმატებულად საუკუნეების განმავლობაში და მისი საუკუნოვანი ისტორიის შემდეგ, ამ სექტორის მნიშვნელობა არამც თუ შემცირდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საგრძნობლად გაიზარდა. ხოლო ბაზარზე მოთხოვნის ზრდამ კი მთელ რიგ ქვეყნებში განაპირობა ტურისტული ბიზნესების უფრო მეტად წახალისება და მხარდაჭერა.

აქედან გამომდინარე, დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრად განვითარებაზე ზრუნვა. ეს კი საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოიცავს ინტეგრირებული და გონიერი პოლიტიკის განხორციელებას. ამასთან ერთად, აუცილებელია გამოცდილი და განათლებული პირები, რომლებიც ქვეყანას თავის ჯერ კიდევ დამალულ ნიშას უპოვიან და მოახერხებენ მის გლობალურ მარკეტზე მიმზიდველად წარდგენას.

იმისათვის, რათა ქვეყანა ტურისტულად მიმზიდველი გახდეს, სახელმწიფოები იყენებენ უამრავ სხვადასხვა გზას. თუმცა მაშინ, როდესაც ეს გზები ძირითადად ვიწრო ჩარჩოში იყო ჩასმული, სულ რაღაც 30 წლის წინ, დღეს უკვე სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე.

ტურიზმის განვითარება გულისხმობს იმას, რომ გარკვეული ოპერაციების შემდეგ ქვეყანა ეროვნულ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე უნდა ელოდეს გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს. ეს კი მოხდება არა მხოლოდ უცხოელი ტურისტების ხარჯზე, არამედ ასევე იმ სხვა ეკონომიკური სარგებლებითაც, რომლებიც მოაქვს ტურიზმს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელიც არის სწორედ ბევრი სამუშაო ადგილის შექმნაში, რაც ქვეყანას დახმარება უმუშევრობის პრობლემის დამლევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის დაძლევის სხვა საშუალებებიც არსებობს, ტურიზმს გამოარჩევს ის ფაქტი, რომ ამ გზით იქმნება საშუალება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის და მათ თვითდასაქმების საშუალებაც ეძლევათ. ტურიზმის განვითარება სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ერთგვარ წახალისებას, რათა მაქსიმალურად მოუაროს და დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა და ტურისტული ადგილები. არა ერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ სამკურნალო რესურსების დაცვას მათი დაბინძურებისა და განადგურებისგან. ასევე, ზოგადად დიდ მოტივატორს წარმოადგენს ტურისტთა მოზრდილი ნაკადი იმისათვის, რათა ქვეყანამ უკეთესად მოუაროს ეკოლოგიურ მდგომარეობას, რაც არა მარტო ეკოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ სარგებელსაც უზრუნველყოფს.

თითოეული სახელმწიფო ცდილობს საკუთარი თავის მაქსიმალურად ტურისტულად მიმზიდველ ობიექტად წარმოჩენას და ამ სექტორის განვითარებას, რაზეც მიღიონობით დოლარს ხარჯავს. ეს კი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი შედეგის გარანტიას გვაძლევს. ეს შედეგი კი გულისხმობს მეტი ტურისტის მოზიდვას, რომლებიც თავიანთ მცირე წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში, უდიდეს მოგებას წარმოადგენს.

ბოლო წლების განმავლობაში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო გლობალიზაცია, დიგიტალიზაცია, გამძლეობა და კორონავირუსის პანდემია. მობილობის სიმარტივე, ახალი მიმართულებებისა და ინტერნეტის, როგორც ინფორმაციისა და კომერციის წყაროს ცნობადობის გაზრდა, განაპირობებს ინდუსტრიის ექსპონენციალურ ზრდას. თუმცა, ამ ზრდამ ასევე გამოიწვია საზოგადოების მზარდი შეშფოთება ინდუსტრიის გარემოზე ზემოქმედების შესახებ, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო მოთხოვნა მწვანე მოგზაურობის ვარიანტებზე. როგორც ითქვა, ინდუსტრიის გარემოზე ზემოქმედება მნიშვნელოვნად შემცირდა კორონავირუსული პანდემიის დროს, ხოლო მოგზაურობის აკრძალვებმა და სოციალურმა დისტანციურმა ზომებმა დამანგრეველი გავლენა მოახდინა მოგზაურობასა და ტურიზმზე მთელს მსოფლიოში.

უახლესი და უმწვავესი გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს დგას ტურიზმი, გახლავთ „კოვიდ-19“. არ არსებობს ინდუსტრია ან ბიზნესი, რომელზეც არ მოუხდენია გავლენა კორონავირუსს. თუმცა, მაშინ, როდესაც სხვა სექტორებში „კოვიდ-19“-ის ეფექტი არათანაბრად არის გადანაწილებული, ტურიზმის სფერო ერთიანად დიდი დაბრკოლების წინაშე დგას. ყველა ქვეყანასა და კონტინენტზე შეინიშნება ტურისტების რაოდენობის კლება, რამაც ბევრი მათგანი ეკონომიკურად კრიზისულ სიტუაციაში ჩააყენა. უპირველეს ყოვლისა, ყველაზე დიდი ზარალი მიიღეს ავიაკომპანიებმა, რომლებმაც განიცადეს მომხმარებელთა უდიდესი პროცენტული კლება, რადგან ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა ჩაკეტა თავისი საზღვრები და ტურისტებს უკვე ფიზიკურად აღარ აქვთ მოგზაურობის საშუალება. ასევე ნებისმიერი გონიერი ადამიანი თავს არიდებს ამ პერიოდში მოგზაურობას და ალბათ კიდევ დიდი ხანი არ ექნება

სურვილი დასასვენებლად გასამგზავრებლად კურორტებში. ამ ყველაფრის გამო, ყოველდღიურად იზრდება იმ ავიაკომპანიების რიცხვი, რომლებიც გაკოტრების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას, ბევრი ვერ მოახერხებს ამ პერიოდის გადატანას.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორის - ტურიზმის განვითარებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტურიზმის გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის დასაქმებასა და საგადასახადო შემოსავლებზე. ტურიზმი ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და სხვ. ის არსებით გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საინვესტიციო პროექტები ტურისტული კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარეობს. საინვესტიციო პროექტების სიცოცხლისუნარიანობის პირობაა მათი შესაბამისობა საინვესტიციო პოლიტიკისა და ტურისტული საწარმოს სტრატეგიული მიზნებისადმი, რაც ძირითადად გამოიხატება მისი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაში. საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასება წარმოადგენს ინვესტიციების ანალიზის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს და მთავარ ინსტრუმენტს რამდენიმე საინვესტიციო პროექტიდან ყველაზე ეფექტური საინვესტიციო პროექტის სწორად არჩევისთვის.

საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები ყველა შემთხვევაში შეიძლება არ იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან საინვესტიციო ტურიზმის პროექტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ხარჯების მასშტაბის, მათი სასარგებლო გამოყენების პირობების და ასევე სასარგებლო შედეგების თვალსაზრისით. გაანგარიშების უმარტივესი მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც არ საჭიროებენ დიდ კაპიტალურ ინვესტიციებს, მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ტურიზმის პროდუქციის გამომუშავების (ტურისტული მომსახურება) ცვლილებაზე და ასევე აქვთ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ამასთან, ტურიზმის სფეროში მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელება (ახალი ტურისტული ობიექტის მშენებლობა, ტურისტული კომპლექსის რეკონსტრუქცია, ფუნდამენტურად ახალი ტიპის ტურისტული სერვისების განვითარება და ა.შ.), რაც მოითხოვს დიდ ინვესტიციურ ხარჯებს, საჭიროა დიდი რაოდენობით ფაქტორების გათვალისწინება და, შესაბამისად, უფრო რთული გამოთვლების ჩატარება და ეფექტურობის შეფასების მეთოდების დახვეწა. რაც უფრო დიდია საინვესტიციო პროექტი და რაც უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს ტურისტული საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგები, მით უფრო ზუსტი უნდა იყოს ფულადი ნაკადების გაანგარიშება და საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის შეფასების მეთოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელებით გამოწვეული ფულადი სახსრების მოძრაობა, როგორც წესი, ხდება რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ართულებს მათი ეფექტურობის შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო პროექტების დიდი ხნის განმავლობაში განხორციელება გავლენას ახდენს ტურისტული საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე, მათი ეფექტურობის შეფასების შეცდომა მნიშვნელოვანი ფინანსური რისკებით და ზარალით სრულდება.

საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის დაგეგმილ და რეალურ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობის მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ჯგუფად:

- ✓ ინვესტიციური პროექტის ეფექტურობის განზრახ გადაფასება, რომელიც განპირობებულია ცალკეული ტურისტული საწარმოს სპეციალისტების სუბიექტური პოზიციებისა და მათი ბრძოლის გამო შეზღუდული ფინანსური რესურსებისათვის. ტურისტული საწარმოების მართვის შესაბამისი სისტემების შექმნით შესაძლებელია დაიცვას თავი არასწორი გაანგარიშებებისგან, რაც საშუალებას მოგცემთ კოორდინაცია გაუწიოთ საწარმოს ფუნქციონალური მომსახურებების მუშაობას, ან ჩართოთ დამოუკიდებელი ექსპერტები საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებული გამოთვლების ობიექტურობის შესამოწმებლად;

- ✓ საინვესტიციო პროექტების გამოყენების პროცესში წარმოქმნილი არასაკმარისი რისკის ფაქტორების გათვალისწინება. უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი, როგორც ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, მგრძნობიარეა გარე და შიდა ფაქტორების გავლენისგან, რომლებიც წარმოშობენ მნიშვნელოვან რისკებს.

აქედან გამომდინარე, საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის პერსპექტიული შეფასებისას მრავალი პრობლემა წარმოიქმნება. ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების ყველაზე ობიექტური მეთოდების შერჩევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი თავიდან აცილებას ან შემცირებას.

დღევანდელი მდგომარეობით, ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს. შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი.

მეთოდები, რომლებიც არ იყენებს დისკონტირებას:

- ✓ ინვესტიციების მსყიდველობითი პერიოდის გაანგარიშების მეთოდი (ინვესტიციების მსყიდველობითი პერიოდი);
- ✓ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კაპიტალის უკუგების მაჩვენებლის განსაზღვრაზე (კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი);
- ✓ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია საინვესტიციო პროექტის გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში შემოსავლის ოდენობასა და საინვესტიციო ხარჯებს შორის სხვაობის გაანგარიშების საფუძველზე, რომელიც ცნობილია როგორც ფულადი სახსრების მოძრაობა, ან ფულადი სახსრების დაგროვილი ბალანსი;
- ✓ წარმოების შემცირებული ხარჯების შედარებითი ეფექტურობის მეთოდი;
- ✓ მოგების შედარების საფუძველზე კაპიტალური ინვესტიციების ოფციონის შერჩევის მეთოდი (მოგების შედარების მეთოდი).
- ✓ მეთოდები, რომლებიც იყენებს დისკონტირებას:
- ✓ წმინდა მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მეთოდი (წმინდა მიმდინარე ღირებულება - NPV);
- ✓ რენტაბელობის შიდა ნორმების გაანგარიშების (მოგება, რენტაბელობა - IRR) მეთოდი;
- ✓ თვითანაზღაურების დისკონტირებული ვადის გაანგარიშება;

- ✓ მომგებიანობის ინდექსი გაანგარიშების მეთოდი (მომგებიანობის ინდექსი - IP);
- ✓ ანუიტეტური მეთოდი.

ეფექტურობის შეფასების მეთოდებს, რომლებიც არ შეიცავს დისკონტირებას, ასევე ეწოდება ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების სტატისტიკურ მეთოდებს. ეს მეთოდები ემყარება საპროექტო, დაგეგმილ და ფაქტობრივ მონაცემებს ინვესტიციური პროექტების განხორციელების ხარჯებისა და შედეგების შესახებ. ამ მეთოდების გამოყენებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი მიმართავენ ისეთ სტატისტიკურ მეთოდს, როგორიცაა საშუალო წლიური მონაცემების გაანგარიშება ხარჯებისა და შედეგების (შემოსავლის) შესახებ, ინვესტიციური პროექტის გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს ტექნიკა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ხარჯები და სარგებელი არათანაბრად ნაწილდება ინვესტიციის პროექტის წლების განმავლობაში. აღნიშნული მეთოდებით საქართველოში ტურისტულ სექტორში შემოდინებული ინვესტიციების ეფექტიანობის/არაეფექტიანობის განსაზღვრა ნაშრომს ღირებულებას ვერ შეძლება, რადგან, ჯერ ერთი, საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები გამოიყენება მომავალში განსახორციელებელ რამდენიმე პროექტებს შორის არჩევანის გაკეთებისათვის, რის ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია და მეორე, უკვე დაბანდებული ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება იმ მიზნით, რომ სცენარების მეთოდით შესაძლებლობას მოგვცემდა მომავლის პროგნოზირებისათვის, ვერ მოხერხდა, რადგან ეკონომიკური პროცესები ძირითადად ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას, რომლის პარამეტრების გაანგარიშებისათვის მონაცემთა დიდი ბაზაა საჭირო, რაც ასევე ინფორმაციის შენახვის კულტურის დაბალი დონის გამო შეუძლებელია. მიუხედავად აღნიშნულისა კვლევის მთავარი ფოკუსი, ტურისტულ სექტორში დაბანდებული ინვესტიციებიდან მშპ-ში ამ დარგის წილის ზრდის განსაზღვრაა. შეფასებისათვის მოპოვებული ინფორმაციის ბაზაზე ჩატარდა კორელაციური-რეგრესული ანალიზი. ანალიზის ჩატარებისათვის პირველ რიგში განისაზღვრა ტურისტული სექტორის განვითარების განმსაზღვრელი პარამეტრები:

1. *X<sub>1</sub>- ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში (ძლი. ლარი);*
2. *X<sub>2</sub>- ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი);*

3.  $X_3$ - სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი ტურიზმში, ათას ლარებში;
4.  $X_4$ - ინფლაციის დონე, %;
5.  $X_5$ - მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ლარი.

შერჩეული პარამეტრები ჩაითვალა დამოუკიდებელ ცვლადებად და მოპოვებული იქნა 15 წლის ინფორმაცია. დამოკიდებულ ცვლადად აღებული იქნა  $y$  - სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლები მშპ-ში (მლნ. ლარი). ჩვენი აზრით, შერჩეული დამოუკიდებელი ცვლადები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მშპ-ში ტურისტული სექტორის წილის ზრდას.

**ტურიზმის დარგში ინვესტიციები მოცულობაზე მოქმედი ცვლადები** ცხრილი №6

წლები	სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლები მშპ- ში (მლნ. ლარი)	ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში (მლნ.ლარი)	ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი)	სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი ტურიზმში, ათას ლარებში	ინფლაციის დონე, %	მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ლარი
2006	179,00	18,30	217,10	1 147,60	8,78	3 553,78
2007	192,80	81,10	282,40	4 709,80	10,97	4 402,35
2008	224,60	54,70	266,30	6 062,00	5,55	4 956,50
2009	280,00	141,70	350,00	2 854,70	2,99	4 715,25
2010	383,90	54,80	596,90	8 638,70	11,24	5 762,70
2011	573,80	45,80	853,00	52 996,40	2,04	6 782,68
2012	730,00	47,50	1 185,10	80 156,40	-1,37	7 301,76
2013	787,40	112,30	1 255,50	58 608,00	2,37	7 691,13
2014	843,60	103,40	1 391,40	16 671,70	1,95	8 368,01
2015	1 069,80	204,00	1 854,50	25 808,70	4,88	9 109,40
2016	1 307,00	227,60	2 539,80	33 948,20	1,83	9 613,94
2017	1 562,30	323,70	3 381,50	76 137,10	6,72	10 933,91
2018	1 811,70	513,20	3 666,10	100 936,90	1,52	11 968,00
2019	2 089,10	288,70	4 014,00	77 749,60	7,00	13 239,39
2020	1 232,40	112,30	1 344,70	77 527,90	2,40	13 234,09

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სავარაუდო მრავალფაქტორიანი რეგრესული განტოლება შედგა შემდეგი სახით:

$$Y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + a_3 x_3 + a_4 x_4 + a_5 x_5$$

ნაკლები ცდომილების შემცველი მოდელის ასაგებად პირველ რიგში განისაზღვრა დამოუკიდებელი ცვლადების მულტივოლუნიარულობა:

	Столбец 1	Столбец 2	Столбец 3	Столбец 4	Столбец 5	Столбец 6
Столбец 1	1					
Столбец 2	0,877613029	1				
Столбец 3	0,985590503	0,882279433	1			
Столбец 4	0,623057766	0,353985393	0,634489951	1		
Столбец 5	-0,293362203	-0,089582051	-0,277115662	-0,554644789	1	
Столбец 6	0,963242564	0,7916006	0,955684971	0,668471394	-0,41819707	1

როგორც კორელაციის მონაცემები აჩვენებს, დამოუკიდებელ ცვლადებს შორის იკვეთება მულტიკოლენიარულობა. მოდელის ადეკვატურობაში დარწმუნებისათვის აიგო მრავალფაქტორიანი წრფივი რეგრესია (დანართი 1).

რეგრესული მოდელის მიხედვით ნორმირებული R2 არის 0.95, რაც მიგვანიშნებს, რომ მოდელი არის ადეკვატური, დამოუკიდებელი ცვლადების ცვლილება განსაზღვრავს დამოკიდებული ცვლადის ცვლილებას მაღალი ხარისხით. ე.ი. სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლების წილი მშპ-ში (მლნ. ლარი) გაიზრდება, როდესაც გაიზრდება ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში; ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა; სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი ტურიზმში; მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სხვა მონაცემების მიხედვით მოდელი უფრო არაადეკვატურობისაკენ არის გადახრილი, რადგან F - ტესტის სიდიდე ძალიან დაბალია, ხოლო P - ს მნიშვნელობებიდან იკვეთება, ალბათობა დამოუკიდებელი ცვლადების დამოკიდებულ ცვლადზე კავშირის არარსებობისა არის მაღალი.

კვლევის შემდგომი ეტაპზე შესრულდა მონაცემების პირველადი დამუშავება, გაფანტული მონაცემების გამოვლენა და ადეკვატული მონაცემებით მოდელის აგება.

გაფანტული (არასწორი) მონაცემების ფორმატირებისა და დიაგრამების აგების საფუძველზე მონაცემთა ბაზას გამოაკლდა 2018, 2019, 2020 წლის მონაცემები და ჩატარდა რეგრესული ანალიზი (დანართი 3).

რეგრესული ანალიზის მონაცემებით გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები: 1. X3 (სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯი ტურიზმში, ათას ლარებში) და X4 (ინფლაციის დონე, %) მაღალი ალბათობით (P მნიშვნელობა) არ არის კავშირში უ ცვლადთან. შესაბამისად ისინი გამოირიცხა ანალიზიდან და საანალიზო ცხრილმა მიიღო შემდეგი სახე:

**ტურიზმის დარგში ინვესტიციები მოცულობაზე მოქმედი ცვლადები**

**ცხრილი №7**

წელი	სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლები მშპ-ში (მლნ. ლარი)	ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში (მლნ.ლარი)	ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ლარი
2006	317,4	18,30	217,10	3 553,78
2007	352,9	81,10	282,40	4 402,35
2008	395,7	54,70	266,30	4 956,50
2009	346,4	141,70	350,00	4 715,25
2010	384	54,80	596,90	5 762,70
2011	508,8	45,80	853,00	6 782,68
2012	664,5	47,50	1 185,10	7 301,76
2013	745,1	112,30	1 255,50	7 691,13
2014	801,6	103,40	1 391,40	8 368,01
2015	1022,5	204,00	1 854,50	9 109,40
2016	1054,1	227,60	2 539,80	9 613,94
2017	1437,5	323,70	3 381,50	10 933,91

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ანალიზის შედეგი მით უფრო სანდოა, რაც მეტია მონაცემთა ბაზა, თუმცა ტურისტულ სექტორში ინვესტიციების და მასთან კავშირში მყოფი მონაცემების მოპოვება ძალიან გართულდა, ამას დაემატა ისიც, რომ სტატისტიკურად რამდენად გამართული მონაცემებია საეჭვოა. ამიტომ უკვე კორექტირებული მონაცემების სარწმუნოობის მიზნით ინფორმაცია შემოწმდა დესკრიპტული სტატისტიკით.

**დესკრიპტული სტატისტიკა**

**ცხრილი №8**

ცვლადები	მინიმუმი	საშუალო არითმეტიკული	მაქსიმუმი	სტანდარტული გადახრა
ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში	18,3	94,63398665	323,7	94,63398665
ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა	217,1	995,652095	3381,5	995,652095
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	3553,78398	2310,88056	10933,9123	2310,88056

**წყარო:** ავტორის განგრიშება

ცხრილი № 8-დან ჩანს, რომ პრაქტიკულად ყველა პარამეტრი მნიშვნელოვნად ვარირებს. მაგალითად, ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში, ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე აჩვენებენ დიდ რყევას მაქსიმუმისა და მინიმუმის ნიშნულებს შორის ისევე, როგორც სტანდარტული გადახრის

მაჩვენებლებს შორის. 2018, 2019 და 2020 წლების მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა  $x_1$  ცვლადის-ინვესტიციები სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში--უარყოფითი ნიშნული. ჩვენი აზრით ეს დაკავშირებულია არასრულ აღრიცხვასთან, ამავე დროს 2019 და 2020 წლებში კოვიდ პანდემიის შედეგად ყველა სტრუქტურების საქმიანობის ხარისხის დაცემასთან. მონაცემთა სტაციონალურობის შესამოწმებლად აგებული იქნა გრაფიკები, რომლებზე ასევე ნათლად გამოჩნდა ცხრილში მოცემული გადახრები. (გრაფიკი № 1-5). ჩატარებული სამუშაოს შემდეგ რეგრესულმა განტოლებამ მიიღო სახე:

$$Y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + a_3 x_3$$

#### რეგრესული მოდელის შედეგები ცხრილი №9 (დანართი 4)

	Коэффициенты	Стандартная ошибка	t-статистика	P-значение	Нижние 95%
Y-пересечение	36,5900033	132,1141296	0,276957532	0,788834223	-268,065725!
Переменная X 1	0,423292337	0,458022967	0,924172733	0,382426042	-0,63291051!
Переменная X 2	0,212111424	0,087328031	2,428904228	0,041272737	0,01073262:
Переменная X 3	0,047915309	0,028985658	1,65306955	0,136917051	-0,01892573!

#### რეგრესული მოდელის შედეგები და F ტესტი (2006-2017 წლები) ცხრილი №10

	df	SS	$R^2$	F	Значимость F
რეგრესია	3	1366967,398			
ნაშთი	8	29477,27118			
შედეგი	11	1396444,669	0,97	123,6629528	4,84458E-07

როგორც რეგრესულმა მოდელმა აჩვენა სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის მშპ-ში შემოსავლების ზრდაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ინვესტიციები ამ ბიზნეს სფეროებში, ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოში ეკონომიკის განვითარება და მით უმეტეს ტურისტული სექტორისა, პირდაპირ დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, რაც შეეხება ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობის გავლენას შედარებით სუსტი დამოკიდებულება აჩვენა, თუმცა აქ მნიშვნელოვანია თითოეული ტურისტის მიერ დახარჯული თანხა. ჩვენი კვლევის მიზანი სრულად ტურისტული სექტორის კვლევას არ წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე მეტი ცვლადების გამოყენება არ ჩავთვალეთ

საჭიროდ. სწორი მოდელის შემუშავებისათვის ჩატარდა არაწრფივი რეგრესული მოდელითაც კვლევა, თუმცა არაადეკვატური პარამეტრების გამორიცხვით მოდელი მაინც დავიდა წრფივ მოდელზე. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გავლენა სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესზე ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ პირდაპირი კავშირი არ არსებობს და ეს მონაცემები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მხოლოდ სარესტორნო მომსახურებით მიღებულ შედეგს ასახავს, ამიტომაც კავშირი სუსტი პარამეტრით არის გამოსახული (დანართი 4).

რეგრესული ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

1. გაუმჯობესდა ნორმირებული  $R^2$  - 0.97, რაც მიუთითებს მოდელის ადეკვატურობაზე;
2. დამოკიდებულების კოეფიციენტები, კერძოდ ის რეალობა, რომ ტურისტულ ბიზნესში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობა პირდაპირ ახდენს მშპ-ში ტურისტული სექტორის შემოსავლების ზრდას, მოდელის დამუშავებამდე იყო უარყოფითი. დამუშავების შედეგად დაფიქსირდა სწორი დამოკიდებულება;
3. P-ს მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებს ცდომილების ალბათობაზე წინა ანალიზთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესდა.


მიღებული შედეგების ადეკვატურობაში დარწმუნებისათვის აუცილებლად ჩაითვალა მონაცემთა ცდომილების ხარისხის დადგენა, ამისათვის ბოლო ფორმულის მიხედვით განტოლებაში დატოვებული დამოუკიდებელი ცვლადებით გავიანგარიშეთ რეგრესის კოეფიციენტები და  $Y_{\text{სანგარიშო}}$  და ცდომილება.  $\text{ERROR}_{\text{medium}} = 7,76\%$ . მიგვაჩნია, რომ ის არ არის ცუდი, იმ ფონზე, როდესაც მონაცემთა სტატისტიკური სიზუსტეც დაბალი ხარისხისაა (დანართი 5)

მოდელი შემოწმდა ნაშთების ავტოკორელაციურობაზე, რომლისთვისაც გამოყენებული იქნა რეგრესული ანალიზში მოცემული ნაშთების მონაცემები და გრაფიკები (ცხრილი 10), გამოყენებული იქნა დარბინ უოტსონის კრიტერიუმი:

$$DW = \sum e_t^2 / (\sum e_t - e_{t-1})^2 = 2,068$$

დარბინ უოტსონის რეკომენდირებულ კრიტერიუმებთან შედარებით დადგინდა რომ ავტოკორელაცია ნაშთებს შორის არ არსებობს, ეს თავის მხრივ ადასტურებს, რომ შედგენილი მოდელი განსაზღვრავს არსებულ დამოკიდებულებებს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ანუ, ე.ი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლები მშპ-ში განისაზღვრება ინვესტიციებით სასტუმრო და სარესტორნო ობიექტებში, ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობით და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-რაოდენობით.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა დაფუძნებულია დროში მონაცემთა ცვლილებაზე, განხორციელდა დროითი მწვრივის ანალიზი, რომლის გამოყენებით მოვახდინეთ მომავალი 3 წლის განმავლობაში მშპ-ში სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესის შემოსავლების ზრდის შესახებ. ამისათვის აგებული იქნა დროითი მწვრივის გრაფიკი უცვლადისათვის:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, წრფივი და ექსპონენციალური მოდელის შემთხვევაში მონაცემები ადეკვატურია, თუმცა დანარჩენი პარამეტრები, რაც მოდელის ადეკვატურობას ადასტურებს არის წრფივი რეგრესულ მოდელზე მორგებული. რაც შეეხება პროგნოზს მომავალი სამი წლის განმავლობაში მონაცემთა ყველანაირი ცვლილების შემთხვევაში განსაზღვრული პარამეტრის ზრდას ექნება ადგილი.

### ცვლადებს შორის კორელაცია

	$y$	$x1$	$x2$	$x3$
$y$	1			
$x1$	0,877613029	1		
$x2$	0,985590503	0,88227943	1	
$x3$	0,963242564	0,7916006	0,955684971	1

რეგრესული მოდელით შესაძლებელია მოხდეს თითოეული პარამეტრის პროგნოზირება, დანარჩენი პარამეტრის უცვლელობის შემთხვევაში. როგორც მოდელზე მუშაობისას აღინიშნა, 2018-2019-2020 წლების მონაცემები, გაფანტულობაზე შემოწმების შედეგად გამოირიცხა, ახლა შეიძლება განისაზღვროს ის მონაცემები, რომელსაც რეალურად უნდა ჰქონოდა ადგილი ამ წლებში.

#### **2018 წელი**

$$Y = 36,5900033 + 0,423292337 * 513,2 + 0,212111424 * 3666,1 \\ + 0,047915309 * 3553,78 = 1\,201,725$$

#### **2019 წელი**

$$Y=36,5900033 + 0,423292337 * 288,7 + 0,212111424 * 4014,00 + 0,047915309 * 13\,239,39 = \\ 1\,644,579$$

#### **2020 წელი**

$$Y=36,5900033 + 0,423292337 * 112,3 + 0,212111424 * 1344,70 + 0,047915309 * 13\,234,09 = \\ 1\,003,467$$

როგორც ჩანს, ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებში არის ცდომილება, რომელმაც მოდელის არაადეკვატურობა აჩვენა.

სწორი და სანდო ინფორმაციის მოპოვება ჩვენი აზრით ითვლება ერთ-ერთ დიდ პრობლემად, რომელიც ამახინჯებს კვლევების შედეგებს და გავლენას ახდენ ეკონომიკური პროცესების დაგეგმვასა და პროგნოზირებაზე.

ამგვარად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ინვესტიციები ტურისტულ სექტორში იწვევს ქვეყნის მშპ-ს და შესაბამისად ტურიზმის სექტორის წილის ზრდას. ინვესტიცია ტურიზმში არის ინვესტორების კაპიტალის განთავსება ტურიზმის ბიზნესში, მოგების მიღების მიზნით. ტურისტული ინვესტიციებისათვის, ისევე როგორც სხვა ინვესტიციებისათვის აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ ჩადებული კაპიტალი უნდა იყოს მომგებიანი. ვინაიდან კაპიტალი ტურიზმის წარმოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ტურისტული ეკონომიკის შესაძლებლობა, აწარმოოს ტურისტული პროდუქტები, დიდწილად დამოკიდებულია იმ კაპიტალის ოდენობაზე, რომელიც ჩადებულია ტურიზმის ეკონომიკაში. კაპიტალის ზრდასთან ერთად ტურისტული ეკონომიკის პროდუქტიულობა იზრდება. ტურისტულ ეკონომიკაში ინვესტიციების შემცირებით, წარმოების შესაძლებლობა შესაბამისად იკლებს.

ინვესტიციები ტურისტულ ეკონომიკაში იზრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინვესტიციის მოგება აღემატება ჩადებული კაპიტალის ოდენობას. როდესაც ტურიზმის ინვესტიცია ტოლია ანაზღაურებას, ტურისტული ინვესტიციის შემოსავალი ნულის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ ტურისტული ეკონომიკა აწარმოებს კაპიტალის ოდენობას, რომელიც უდრის დახარჯულ ინვესტიციას.

ამ შემთხვევაში, ტურიზმის ეკონომიკაში კაპიტალი და წარმოება მუდმივი რჩება. თუ მოგება ნაკლებია, ვიდრე ტურისტული ინვესტიცია, ე.ი. ინვესტირებულ და მიღებულ კაპიტალს შორის სხვაობა უარყოფითია, ტურიზმის ეკონომიკა კარგავს კაპიტალის განახლების წყაროებს და წარმოების შესაძლებლობების შემცირებას.

საინვესტიციო საქმიანობა ტურიზმის ეკონომიკაში დამოკიდებულია იმ მოგებაზე, რაც ინვესტორებს შეუძლიათ მიიღონ ინვესტიციიდან. ტურიზმის ბიზნესში წარმოების პროცესში ახალი მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს წარმოების ხარჯების შემცირებას და მოგების მაქსიმიზაციას. გარდა ამისა, ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა არა მხოლოდ ზრდის მოგებას, არამედ ხელს უწყობს პროდუქტის პოპულარიზაციას ტურისტულ ბაზარზე. ტურისტული პროდუქტის წარმოების ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების შემუშავება იწვევს ახალი ინვესტიციების საჭიროებას.

ტურიზმის ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის გაზრდის სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება შედგებოდეს ტურიზმის ინდუსტრიაში მოგებაზე შეღავათიანი გადასახადების დაწესებასა და სხვადასხვა წახალისებაში.

ტურიზმის ბაზარზე ახალი ინვესტიციების შეძენისა და გამოყენების ღირებულება გავლენას ახდენს ინვესტიციის დაბრუნებაზე. დაბალი ღირებულება ინვესტიციის დიდ მოგებას და ინვესტიციის დიდ შემოსავალს ნიშნავს.

### **3.2. ტურისტულ სექტორში ეფექტური საინვესტიციო გარემოს მოდელის შექმნის გეგმა**

თუ გვინდა, რომ დავნერგოთ “მდგრადი ტურიზმი” და შევამციროთ ტურიზმის შესაძლო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ნეგატიური ეფექტები, საწყის ეტაპზევე უნდა დავნერგოთ გარკვეული სტანდარტები.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, მდგრადი ტურიზმი განისაზღვრება როგორც “ტურიზმი, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით გავლენაზე, ითვალისწინებს ვიზიტორების, ინდუსტრიის, გარემოსა და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებს”.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტურიზმის განვითარება ყველა სექტორს გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიების უმრავლესობამ (როგორც ტურისტული კომპანიების, ასევე – სასტუმროებისა და კვების ობიექტების) “მდგრადი ტურიზმის” კონცეფციის შესახებ ცოტა რამ იცის და უფრო მეტიც, შესაძლოა გარკვეული სტანდარტების დაცვის სურვილი და შესაძლებლობა არც აქვს (განსაკუთრებით – მცირე კომპანიებს).

მდგრადი ტურიზმის განსავითარებლად მრავალი ინიციატივა არსებობს, თუმცა, ჩემი აზრით საჭიროა ისეთი ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით მთავრობას აქვს მისაღები გადაწყვეტილებების მთელი პაკეტი, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიმზიდველს და მომგებიანს გახდის. მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები, რომელიც აღნიშნულ რეფორმის სახით, ბიზნეს სექტორსს მისცემს საშუალებას ასეულობით მიღიონი ლარი ჩატოვოს ბიზნესში, ახალი ბიზნეს-მიმართულების განსავითარებლად, რაც წახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წახალისებს ინვესტიციებს; გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის, ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამები, რაც უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო

ადგილებს კერძო სექტორში; ბოლო 10 წლის განმავლობაში მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში.

საქართველოში არ არსებობს სპეციალური გადასახადები, რომლებიც უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიაში მოქმედებს, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში არის „ტურისტული საწარმოს“ ცნების შემოტანა, რომელიც არეგულირებს გარკვეულ შეღავათებს შემდგომში ტურიზმის ხელშეწყობა-განვითარებისათვის.

გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსი დღგ-ს გადახდისაგან ათავისუფლებს ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანას და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდებას.

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული დარგისათვის საჭიროა:

- ✓ გააქტიურდეს მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტისა და, შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას ქვეყანაში;
- ✓ ხელი შეეწყოს ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას (მათ შორის, სამედიცინო, სპორტული, ღვინის და სხვ.);
- ✓ საქმიანი ტურიზმის განვითარების მიზნით, სხვადასხვა საშუალებით მოხდეს მეტი მაღალმხარჯველი ტურისტის მოზიდვა საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით ინვესტიციების წახალისება და ხელშეწყობა;
- ✓ ხელი შეუწყოს სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით.

საინვესტიციო პროექტები ტურისტული კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარეობს. საინვესტიციო პროექტების სიცოცხლისუნარიანობის პირობაა მათი შესაბამისობა საინვესტიციო პოლიტიკისა და ტურისტული საწარმოს სტრატეგიული

მიზნებისადმი, რაც ძირითადად გამოიხატება მისი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაში. საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასება წარმოადგენს ინვესტიციების ანალიზის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს და მთავარ ინსტრუმენტს რამდენიმე საინვესტიციო პროექტიდან ყველაზე ეფექტური საინვესტიციო პროექტის სწორად არჩევისთვის.

საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები ყველა შემთხვევაში შეიძლება არ იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან საინვესტიციო ტურიზმის პროექტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ხარჯების მასშტაბის, მათი სასარგებლო გამოყენების პირობების და ასევე სასარგებლო შედეგების თვალსაზრისით. გაანგარიშების უმარტივესი მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც არ საჭიროებენ დიდ კაპიტალურ ინვესტიციებს, მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ტურიზმის პროდუქციის გამომუშავების (ტურისტული მომსახურება) ცვლილებაზე და ასევე აქვთ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარკვეული მიღწევებისა და საინვესტიციო კანონმდებლობისა, რომელიც პასუხობს მსოფლიოში აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, საქართველოს საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის ნაკლებ მიმზიდველი რჩება.

საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი აქვს. წარმატების მისაღწევად ორი რამაა საჭირო - სურვილი და კარგად გააზრებული გეგმა - სურვილი კერძო სექტორის, ხოლო სტრატეგიული გეგმა ხელისუფლების მხრიდან.

სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ უნდა იყოს გამოხატული მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში და გარკვეული შეღავათების დაწესებაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2012 წლის 13 მარტს შეტანილი ცვლილების შეტანაში გამოიხატა.

ტურისტული საწარმო თავისი შინაარსით არის შეღავათის მქონე საწარმო: სსკ მუხლი 26<sup>1</sup> „1. ტურისტული საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას

(გამოსყიდვის უფლებით ან უამისოდ) და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების (მათ შორის, იჯარის, სარგებლობის უფლების, მართვის უფლების, საკუთრების მინდობის, საშუამავლო ან/და სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პირობით) საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას.

2. სასტუმროს მშენებლობის დასრულების შემდეგ ტურისტული საწარმო ვალდებულია:

ა) დადგენილი ოდენობის ფართობი გამიზნული ჰქონდეს სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოსაყენებლად;

ბ) უზრუნველყოს, რომ შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული ობიექტიდან (სასტუმროდან) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით შესაბამის პერიოდში დამატებით დარიცხული) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა ჯამურად (გარდა დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) არ იყოს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად ამ კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ბრუნვაზე ნაკლები.“

ტურისტული საწარმოოს შექმნით, რომელიც რამდენიმე ინდუსტრიის დარგის ხელშეწყობაა სახელმწიფოს მხრიდან, როგორც მშენებლობის დარგის განვითარებაში, შესაბამისად დასაქმების სფეროში, სასტუმროს მომსახურების ნაწილში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტურიზმის განვითარებაში.

შეღათიანი საგადასახადო გარემო სტიმულს აძლევს შესაბამისად კომპანიებს 10 წლის განმავლობაში შექმნას, აწარმოოს და განავითაროს სასტუმრო სექტორი ისე, რომ, 10 წლის შეღათით შესაბამისად განავითაროს ქვეყნის ტურიზმი, შექმნას საჭირო ინფრასტრუქტურა.

კერძოდ, რომელ გადასახადებში იღებს და ვინ აღნიშნულ შეღავათს? რამდენად მოქმედებს აღნიშნული მოდელი ტურიზმში ინვესტიციების განხორციელების მხრივ?

როგორც, აღვნიშნეთ კომპანიები, რომლებიც აშენებენ სასტუმროსათვის განკუთვნილ ქონებებს, ამზადებენ მას გასაყიდად და აუცილებელია პირობაა, იჯარით ან სხვა ფორმით მმართველობაში წამოიღონ უკან ქონება, ისევ დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, აქვთ საშუალება ობიექტს მიანიჭონ ტურისტული საწარმოს სტატუსი. როგორც აღნიშნულ, აღნიშნულისთვის მოქმედებს დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვის შეღავათიანი ბაზა.

სკ-ის „მუხლი 133<sup>2</sup>. ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირის შემოსავლის დაბეგვრა:

1. ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტიანი განაკვეთით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არჩაირთვება მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ არ დაიბეგრება.

სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული საწარმოს, როგორც შეღავათიანი რეჟიმის მქონე საწარმოს, შექმნით წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც ძალიან დიდ ინტერესს იჩენს როგორც მეწარმე კომპანიების ისე უცხოელებისათვის. მაგრამ აღნიშნული სტრუქტურის არსებობას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები.

რაში გამოიხატება, აღნიშნული საწარმოს მოდელზე გამოხატული ჩემი მოსაზრებებისა და შენიშვნების შინაარსი? რა კავშირი აქვს მას ინვესტირებასთან?

როგორც, ვიცი საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი არის ძალიან ფართო, ხოლო უძრავი ქონების გასაღების ძირითადი ნაწილი მაინც უცხოურ ინვესტორებზე მოდის. თუ გამართულად იმუშავებს ეს მოდელი, შესაძლებლობა ექნება საქართველოს მოიზიდოს უფრო მეტი უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული მოდელის დადებითი მხარეებია, უძრავი ქონების შემძენი აღნიშნული სტატუს მქონე ობიექტში გარანტირებულად იღებს შემოსავალს მისი სხვადასხვა ფორმით გაქირავების შემდეგ,

სარგებლობს საგადასახადო შეღავათით (არ სჭირდება საგადასახადო აგენტად რეგისტრაცია/დეკლარირება, რეგისტრაციის გარეშე სარგებლობს საშემოსავლოს 5 % განაკვეთით და სხვა) და აგრეთვე ქონების მოვლა/პატრონობას საწარმო ახორციელებს.

გარდა, ქონების მესაკუთრისათვის საუკეთესო გარემოს შეთავაზებისა, არის მეორე სექტორის ამოქმედების საშუალება - სასტუმრო ბიზნესი, სასტუმრო ბიზნესი ვერ იფუნქციონირებს, თუ არ იქნება კომპლექსური ტურები დაგეგმილი, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს კულტურის გაცნობის აგრეთვე სხვადასხვა რეგიონებში დამატებითი შემოსავლის გაჩენის წყარო.

აღნიშნული საწარმოოს აქვს ნაკლოვანებებიც, რომელზეც მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება. მაინც ფისკალური კუთხით და გადასახადების ადმინისტრირების ნაწილში, უნდა მოხდეს დახვეწა. ამასთანავე, ტურისტული სექტორის ნაწილშიც ისე მოხდეს დაგეგმარება და ხელშეწყობა სასტუმროს მხრიდან, რომ ინვესტირების ნაწილი იყოს მომხიბვლელი ტურისტისათვის.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების ფონზე, აღნიშნული საკითხი უფრო აქტუალური გახდა, სახელმწიფო მხარდაჭერა როგორც ინვესტორს ასევე სამშენებლო, ტურისტულ სექტორებს სჭირდება - ფისკალურ და ადმინისტრირების ნაწილში.

ტურიზმი, ზოგადად ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მრავალმხრივ განვითარებას, მათ შორის სასტუმროებს, კურორტებს და რესტორნებს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას (ავიაცია, გზები, გადაზიდვები და რკინიგზა) და სამედიცინო დაწესებულებებს.

სასტუმროების და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვა გამოირჩევა სხვა იდენტიფიცირებული პრიორიტეტული სექტორებისაგან, გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმი ქვეყანაში უკვე დამკვიდრებული მიმართულებაა და მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, საქართველო ტურიზმის სტრატეგიის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ 2025 წელს საქართველოში 11 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდება, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 6.6 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალი სასტუმროების და ტურისტული

ინფრასტრუქტურის მიმართულებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ქვეყანაში უკვე არსებობს სასტუმროების სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციით განხორციელებული არაერთი საინვესტიციო პროექტი, რაც საერთაშორისო კომპანიების თვალში დამატებით ამყარებს სექტორის მიმზიდველობას.

2020 წლის მეორე კვარტლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც ვიზიტორების რაოდენობა, ასევე - ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი. კლება გაგრძელდა 2021 წლის პირველ კვარტალშიც, როდესაც ვიზიტორების მთლიანი რაოდენობა წლიურად 88 %-ით შემცირდა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 87,5 %-ით შემცირდა. რაც შეეხება მეორე კვარტალს, აღსანიშნავია, რომ უკვე შეინიშნება ტურიზმის გაჯანსაღება. ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 391 ათასი შეადგინა, მაშინ როდესაც გასული წლის მეორე კვარტალში იგივე მაჩვენებელი 105 ათასი იყო და წლიურად ზრდა დაფიქსირდა 271 \$-ზე. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აღნიშნულ პერიოდში წლიურად 753.3 პროცენტით არის გაზრდილი და 246.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, კერძო სექტორიდან ინვესტიციებს ხელს უშლის არა იმდენად რეგიონის არასაკმარისი პოტენციალი, რამდენადაც ზოგადი გაურკვევლობა, ეკონომიკური ვარდნის პერიოდში. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა კატალიზატორის როლი შეასრულოს ინვესტორებისთვის ნდობის მისაცემად.

ამრიგად, სახელმწიფო ინვესტიციები იწვევს კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდას. სახელმწიფოს მხრიდან ტურიზმის განვითარების ინტერესის დემონსტრირება შესაძლებელს ხდება ბაზრის პოტენციალის რეალიზებას.

სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს კაპიტალის ხარჯების შემცირებას სუბსიდიების, "რბილი" სასესხო პირობების, საწარმოს საწესდებო კაპიტალში მონაწილეობის, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, მიწის შეღავათიანი პირობებით უზრუნველყოფისა და სამშენებლო მასალების გადასახადისგან გათავისუფლების გზით. ინვესტორები, როგორც წესი, კაპიტალური სუბსიდირების მეთოდს ამჯობინებენ, რადგან ეს არის ერთჯერადი გარიგებები, რომლებიც არ ითვალისწინებს შემდგომ

ვალდებულებებს და, შესაბამისად, რისკებს. მენეჯმენტის თვალსაზრისით, მათი განხორციელება შედარებით მარტივია.

შესაძლოა, ტურიზმის სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებზე მეტად, უძრავ ქონებას უკავშირდება. ბევრ ქვეყანაში, მიწის მნიშვნელოვანი ფართები სახელმწიფოს საკუთრებაშია, რაც მიწას შეღავათიანი პირობებით უზრუნველყოფს, იზიდავს ყველაზე მეტ ინვესტორს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ინვესტორებისთვის ასეთი მიწის ნაკვეთებისათვის ინტერესი შეიძლება გაიზარდოს გზების მშენებლობის, წყლისა და ელექტროენერგიის უზრუნველსაყოფად საჭირო სამუშაოების ჩატარებით.


საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, მთავრობა იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისგან გათავისუფლებას, ხელფასების ან კადრების გადამზადების სუბსიდირებას, ძირითადი რესურსების სუბსიდირებულ ტარიფებს (მაგალითად, ელექტროენერგიას), ამორტიზაციის გამოქვითვის სპეციალურ პროცედურას, ორმაგი (ურთიერთ შეთანხმებული ან ცალმხრივ) დაბეგვრა (Харрис გ., კაც კ.მ .... 2000).

ინვესტიციის სტიმულირების კიდევ ერთი ფინანსური ინსტრუმენტია კაპიტალის ინვესტიციაზე საგადასახადო შეღავათები, რომელიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს გადასახადების გადავადებას, არამედ ამცირებს გადასახადის ოდენობას.

ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ ის ეფექტი, რომელიც მიიღწევა ტურიზმის დარგის განვითარებისათვის საჭირო საწარმოო დარგების განვითარებით, ძალიან სუსტია. დადებითი ეფექტია სასტუმროების, რესტორნების მშენებლობა, სხვადასხვა გასართობი ობიექტების მოწყობა, ქვეყნის ტურისტული ღირშესანიშნაობების მოწესრიგება, რაც აისახება დასაქმების დონის ზრდაზე, მაგრამ ტურისტისათვის ეროვნული სასურსათო პროდუქტების და მათი გამოყენებით კერძების შეთავაზების შესაძლებლობა ძალიან დაბალია. დიაგრამაზე ნაჩვენებია დამოკიდებულება განთავსებისა და საკვებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. პანდემიის პერიოდიდან დაწყებული ორივე მაჩვენებლი კლებდია. ეს

დაკავშირებულია ინვესტიციების გადინების ფაქტებთან, რამაც შეაჩერა სასტუმროების მშენებლობის ბიზნესი.

დიაგრამა№9



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/391/sastumroebi-da-restornebi304>

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული დარგის, შემდგომი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს განახორციელოს შემდეგ ღონისძიებები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარება; კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის სტიმულირებას;
- ✓ მარკეტინგული აქტივობების მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტისა და, შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას ქვეყანაში;
- ✓ დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა;
- ✓ ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას (მათ შორის, სამედიცინო, სპორტული, ღვინის და სხვ.) ხელშეწყობა;
- ✓ საქმიანი ტურიზმის განვითარების მიზნით, საკონვენციო ბიუროს საშუალებით მოხდება მეტი მაღალ მხარჯველი ტურისტის მოზიდვა

საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით ინვესტიციების წახალისება და ხელშეწყობა;

- ✓ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მომსახურების სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადებაზე, მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით;
- ✓ ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებად საქართველოს ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად გადაქცევა იქნება, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებას და წლის განმავლობაში მათ სტაბილურ განაწილებას.

ტურიზმი COVID-19-ის პანდემიის შედეგად, ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ინდუსტრიაა. იმისათვის, რომ ქვეყანამ ტურისტულად მიმზიდველი გახდეს, სახელმწიფოები იყენებენ უამრავ სხვადასხვა გზას. თუმცა მაშინ, როდესაც ეს გზები ძირითადად ვიწრო ჩარჩოში იყო ჩასმული სულ რაღაც 30 წლის წინ, დღეს უკვე სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე.

კრიზისი, ფაქტორთა მიხედვით გადანაწილდა ტურისტულ სექტორთან დაკავშირებულ სფეროებში. კერძოდ, ყველაზე დიდი ზარალი მიიღეს ავიაკომპანიებმა, რომლებმაც განიცადეს მომხმარებელთა უდიდესი პროცენტული კლება - 66%-იანი კლება გლობალური შემოსავლის სამგზავრო კილომეტრებში (PRKs). ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა ჩაკეტა თავისი საზღვრები და ტურისტებს უკვე ფიზიკურად აღარ ჰქონდათ მოგზაურობის საშუალება. ამ და სხვა მრავალი ფაქტორის გამო ყოველდღიურად გაიზარა იმ ავიაკომპანიების რიცხვი, რომლებიც გაკოტრების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას, ბევრი ვერ მოახერხებს ამ პერიოდის გადატანას. 2022 წელს IATA პროგნოზირებს ავიაკომპანიების ზარალის მკვეთრ შემცირებას: 2021 წლის მეორე კვარტლის ფინანსური შედეგების უახლესი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ავიაკომპანიების ჯამური წმინდა ზარალი მნიშვნელოვნად შემცირდა 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. ავიაკომპანიებმა ყველა რეგიონში გაუმჯობესდა. ჩრდილოეთ ამერიკის ავიახაზების წმინდა შემოსავალის დონე პოზიტიური გახდა, აშშ-ს შიდა

მოგზაურობის აღდგენის ფონზე. მოსალოდნელია, რომ ავიაკომპანიის ფინანსური მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს 2022 წელს, სამოგზაურო შეზღუდვების შემსუბუქებით, მაგრამ განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. ჩრდილოეთ ამერიკა კვლავაც იქნება ლიდერი ყველა რეგიონს შორის.

საინვესტიციო პროექტები ტურისტული კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარეობს. მათი სიცოცხლისუნარიანობის პირობაა შესაბამისობა საინვესტიციო პოლიტიკისა და ტურისტული საწარმოს სტრატეგიული მიზნებთან, რაც ძირითადად გამოიხატება მისი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში. საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება ინვესტიციების ანალიზის ერთ-ერთი მთავარ ელემენტია ყველაზე ეფექტიანი საინვესტიციო პროექტის სწორად არჩევისთვის.

### **3.3. ტურისტულ სექტორში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის უცხოური გამოცდილება და მათი დაწერგვის შესაძლებლობები საქართველოში**

ტურიზმის პოლიტიკის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრავს ტურიზმის პოლიტიკის არსე, ხოლო თავად პოლიტიკის ფორმულირების პროცესი მოიცავს ეტაპებს, როდესაც ხდება პოლიტიკის სტრუქტურის ფორმირება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ფორმულირების პროცესი დინამიკურია, ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მიდგომების, მეთოდების გამოყენება. ასევე ტურიზმის პოლიტიკა უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი. ტურიზმის პოლიტიკის ფარგლებში უნდა მოხდეს ფილოსოფიის, ტურიზმის განვითარების ხედვების ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ფუნდამენტური ბაზისი როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. ფილოსოფიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს სილრმისეულად შევხედოთ მიმდინარე პროცესებს, რაც მთავარია იგი წარმოადგენს ერთგვარ იდეოლოგიურ და ფუნდამენტურ ბაზისს, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს კონკრეტული ხედვების ჩამოყალიბება [Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent, Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley Inc, 2012. გვ.335].

ბრენტ რიჩის და გოლდნერის აზრით ტურიზმის ფილოსოფია წარმოადგენს, ქცევის, შეხედულებების, რწმენის ან ტრადიციების ერთობლიობას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს კონკრეტული დარგი. ჩამოყალიბებულ ფილოსოფიაში უნდა აისახოს ინტერესები, ღირებულებები, რომელიც შექმნა საზოგადოებამ არსებობის მანძილზე [Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent, 2012]. თუ ჩვენ გვსურს, რომ განვითარდეთ გრძელვადიან დინამიკაში, აუცილებელია, რომ ჩამოყალიბებული ფილოსოფია წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს საზოგადოებრივ ინტერესებთან. ფილოსოფია შესაძლოა განსხვავებული იყოს კონკრეტული დანიშნულების ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული დამოკიდებულია საზოგადოებაზე, მათ ღირებულებებზე, რომლის ფარგლებშიც ხდება მისი ჩამოყალიბება.

სწორედ ამიტომ, მსოფლიოში არსებული წარმატებული მოდელების განხილვისას ან პრაქტიკაში იმპლემენტაციისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემო პირობები,

რომელიც არსებობს კონკრეტულ სოციუმში. ეს აისახება სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებში.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განისაზღვრა ტურიზმის მდგრადი განვითარების შემდეგი დადებითი ეფექტები:

1. ადგილობრივი რეზიდენტების დასაქმება - მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ტურიზმა არის ახალი სამუშაო ადგილები. ამ თვალსაზრისით ტურიზმის ინდუსტრიას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რასაც ადასტურებს როგორც მსოფლიო ასევე რეგიონული მასშტაბით არსებული სტატისტიკური მონაცემები. ტურიზმის ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს სხვა მომიჯნავე სექტორებშიც, რაც ეკონომიკური განვითარების და აქტივობების თვალსაზრისით იძლევა პოზიტიურ შედეგებს.

2. მეწარმეობის განვითარება - იქმნება ახალი შესაძლებლობები, ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რათა ჩამოაყალიბონ და განავითარონ ტურისტული საწარმოები, ეს ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინვესტიციების წახალისების თვალსაზრისით. ტურიზმის სექტორი ხასიათდება მცირე საწარმოების სიმრავლით, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით;

3. შემოსავლების ზრდა - ახალი სამუშაო ადგილები და ტურისტული აქტივობები იწვევს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ეს კი აუმჯობესებს ადგილობრივების ცხოვრების სტანდარტებს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები სწრაფად ვრცელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში;

4. საწარმოო ძალების განვითარების და განახლების შესაძლებლობა - ტურიზმში დასაქმებულები სწავლობენ ახალ უნარ-ჩვევებს და ტექნოლოგიებს, როგორიცაა კომპიუტერის გამოყენება, მომხმარებლების მომსახურება, ეს კი ხელს უწყობს ადგილობრივი ადამიანური რესურსების განვითარებას. რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს შრომის ბაზრის სტრუქტურაზე.

5. ტურიზმი სტიმულს აძლევს ახალი პროდუქციის შექმნას - აუმჯობესებს საცალო გაყიდვებს, ხელს უწყობს სპეციალიზებული მაღაზიების, სავაჭრო უბნების,

ასევე პარკების, კულტურული ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლის გამოყენება შეუძლიათ, როგორც ადგილობრივ რეზიდენტებს, ასევე ტურისტებს;

6. მომიჯნავე სექტორების განვითარება - ტურიზმს შეუძლია მოახდინოს სტიმულირება სხვა ეკონომიკური აქტივობების და სექტორების, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, ტრანსპორტი;

7. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - ტურიზმის განვითარება ადეკვატურად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, როგორიცაა გზები, წყალმომარაგება, ელექტროსიმძლავრები, ნარჩენების მართვა. ინფრასტრუქტურა ვითარდება ადგილობრივი საზოგადოების მომსახურებისთვის, ასე, რომ ისინი იღებენ მეტ სარგებელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებიდან;

8. არქეოლოგიური, ისტორიული მხარეების, ხელოსნობის, კულტურული ტრადიციების კონსერვაცია - ეკოლოგიის ხარისხის გაუმჯობესება ტურიზმის თანმდევი დადებითი ეფექტებია, რადგან ეს ყოველივე ტურისტისთვის წარმოადგენს ატრაქციას;

9. ტურიზმი როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორი - განსაკუთრებით პრობლემური რეგიონების განვითარება; ადგილობრივ ბიუჯეტში ტურიზმის სექტორიდან მიღებული გადასახადები შესაძლოა გამოყენებულ იქნას კომუნალური პირობების, მომსახურების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, როგორიცაა სკოლები, სამედიცინო კლინიკები, პარკები, ბიბლიოთეკები და ა.შ; [Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism, World Tourism Organization, 1998, გვ.28]

10. ტურისტული ტერიტორიის ეკოლოგიური ხარისხი - შესაძლოა გაუმჯობესდეს, როგორც ტურიზმის შედეგი, რადგან ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ მიმზიდველ, დაუბინმურებელ ადგილებში ვიზიტს. ტურიზმის განვითარება ხელს უწოდს გარემოს დაცვის აუცილებლობის უკეთ გააზრებას, როგორც ადგილობრივი რეზიდენტების, ასევე ტურისტების მხრიდან;

11. რეზიდენტების მიერ საკუთარი კულტურული იდენტურობის მნიშვნელობის გაცნობიერება - როცა ადგილობრივებისათვის აშვარაა რომ ტურისტი დადებით ემოციებს გამოხატავს, ჯეროვნად აფასებს, ბუნებრივი გარემოს, კულტურულ და

ისტორიულ მემკვიდრეობას, ეუფლებათ სიამაყის გრძნობა თავიანთი მემკვიდრეობის გამო და უჩნდებათ დამატებითი სტიმული შეინარჩუნონ ავთენტურობა. ხშირად რეზიდენტები ავითარებენ და შესაბამისად, ტურიზმი ასტიმულირებს კულტურული მემკვიდრეობის ამა თუ იმ ასპექტის გამოცოცხლებას, რომელიც სხვა შემთხვევაში დაიკარგებოდა, თანამედროვე განვითარების კვალდაკვალ (Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism, World Tourism Organization, 1998).

ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება.

